გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru



№247 (306) 26 ნოემბერი – 3 დეკემბერი 2013 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

# ყოფნა-არყოფნის ზღვარზე

მრავალმხრივი, ტოტალური შემოტევაა ქართველი ერის საბოლოოდ გასაქრობად. ღვთიური სიბრძნეა საჭირო, რომ გაარკვიო ვინაა მტერი და ვინ მოყვარე, რამეთუ ამ ბნელ საქმეში უფრო ქართველი ერის **„ქომაგნი“** აქტიურობენ.

მიმდინარე, 2013 წლის 26 ოქტომბერს სტუდია **„ობიექტივიდან“** მოვისმინე გადაცემა, რომელიც მიჰყავდა ქ-ნ ნატა თარხან-მოურავს. სტუმრად ჰყავდა პროფესორები რაულ გვეტაძე და რამაზ პატარიძე, რომლებმაც სამართლიანად გამოთქვეს აღშფოთება იმის გამო, რომ ამერიკის გეოგრაფიული საზოგადოების მიერ გამოცემულ წიგნში **„მსოფლიოს ხალხები“** კავკასიის რეგიონიდან კულტურულ ხალხებად შერჩეულია სომხები, აზერბაიჯანელები, ჩეჩნები და ინგუშები, ხოლო ქართველები არა (იხ. ჯუმბერ ჯიშკარიანი – ოთხმოცდაცამეტი წელი საქართველოზე ფიქრით, ჟურნალი ჩვენი მწერლობა, 30 სექტემბერი 2011. №20 (150).

მკრეხელობაა ქ-ნ ნატა თარხან-მოურავისა და მისი სტუმრების ქართველობაში ეჭვის შეტანა, მაგრამ პარადოქსია, რომ, მათ შორის, არცერთს ფიქრადაც არ მოსვლია კითხვა:

რატომ არ მოხვდნენ ქართველები აღნიშნულ წიგნში 5000 ეთნიკური ჯგუფიდან შერჩეულ 222 კულტურულ ხალხებს შორის, როცა კავკასიის რეგიონიდან მოხსენიებულია სომხები, აზერბაიჯანელები, ჩეჩნები და ინგუშები, რომელშიც აშკარად ჩანს სომხური დიასპორის ხელწერა? ამაზე ჩხუბი, თითის ქნევა და ფეხების ბაკუნი პოზიტიურ შედეგს მოგვიტანს?

– რა თქმა უნდა არა, რადგან შეუვალია მიზეზ-შედეგობრიობის ღვთიური კანონი. თვით ყოვლისშემძლე ღმერთიც ვერ შეცვლის სიბრძნეს: **„რასაც დასთეს, იმას მოიმკი“.**

თითქოსდა, ყველა ქართველმა იცის აღნიშნული კანონი და სიბრძნე, რომლებიც ჩვენმა უძველესმა წინაპრებმა დაგვიტოვეს სახელმძღვანელოდ, მაგრამ აბსოლუტურად ვერ ვიყენებთ მათ ქართველები. სამაგიეროდ, ჩვენს სისუსტეს ძალზე ეფექტურად იყენებენ საქართველოს მიწებზე კბილებაკაწკაწებული, გარეშე, თუ შინაური მტრები.

როცა ვერ ვიყენებთ უდიდესი გამოცდილების მქონე წინაპართა სიბრძნეს, ბუნებრივია, ვერ ვარჩევთ ერთმანეთისაგან სიკეთეს და ბოროტებას და საკუთარი ერის ჭეშმარიტ ისტორიას მიზანმიმართულად ვაყალბებთ; როცა არაფრად გვიღირს საკუთარი ერის ნამდვილი ვინაობისა და წარმომავლობის ცოდნა (მეცნიერები მყავს მხედველობაში); როცა ვერ ვპატრონობთ საკუთარ მიწა-წყალს და მხართეძოზე წამოწოლილთ გვინდა უზრუნველი ცხოვრება, ბუნებრივია, ეჭვს ვიწვევთ უცხოთა თვალსა და ცნობიერებაში ამ ქვეყანაზე ჩვენს აბორიგენობაში და, ვისაც გული ერჩის და გონება უჭრის, აბსოლუტურად კანონზომიერად აღეძვრება მადა დაეუფლოს უპატრონო მიწა-წყალს.

სწორედ ამიტომ ჰყიდდა უმოწყალოდ, ჩვენი უგერგილობისა და სიბეცის გამო, პრეზიდენტად აღზევებული დაშნაკი სომეხი ჩვენი მამა-პაპათა სისხლით მორწყულ სამოთხის სადარ მიწა-წყალს უცხოტომელებზე; სწორედ ამიტომ გადაიტანა პარლამენტი და დედაქალაქის ქუთაისში გადატანას ჩაუყარა საფუძველი, რომ საკუთარი წვლილი შეეტანა **„დიდი არმენიის“** შექმნაში (იხ. საყოველთაოდ ცნობილი **„დიდი არმენიის“** რუქა).

როცა მთელი მსოფლიოსათვის ცნობილია, რომ ქართლს სახელმწიფოებრიობა 888, თუ 899 წლამდე არარასოდეს ჰქონია (პირველი მეფეა ადარნასე II ბაგრატიონი); როცა საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართული ენა პეტრიწის ეპოქამდე (1050-1125) მდაბიურია და 1008 წელს საერთო სახელმწიფო ენის სტატუსის მიღების შემდეგ უცხოური ლიტერატურიდან თარგმნითი კომპანიის გაჩაღების შედეგად მიღებულ თარგმანებს შორის **„შეუსაბამობათა უსაზღვროობა დაულეველი იყო“,** სულიერად შეძრული იოანე პეტრიწი, ნებას არ აძლევს თავის თავს სასთუმალზე დასადებად და თავგანწირული იღვწის თავისი გვარტომისათვის, შექმნას ენა სიტყვამდიდარი და განსხვავებული მდაბიოთაგან **(„... და აღვიშურვე ტომისათჳს გუართა ჩემთასა მე მიდმოობაჲ ენისაჲ გალექსებული და მესხეუი მდაბრიონთაგან,...“** (იხ. იოანე პეტრიწის **„განმარტებანი პროკლე დიოდოხოსის „ღმრთისმეტყველების საფუძვლებისა“,** ბოლოსიტყვაობა, 1937, გვ. 219 და 220), მაგრამ პეტრიწის მიერ რეფორმირებული ენაც, როგორც ვხედავთ, 50% გაუგებარია (წარმოიდგინეთ რა დონის იქნებოდა რეფორმამდე) ძველი ქართული ენის არასპეციალისტისათვის და თარგმნა მოითხოვა (თარგმნა პროფ. დამანა მელიქიშვილმა), ხოლო მე-5 საუკუნისად მიჩნეული და სხვა პეტრიწამდელი ქართული წერილობითი ძეგლებიდან ყველაფერი გასაგებია და, მით უმეტეს, სამეფო სტატუსის მიღების შემდეგ ენის გაუხეშება და მდაბიურ ენად ქცევა გამორიცხულია, ცხადია, ყველა ეს ძეგლები ყალბია და ფარსია; როცა ყოველივე ამის შემდეგ ქართული ენის ფუძე ენად წარმოდგენა მხოლოდ სურვილია და უმეცართა უფრო გასაბრიყვებლად კი, მაგრამ მეცნიერული მტკიცებისათვის სამარცხვინო და სასაცილო; როცა ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკა 66% უცხოური წარმოშობისაა, მოსახლეობა კი ანთროპოლოგიურადაც ჭრელი და განსხვავებული ერთმანეთისაგან; როცა საკუთარ ფესვებს და იმ ტოტს იჭრი, რომელზეც ზიხარ, ანუ ეროვნული წარმოშობის ლექსიკის ეტიმოლოგიის სინქრონიულ-დიაქრონიულ დონეზე გამრკვევი, ეროვნულობის განმსაზღვრელი, ადამჟამინდელი ანუ გლოტოგონიური ფენომენი, კაცობრიობის პირველი დამწერლობების (მხედრულისა და ასომთავრულის) შემქმნელი პროტოქართული (იგივე, იბერიული) ენა, თანამედროვე მეცნიერთა სურვილის თანახმად, თურმე, არასოდეს არსებულა და ამას ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის ეგიდით აკეთებ, ხოლო სინამდვილეში დღემდე შემორჩენილი ამ გლოტოგონიური ფენომენის უცხო ენათა (სპარსულის, ბერძნულის, სომხურის, ლათინურის, არაბულისა და თურქულის) კონგლომერატის დიალექტად საერთაშორისო აღიარებისთვის არაფერს ზოგავ; როცა საკუთარი ფესვების ამოძირკვაზე შვიდი საუკუნეა მუშაობ და ამის საკმაო საფუძველს სხვას თვითონ აძლევ, რაზეც მეზობელმა ერებმა არანაკლებ საფუძვლიანადაც იციან, რა გასაკვირია, საკმაო ძლიერების მქონე აგრესორს მადა აღეძრას ამ სამოთხის სადარ მიწაზე, ქართველი ხალხის სხვადასხვა ერის წარმომადგენლებად მეცნიერულად დამტკიცებაზე იზრუნოს, რომ გაიადვილოს ქართველთა გაძევება საქართველოდან (იხ. მიხეილ სუსლოვის მიერ 1961 წლის საიდუმლო სხდომაზე წარმოდგენილი გეგმა, პარიზის ეროვნული საბჭოს ჟ-ლი **„მებრძოლი საქართველო“,** 26 მაისი, 2003 წელი).

აი, რატომ მოხვდნენ კავკასიის რეგიონიდან შერჩეულ მსოფლიოს კულტურულ ხალხებს შორის სომხები, აზერბაიჯანელები, ჩეჩნები და ინგუშები. ხოლო ქართველები, რომლებიც მხოლოდ ნარევია სხვადასხვა უცხო ერის წარმომადგენლებისა, რომლებსაც თავიანთი სამშობლოები გააჩნიათ, რა გასაკვირია, დაინტერესებულმა აგრესორმა დამპყრობლებად წარმოადგინოს და თავისი შესაძლო აგრესია **„დაჩაგრულ აბორიგენთა“** დაცვის მიზეზით გაამართლოს (გაიხსენეთ აკად. სახაროვის სიტყვები: **„საქართველო მცირე იმპერიაა“**).

ჩვენ კიდევ არ გვასვენებს ფიქრი: რადგანაც საერთო სალიტერატურო ენის წარმოშობაზე და ამაში იბერიული (ე.წ. მეგრული) ენის როლზე უამრავი პუბლიკაციების შემდეგაც, ქართველთაგან არავინ გვეხმაურება, გარდა ე.წ. მეგრული ენის შეუდარებელი სიმდიდრის გაზეთში გამოქვეყნების გამო ბრაზმორეული მაყურებლისა, რომელიც მომტირალი, თითქმის, ზლუქუნით, ითხოვს ქ-ნ ნ. თარხან-მოურავის სტუმრებისგან: **„გაეცით პასუხი სასწაულებს, რომ წერენ გაზეთში: მეგრული ენის ლექსიკური ფონდი მილიარდ ნახევარ სიტყვას მოიცავსო“,** მაგრამ ასეთი და სხვა მრავალი კითხვის პასუხად, აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე **„საქართველოს ისტორიის“** ახალ გამოცემაში (2012 წ. ტომი I), ათი წლის წინათ გარდაცვლილი აკადემიკოსის ანდრია აფაქიძის სახელით გვიწერს წმინდა წყლის სიცრუეს, რომელიც სიცოცხლეში ა. აფაქიძეს სიზმრადაც არ ზმანებია: **„იბერია ქართლის ელინური სახელწოდებაა“,** როცა იბერი და იბერია წმინდა მეგრული ტერმინებია, ხოლო იბერიის დაწინაურების ხანას (ძვ.წ.აღ. მე-3 ათასწლეულის შუა პერიოდი) ქართლის ტომის დაწინაურების ხანად წარმოგვიდგენს და ამ მტკნარ სიცრუესაც მეგრული წარმოშობის ანდრია აფაქიძეს მიაწერს.

აკადემიკოსმა მ. ლორთქიფანიძემ ბრწყინვალედ იცის, რომ ზემოხსენებულ სიცრუეს ჭეშმარიტი მეცნიერი არასოდეს ირწმუნებს, მაგრამ რომ გვიბიძგოს ე.წ. მეგრელებს საქართველოს შემადგენლობიდან გასვლისკენ (როგორც ეტყობა, მეგრელები ძალიან ვუშლით ხელს **„დიდი არმენიის“** შექმნაზე ოცნების განხორციელებაში), ალბათ, ამიტომ ცდილობს შეგვახსენოს ანდაზა: **„ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის“** და ამით მიგვახვედროს, რომ ქვეყანას ჭეშმარიტ ქართველთაგან არავინ შემორჩა, გვარგადაკეთებულ ვითომ ქართველთა გარდა, და ამაოდ ვცდილობთ, იბერიულ მოდგმას და მიწებს ვერშელეული იბერები (ე.წ. მეგრელები) მის გადარჩენას. შეიძლება ჰუმანურობას იჩენენ კიდეც, რადგან ზოგი მეცნიერი პოლიტიკური მოტივით, ზოგიც კიდევ, **„მეცნიერული სიბრძნით“** ცდილობს გვიბიძგოს უსისხლოდ დავთმოთ იბერთა სისხლით მორწყული მიწები. და, შეიძლება, ეს სახელმწიფო დონეზე იყოს გადაწყვეტილი, რადგან წინა ხელისუფლებას ოფიციალური წერილით მივმართეთ **ქართველი ერის ისტორიის** მიზანმიმართულად გაყალბების გამო, მაგრამ არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია.

ამიტომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შიშით შეძრულს, რამდენიმე დღის წინათ საუბარი მქონდა სხვადასხვა დაწესებულების ენათმეცნიერებთან (მათ ვინაობას შეგნებულად არ ვასახელებ, რომ სამსახურში პრობლემები არ შეექმნათ). პირველი არ დამეთანხმა (არა არგუმენტების მოშველიებით, არამედ შთაგონების საფუძველზე) ლეონტი მროველის მიერ ქუჯი-ფარნავაზის ეპოპეის შექმნაში ეგრის-აფხაზეთის მეფის – თეოდოს II-სა და ქართლის უფლისწულის – ბაგრატ III ბაგრატიონის მიერ იბერთა მოდგმის გაერთიანების ისტორიული ჭეშმარიტების ინტერპრეტირებული ფორმით გადმოცემასა და გამოყენებაში, მხოლოდ 1008 წლიდან ქართული ენის საერთო სახელმწიფო ენად მიღებაში და ფარნავაზის დროიდან ქართული ენის სახელმწიფო ენად არსებობის სიცრუეში, მაგრამ მრავალი არგუმენტის მოშველიების შემდეგ დამეთანხმა, რომ იბერიული (ე.წ. მეგრული) ენა ადამჟამინდელი და პროტოქართული ენაა.

მეორესთან უფრო ხანგრძლივი საუბარი მქონდა. გავაცანი სამეცნიერო სხდომაზე განსახილველ მოხსენებას **„კაცობრიობის პირველი დამწერლობების – მხედრულისა და ასომთავრულის იბერიული წარმოშობის შესახებ“** და იბერიული (ე.წ. მეგრული) ენის, როგორც კაცობრიობის პირველადი და ძირისეული ენის უტყუარობაზე ჩემს გამოკვლევებს. ვუთხარი: ჩემი გამოკვლევების უტყუარობაში არავინ მედავება, ის კი არადა, თუმცა კულისებში, ენათმეცნიერების ინსტიტუტში მითხრეს, ვერავინ შეგედავებაო, მაგრამ ამის საყოველთაო აღიარებაზე, რა მოგახსენოთო. მითხრა: ეს სრულიად ახალი და ორიგინალურია, მის განხილვაზე გადაწყვეტილებას მარტო მე ვერ მივიღებო (თუმცა მითხრეს ყველაფერს ის წყვეტსო) და გამაფრთხილა, რომ საჭიროა მეტი დიპლომატიურობა გამოიჩინო, ხომ ხედავ როგორ გაღიზიანებულა ქართველი მაყურებელი მეგრული ენის პოპულარიზაციის გამოო. მეგრელი, რომ იგივე იბერია, ხოლო მეგრული ენა ფუძე ენაა და ძირისეული – არ ახსენოო. ხოლო მეგრულ ენაზე მწერლობის წარმოება საქართველოს დაშლას და სახელმწიფოებრიობის დაკარგვას გამოიწვევსო.

უფრო ადრე, ერთ ცნობილ მეცნიერს ისიც აქვს ნათქვამი **„ფესტოსის დისკოზე“: „სწორია კვაშილავასეული გაშიფრვა ძეგლისა, მაგრამ სჯობია არ გახმაურდესო, რადგან ამის გამო უცხო ქვეყანათა ზეწოლას საქართველო ვერ გაუძლებსო“.**

როგორც ვხედავთ, აშკარაა, რომ ქართული ენის სახელმწიფო ენად მიღების ხანა ისე უმართებლოდაა თოთხმეტი საუკუნით ფალსიფიკატორის მიერ, ხოლო აკად. მ. ლორთქიფანიძის მიერ ქართის ტომის დაწინაურების ხანა ძვ.წ. აღ. მე-3 ათასწლეულის შუა პერიოდამდე წინ წაწეული და გაზვიადებული, ამასთან, საერთოდ, იბერიის კვალის წასაშლელად, იბერთათვის სახელწოდება შეცვლილი (იბერი – იგერი – ეგერი – ეგრი – მეგრი, აქედან მეგრისი – მეგრ(ის)ელი – მეგრელი) და მეგრელთმოძულეობის სინდრომი ისე ღრმად შთანერგილი საზოგადოების სისხლსა და ხორცში, რომ არათუ ფართო საზოგადოებას, მეცნიერებსაც უჭირთ ჭეშმარიტების აღიარება, მიუხედავად იმისა, ყველაფერი ბრწყინვალედ იციან და, შესაძლოა, ზოგიერთებში ფსიქიკური გადახრებიც გამოიწვიოს, მაგრამ, როცა ისე გაიუცხოვე ფესვები იმ კულტურისა, რომლითაც ამაყობ და უძველესად მოგაქვს თავი, როცა მთელი მსოფლიოს სამეცნიერო საზოგადოება აღიარებს, რომ ოთხი ათასი წლის წინანდელი **„ფესტოსის დისკო“** მეგრულ-ლაზურ (იგივე, იბერიულ) ენაზეა დაწერილი, ხოლო შენ შიშის ზარს გცემს მისი აღიარება; როცა კაცობრიობის პირველი დამწერლობა, ჩვენი მხედრული, შექმნილია პროტოქართული ენის დიფერენციაცია-დივერგენციამდე, რაზეც მისი სახელწოდებანი მოწმობენ და, შეიძლება, ფესტოსის დისკოზე ადრინდელიც იყოს, შენ ჯიუტად ასწავლი სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, რომ ნუსხურის განვითარების შედეგია და მე-11 საუკუნიდანაა შემოღებულიო, ან კიდევ, როცა ეროვნული წარმოშობის ლექსიკა იმდენადვეა შენთვის მშობლიური, რამდენადაც ნასესხები, რაც იგივეა, იმდენადაა უცხო, რამდენადაც ნასესხები ლექსიკა, რადგან ეროვნული წარმოშობის ლექსიკის ეტიმოლოგიას ისევე ვერ ხსნი, როგორც ნასესხებისას, ხოლო ენას, რომელიც ამას სინქრონიულ-დიაქრონიულ დონეზე ახერხებს, დღემდე ცოცხალია, შენს უძველესობას და ეროვნულობას განსაზღვრავს, აღარ ცნობ, ანუ შენთვის არ არსებობს, რა თვითმყოფად კულტურაზე გვაქვს პრეტენზია ჩემო საყვარელო ხალხო?

**პუპური ფიფია,**

*(გაგრძელება მე-3 გვერდზე)*

# სამურზაყანო და მისი მკვიდრი – 150 წლის თილაბღან ქეცბაია



ამასწინებზე ჩემი ახლო მეგობრისგან საჩუქრად მივიღე 2011 წელს ქ.რუსთავის სტამბაში, მაჩაბლის ქ.№3-ში გამოცემული საინტერესო და მშვენიერი წასაკითხი წიგნი **"აისიდან დაისამდე",** რომლის ავტორები არიან გალის რაიონში (არა მარტო გალში) ცნობილი პიროვნებები ბატონები კლიმენტი ქობალია და ლავრენტი ბერაძე.

წინამდებარე წიგნში ფართოდაა გაშუქებული ცნობები მე-17 საუკუნიდან დღემდე ძირძველ, ისტორიულ სამურზაყანოზე და ქ. გალის შესახებ. რაც მთავარია, გაგაცნობთ 150 წლის თილაბღან ქეცბაიას.

გთავაზობთ ამონარიდებს ხსენებული წიგნიდან.

მაშ ასე:

ისტორიკოსთა ვარაუდით, XVII საუკუნის დასასრულს, აფხაზეთის მთავარმა ზეგნაყ შერვაშიძემ, მემკვიდრეთა შორის მოსალოდნელი უთანხმოებისა და შუღლის აღსაკვეთად, შვილებს გადაუნაწილა სამთავროს მიწები ცალ-ცალკე საბატონებლად.

უფროს როსტომს მიაკუთვნა ტერიტორია მდინარე ბზიფიდან მდინარე კოდორამდე, შუათანა ჯიქეშიას მდინარე კოდორიდან მდინარე ღალიძგამდე, ხოლო უმცროს ყვაპუს მდინარე ღალიძგიდან მდინარე ენგურამდე.

ეს უკანასკნელი ყვაპუ რომ გარდაიცვალა, მისი სამფლობელო მიიღო მისმა შვილმა მურზაყანმა. აი, რას წერდა იაკობ გოგებაშვილი: **"მურზაყან შერვაშიძემ მემკვიდრეობით მიიღო ყვაპუს სამფლობელო, გააცალკევა ის აფხაზეთისგან და ამ ქვეყანას დაარქვა "სამურზაყანო",** ე.ი. მურზაყანის მემკვიდრეობა, ხოლო მურზაყანის გარდაცვალების შემდეგ საბატონოს განაგებდნენ მისი მემკვიდრე ხუტუნია და მანუჩარ შერვაშიძეები.

მურზაყან შერვაშიძეს ახლო ურთიერთობა და კეთილმოზობლური დამოკიდებულება ჰქონია სამეგრელოს მთავრებთან. სამურზაყანო ძირითადად მეგრელებით იყო დასახლებული და საეკლესიო-ღვთისმსახურებად გაბატონებული იყო ქართულად (მეგრულად).

მურზაყან შერვაშიძე წინაპრებისგან გამორჩეული მმართველი ყოფილა, თუ მამამისი ყვაპუ ცნობილი იყო როგორც დესპოტი, გულქვა მებატონე, ტყვეთა გამყიდველი, მისი მემკვიდრე მურზაყანი კი გულკეთილი, ფრიად განსწავლული, ტყვეთა გაყიდვის ამკრძალავი, ქურდ-ავაზაკთა დამსჯელი, რომელსაც, მემატიანეთა გადმოცემით, **"აღუყვავებია"** სამფლობელო. მისი სამფლობელო ყოველმხრივ დაცული ყოფილა, ეკონომიკურად მოღონიერებულა, ყველგან და ყველაფერში იგრძნობოდა ჭკვიანი, ენერგიული მმართველის მიზანსწრაფულობა სამფლობელოს გასაძლიერებლად.

რაც შეეხება მურზაყანის მემკვიდრეს ხუტუს, ის ყოფილა უშიშარი მებრძოლი ვაჟკაცი, რომელსაც თავი უსახელებია 1757 წელს თურქებთან ბრძოლის დროს, ენგურის ნაპირებთან გამართული შეტაკებისას, სადაც დაუხოცავს 16 მომხდური, მაგრამ თვითონაც გმირის სიკვდილით დაცემულა. თურქებთან ქართველ და აფხაზ მებრძოლთა გმირულად დაღუპვის აღსანიშნავად ზუგდიდის რაიონის სოფ. კოკში (ნალიმასთან) აღმართულია უკვდავყოფის ობელისკი.

განსაკუთრებით უნდა ღინიშნოს აფხაზეთის უკანასკნელი მემკვიდრის გიორგი მიხეილის ძე შერვაშიძის მოღვაწეობა, რომელსაც არ უძებნია დინასტიური პრივილეგიები, მისი ფიქრები და მიზანი მიმართული იყო მხოლოდ და მხოლოდ სამშობლოს კეთილდღეობისა და უკეთესი მომავლისაკენ. ამის ნათელი დადასტურებაა მისი საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობა. აი, რას წერდა თავის პუბლიცისტურ წერილში გიორგი შერვაშიძე: **"ჩვენს სამშობლოს – ივერიას ყოველგვარი დიდი კულტურული განცდა გამოუვლია. ჩვენ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, იღბალის უკულმართობას ხელი რომ არ შეეშალა, ევროპის წინათაც ვიქნებოდით დღეს, როდესაც აქ მოციქული ქრისტეს მცნებებს ქვიქადაგებდა, მაშინ ევროპაში თვით დუკებსაც კამეჩის ტყავი ეცვათ ტანზე და ფეხშიშველნი, შუბებით ხელში ნადირობდნენ ტყეში."**

გიორგი შერვაშიძის შემოქმედება მრავალმხრივადაა საინტერესო, განსაკუთრებით მრავალსაუკუნოვანი ერთობლივი ისტორიის შემოქმედ ქართველთა და აფხაზთა შორის. ქვეყანას, რომლის წიაღიდანაც გამოსულან გიორგი შერვაშიძისთანა ზოგადსაკაცობრიო იდეალებამდე ამაღლებული ადამიანები – სიკვდილი არ უწერია.

... ოქუმიდან, მეორე გალში (გოგიელის ტერიტორიაზე) ცენტრის გადმოტანის შემდეგ, მას ეწოდება დაბა გალი, გალის მაზრის ცენტრი (1928-1930წწ), 1930 წლიდან გალის რაიონის ცენტრი, 1932 წლიდან საქართველოს ცაკის 1932 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაბა გალი ქალაქის სტატუსით დამკვიდრდა.

... 1940 წელს გალში ჩამოსულა ცნობილი ჟურნალისტი, პუბლიცისტი ვარლამ ჟურული, რომელსაც ინტერვიუ ჩამოურთმევია ძირძველ სამურზაყანოელზე, 150 წლის თილაბღან ქეცბაიასთვის და გაზეთ **"ახალგაზრდა კომუნისტში"** გამოუქვეყნებია ვრცელი წერილი სათაურით: **"ჩვენი წარსულის ცოცხალი მატიანე – 150 წლის სამურზაყანოელი თილაბღან ქეცბაია."**

ჟურნალისტი ვარლამ ჟურული წერს: **"– ჩრდილში წამოწოლილა უხუცესი აფხაზი თილაბღან ქეცბაია. მის ეზოში ირხევა ცხრა მაღალი ნაძვი, თილაბღანი უფრო მეტი ხნისაა, ვიდრე ეს ხეები ერთად. ...იყო გაუვალი-უღრანი ტყე, ზღვისპირს მისდევდა საცალფეხო ბილიკი. აქ იმალებოდნენ აბრაგები, იპარავდნენ ენგურიდან გადმოსულ მგზავრებს და მონებად ყიდდნენ ოსმალეთში. როგორც თილაბღანის მონათხრობიდან ჩანს, სამურზაყანოს პირველი მოსახლე ყოფილა მისი ბაბუა უჩა ქეცბაია, რომელსაც საუკუნეზე მეტხანს უცხოვრია. უჩას შთამომავლობიდან გაოცებას იწვევს თილაბღანი, რომელსაც ახლა შეუსრულდა 150 წელი, მას ჰყავს შვიდი შვილი, 32 შვილიშვილი და 100-ზე მეტი შვილისშვილის შვილი, პატარა ბავშვების გარდა, ყველას სახელი იცის, სახით კი ყველას კარგად იცნობს. ბოდიშს ითხოვს პატივცემული თილაბღანი, რომ ტახტზე წამოწოლილს უხდება უცნობი სტუმრის მიღება. სახე უღიმის, თვალები უბრწყინავს, ჟამგადასულ ამბებზე ვეკითხებით და ისიც ხალისით ყვება თავისი სიჭაბუკის დაუწერელ თავგადასავალს:"** – ჩვენი ბატონი იყო კაც მარღანია, ყველას შიშის ზარს ჰგვრიდა, მაშინ აქ ოთხი მოსახლე ვიყავით, წკნელით მოღობილი ფაცხა გვქონდა, მიწით შელესილი, გვიმრით დახურული. ბატონის საქონელს ვწყემსავდით, **თვით ბატონი ბზიფის ნაპირას ცხოვრობდა, შესანიშნავი სახლ-კარი ჰქონდა, მთელი სამურზაყანო მას ემორჩილებოდა,** ტყვეებით ვაჭრობდა, სათათრეთში ყიდდა თავის სამფლობელოში მოტაცებულ ახალგაზრდებს: ვაჟებს, ქალებს, ჩვილებს. კაც მარღანიაზე უფრო მკაცრი და ულმობელი იყო ბატონი კაცხიბუ მარღანია. იგი ავალებდა თავის ყმებს შეეპყრათ ვინც ენგურსგაღმა გადმოვიდოდა. თუ ვინმეს კელასურს მიმავალი მგზავრი გაეპარებოდა, თავს მოჰკვეთდა. ის უმთავრესად ყიდდა მეგრელებს, სხვადასხვა ფეოდალების სამფლობელოებიდან მოტაცებულ აფხაზებსაც. კაცს მაშინ ზომავდნენ მტკაველით, კბილებს უსინჯავდნენ, როზგსაც ბევრჯერ დაარტყამდნენ ამტანობის გასაგებად, შემდეგ კი პირუტყვით დააბამდნენ გემზე და უცხო მხარეში მიჰყავდათ გასაყიდად.

ტყვეებით მოვაჭრენი განსაკუთრებით დიდ ფასს იმეტებდნენ ლამაზ გოგონებში, სწორედ ამიტომ კაცხიბუ მარღანიას მომსახურე ვაჟკაცები უფრო ხშირად ლამაზი გოგონები მომტაცებელნი იყვნენ. ისინი ეცემოდნენ სოფლებს, აწიოკებდნენ და თუ სადმე თვალტანად მოსაწონს ნახავდნენ, ცხენზე დაკრულს მიაქროლებნენ მრისხანე პატრონთან.

კორესპოდენტი წერს: – ჩვენ გვინდა რომ კიდევ ძალიან ბევრი გვიამბოს თილაბღან ქეცბაიამ თავის წარსულზე, მაგრამ ვშიშობთ არ გადავღალოთ 150 წლის მოხუცი და შესვენებას ვთხოვთ, მაგრამ ის უარს ამბობს და საუბარს აგრძელებს...

დინჯად, დაბალი ხმით აგრძელებს მოყოლას: – **"ჩვენ არც პური გვქონდა და არც სიმინდი გაგვაჩნდა, ვიკვებებოდით მხოლოდ და მხოლოდ ველური ხილით, ღომის-ღომით, ხორცით, რძით, მაწვნით. ტანზე გვეცვა სელის შინაური ქსოვილი, ფეხზე კი ქალამნები. ვცხოვრობდით ტყეში, მთიან ადგილებზე. ზღვისპირად ცხოვრებისა გვეშინოდა, მოსალოდნელი იყო თავს დაგვსხმოდნენ და მონებად გავეყიდეთ ოსმალეთში. განთქმულ ვაჟკაცად ითვლებოდა ვინც უფრო მეტ ტყვეს ან პირუტყვს მოიტაცებდა. თითოეული ჩვენთაგანი ცდილობდა კარგი მსროლელი ყოფილიყო. პირადად მე გულად ვაჟკაცად მცნობდნენ და საუკეთესო მონადირედ მთვლიდნენ. სწორედ ამან მიშველა, რომ ცოცხალი გადავრჩი, შვიდჯერ დავიხსენი თავი აბრაგების ტყვეობიდან, ქურდობა ვაჟკაცურ საქმედ იყო აღიარებული, მაგრამ თუ ბატონი გაიგებდა და მას არაფერს მისცემდი, უმძიმესი სასჯელი გელოდა, ტანჯვა-წამებაში ამოგხდებოდა სული.**

**რაც შეეხება ქორწინებას, თუ ვაჟს ვინმეს ცოლად შერთვა უნდოდა, ცეკვა-თამაშის დროს ვაჟს თავის სატრფოსთვის ქუდი უნდა ესროლა და თუ მოახვედრებდა, ქალს უარის თქმა არ შეეძლო. პირადად მე სამოცი წლის ვიყავი როცა ქალი შევირთე, ჩემი უფროსი ვაჟი ახლა 90 წლისაა."**

**"ასე დაამთავრა თავისი ახალგაზრდობის მოგონება მეცხრამეტე საუკუნის ცოცხალმა მემატიანემ, ნაძვების ძირას მოვისმინეთ უხუცესი ადამიანის ნაამბობი."** ასე ამთავრებს თავის წერილს ჟურნალისტი ვარლამ ჟურული. როგორც თილაბღანის შთამომავალი გრიშა ქეცბაია იხსენებს, მას ეს გაზეთი სიკვდილამდე შენახული ჰქონია.

გალში ახლა თილაბღანის სიჭაბუკის დროინდელი ხეც არ მოიპოვება. მოხუცის თვალწინ წარმოიშვა და გაიზარდა ყოფილი დაბა-ქალაქი გალი.

**"გალ"** – ანუ შეკრთაო, ასე იყო ლეგენდა, რომელიც ბავშვის ტირილზე (ჭექა-ქუხილის დროს) ჩაისახა სამურზაყანოს ტყეში, რაც თითქოს ამჟამინდელი გალის სახელწოდებას მიეკუთვნება, ხოლო უწინ აქ მხოლოდ ნადირნი ბუნაგობდნენ. თილაბღანის ბაბუამ უჩა ქეცბაიამ აქ დადგა პირველი ფაცხა და ზეცისკენ გააგზავნა ღატაკი ადამიანის კერიის კვამლი, აქ გაიზარდა 150 წლის თილაბღან ქეცბაია, შემდეგ კიდევ მთელი მისი შთამომავლობა. თუ ქ. გალის პირველ მოსახლედ დღემდე გავრცელებული ვერსიის თანახმად, თილაბღან ქეცბაია ითვლებოდა, თვით მისსივე საუბრიდან ირკვევა, რომ პირველი, ბაბუამისი უჩა ქეცბაია ყოფილა. ასე, რომ გალის, როგორც დასახლებული პუნქტის ისტორია უფრო შორეულ წარსულშია დაფესვიანებული.

**მოამზადა იური კაკავამ**

# "ცხუმ–აფხაზეთი: ბრძოლა ქართველი ერის ერთიანობიდან უცხო იარაღის ძალით მოწყვეტილი სულებისთვის..."

*ერთ-ერთ ქართულ გაზეთში გამოქვეყნდა გიორგი გაჩეჩილაძის სტატია **"ცხუმ–აფხაზეთი: ბრძოლა ქართველი ერის ერთიანობიდან უცხო იარაღის ძალით მოწყვეტილი სულებისთვის..."**, რომელიც საქინფორმმა შესთავაზა მკითხველს:*

ადრე ცნობილი გახდა იმ დიდი სამუშაოს ზოგიერთი დეტალი, რომელსაც შორსმჭვრეტელი ადამიანები ქართული ეკლესიის სულიერი კონტროლის ქვეშ აფხაზეთის თანდათანობით დაბრუნებისთვის ატარებენ.

შეგახსენებთ, რომ როგორც ა.წ. 12 აგვისტოს გაზეთი **„ასავალ–დასავალი"** იუწყებოდა, რომ **„ნაცმოძრაობის"** და სააკაშვილის უახლოესი გარემოცვის ქმედითი მონაწილეობით შემუშავებული გეგმა ითვალისწინებდა მამა დავით სარსანიას განსაკუთრებულ როლს აფხაზეთში საქართველოს ინტერესების დაცვაში.

მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, რომ გაბედული პროექტის განხორციელებას ხელი მოჰკიდეს ადამიანებმა, რომელთა სიტყვა და საქმე ერთია. ა.წ. სექტემბრის ბოლოს, კონსტანტინოპოლთან შეთანხმებით, რომელიც თურქი პარტნიორების დახმარებით იქნა მიღწეული, მამა დავითის აფხაზეთში დაბრუნება მოხერხდა: ძველი ათონის (საბერძნეთი) წმინდა პეტრეს მონასტრიდან ის მუდმივ საცხოვრებლად ახალ ათონში გადავიდა.

ფაქტობრივად, მისი ჩამოსვლისთანავე – ა.წ. 2 ოქტომბერს, ახალი ათონის მონასტერში გაიმართა **„აფხაზეთის წმინდა მიტროპოლიის"** (როგორც მას დღეს უწოდებენ) საბჭოს რიგგარეშე სხდომა. ამ შეკრებაზე მონასტრის წინამძღვრის მოვალეობები მამა დავითს დაეკისრა. მონასტრის წინამძღვრები, ჩვეულებრივ, საკმაოდ მოწიფულ ასაკში ხდებიან, და მღვდლის ან ეპისკოპოსის ხარისხში. მონასტრის სათავეში ახალგაზრდა დიაკვნის დაყენება, რომელიც, ამასთან, მთელი ბოლო წლები საზღვარგარეთ ცხოვრობდა – უკიდურესად იშვიათი, შეიძლება ითქვას, თანამედროვე პრაქტიკაში უპრეცედენტო მოვლენაა. ალბათ, ეს ახალგაზრდა ღვთისმეტყველის ბრწყინვალე ნიჭის გათვალისწინებით გაკეთდა, რომელმაც, ამასთან, სულიერი გამოცდილება ათონზე, ბერძნული ეკლესიის ბერმონაზვნურ ციტადელში მიიღო.

ამით, როგორც ადრე პროგნოზირებდნენ, ნაციონალისტურად განწყობილი მამა ანდრეი ამპარი, რომელსაც მანამდე სეპარატისტულ **„მიტროპოლიაში"** ორიდან ერთ–ერთი საკვანძო პოზიცია ეკავა, ჩრდილში გადადის, ხოლო მამა დავითის მდგომარეობა მის ადმინისტრაციულ სტრუქტურაში შესამჩნევად მყარდება.

მცირე ხნის შემდეგ, ა.წ. 11 ოქტომბერს, თბილისში წმინდა სინოდის სხდომა გაიმართა. საპატრიარქოში აფხაზური მიწების ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციაში დაბრუნების კომპლექსური პროგრამა დახურულ კარს მიღმა მსჯელობის ერთ-ერთი მთავარი საგანი იყო.

მნიშვნელოვანია, რომ ამჯერად წმინდა მამები მხოლოდ ჩვეული დეკლარაციებით არ შემოიფარგლნენ იმის თაობაზე, რომ აფხაზეთი – ჩვენი განუყოფელი ნაწილია, ხოლო სხვა ეკლესიის მსახურებს მის საქმეებში ჩარევის უფლება არა აქვთ. მსგავსი სიტყვები ადრეც არაერთხელ გაისმოდა, მაგრამ მათ არანაირი რეალური ნაბიჯები სიტუაციის გამოსასწორებლად არ მოჰყვებოდა.

რა თქმა უნდა, მამა დავით სარსანიას სახელი პირდაპირ არ არის ნახსენები სინოდის დადგენილების იმ ნაწილში, რომელიც ქართულ ტერიტორიებზე – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სიტუაციას ეხება და საჯარო გახდა. თუმცა გათვითცნობიერებულმა ადამიანებმა დაგვარწმუნეს, რომ ინფორმაცია **„საქართველოს საპატრიარქოს სამღვდელოებაზე, რომელიც პერიოდულად ჩადის აფხაზეთში და იქ ღვთისმსახურებას ატარებს"**, სწორედ ამ ნიჭიერ ბერს ეხება, თუნდაც საკმაოდ ბუნდოვანი ფორმით.

შეგახსენებთ, რომ აფხაზეთის საქართველოდან მოწყვეტის მიუხედავად, მამა დავითს არასდროს შეუწყვეტია საქართველოს საპატრიარქოსთან კონტაქტი და არაერთხელ არის ნამყოფი საქართველოში. 2000 წელს ის ქართველმა ეპისკოპოსმა ანდრია გვაზავამ ბერად აღკვეცა და მაშინვე იქნა ხელდასხმული დიაკვნად თავად კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის მიერ. მას ნდობით აღსავსე მეგობრობა აკავშირებს ზოგიერთ სხვა მაღალი წოდების ქართველ მღვდელმსახურთანაც.

მომდევნო წლებში მამა დავით სარსანია დიაკვნად მსახურობდა წმინდა გიორგის ტაძარში, რომელიც მოსკოვში ქართული სათვისტომოს სალოცავი ადგილია, შემდეგ კი შესანიშნავი საღვთისმეტყველო განათლება მიიღო დასავლეთ ევროპაში – შვეიცარიაში. შემდეგ მამა დავითი ათონის სახელოვან მთაზე დასახლდა აგიუ პავლუს მონასტერში, მსოფლიო პატრიარქ ბართოლომეოს I-ის სულიერი მფარველობის ქვეშ.

ახლა ქართული ეკლესიის ამ სასულიერო პირის საქმიანობას უკავშირდება ძირითადი იმედები საქართველოსთვის ახალი ათონის მონასტრის თანდათანობით დაბრუნებაზე. ოცნებები შესაძლოა რეალობად ბევრად უფრო ჩქარა იქცეს, ვიდრე ზოგიერთი ფიქრობდა. გამოჩენილი ქართველი მღვდელმთავრების აზრით, სამართლიანობის აღდგენისკენ გზა შესაძლოა საგრძნობლად შემოკლდეს ქართულ-რუსული ურთიერთობის საგრძნობი გაუმჯობესების შუქზე.

პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია: ყველა შესაძლო ევროატლანტიკური პარტნიორის ამოქმედებით აფხაზეთის სულიერი რეინტეგრაციის პროექტის განვითარების ადრეულ სტადიებზე **„ნაციონალურმა მოძრაობამ"** ამ გაბედული ჩანაფიქრის განხორციელებისთვის ყველა სხვა პოლიტიკურ ძალაზე მეტი გააკეთა. ახლა კი ქართველი **„ეკლესიის აზნაურები"** პრაქტიკულად დაუფარავად ამბობენ, რომ სწორედ საქართველოს პრეზიდენტის პოსტიდან მიხეილ სააკაშვილის წასვლა შეუწყობს ხელს **„ოპერაციის"** წინსვლას და გამარჯვებამდე მიყვანას.

ვნახოთ!

# ამბები სამეგრელოდან

## იაპონიის კონსული ხურჩის საბავშვო ბაღში

იაპონიის კონსულმა ჰიროკი ტოკუნაგამ ამ დღეებში ხურჩის საბავშვო ბაღი მოინახულა. კონფლიქტის პირა საბავშვო ბაღში იაპონიის საელჩო მუნიციპალიტეტის გამგეობასთან თანადაფინანსებით ბაღის სამშენებლო–სარეაბილიტაციო სამუშაოებს ჩაატარებს.

## *NEO*-ს წარმომადგენლობამ განხორციელებული პროექტები დაათვალიერა

ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების ინიციატივა NEO-ს წარმომადგენლობამ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელთან გიორგი თოდუასთან ერთად ზუგდიდის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტები დაათვალიერა. NEO-მ დღეს აგრეთვე მოინახულა ახალი საპროექტო განმცხადებლის ტერიტორია.

ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების ინიციატივა (NEO) ზუგდიდის მუნიციპალიტეტში თანადაფინანსებით სხვადასხვა პროექტებს ახორციელებს, როგორც ინფრასტრუქტურის, ასევე სოფლის მეურნეობის კუთხით.

## ღია პირველობა „მხიარულ თამაშებში“

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის სპორტის სამსახურისა და სპორტის განვითარების ცენტრის ერთობლივი პროექტით, ამას წინათ დაიწყო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ღია პირველობა **„მხიარულ თამაშებში“**. პირველობისათვის ერთმანეთს 32 საჯარო სკოლა ეჯიბრება. გამარჯვებული მალე გამოვლინდება.

## მეცნიერები ფოთისა და ხობის ეპარქიას სტუმრობდნენ

17 ნოემბერს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის, ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები ფოთისა და ხობის ეპარქიას სტუმრობდნენ. ფოთში მეცნიერებმა ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ მეუფე გრიგოლთან ერთად **„ახალი დროის ქართველი ფილოსოფოსების“** თემაზე კონფერენცია გამართეს, რომელსაც სტუდენტები, მრევლი და მღვდელ-მონაზვნები ესწრებოდნენ. კონფერენციის შემდეგ კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა თენგიზ ირემაძემ, პროფესორებმა მიხეილ გოგატიშვილმა, ლალი ზაქარიაძემ, გიორგი თავაძემ და გიორგი ხუროშვილმა მოილოცეს ეკლესია მონასტრები, მათ შორის ხორგის თემში წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძარი, პირველი მაისის თემში ყოვლადწმინდის ქალწულ მარიამის ტაძრად მიყვანების, წმიდისა დიდისა მოწამისა გიორგისა და წმიდისა მღვდელმთავრისა და საკვირველმოქმედისა ნიკოლოზის საეკლესიო კომპლექსი და ხობის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი.

## ხობის ციტრუსი – წარმატებული საექსპორტო პროდუქტი

რამდენიმე დღის წინ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი ედიშერ ჯობავა ხეთის თემს ესტუმრა. მან ხეთის თემის რწმუნებულ შავლეგ ბუკიასთან ერთად ციტრუსის პლანტაციები დაათვალიერა და ციტრუსის მიღების პროცესს დაესწრო. წელს ციტრუსი განსაკუთრებულად მოსავლიანია. მანდარინის შესყიდვაში აქტიურადაა ჩართული ადგილობრივი **შპს**-ის წარმომადგენლები. ხეთის, პირველი მაისისა და ხამისკურის თემებიდან საზღვარგარეთ მანდარინითა და ხურმით დატვირთული უკვე 7 სატვირთო ტრაილერი გავიდა. დღეს ციტრუსს ხარისხის მიხედვით ფერმერისაგან 0,50-0,80 თეთრად გადამზიდავი კომპანია **„სხალთა“** იბარებდა, რომელსაც სატვირთო ტრაილერზე დატვირთული მანდარინი საექსპორტოდ უკრაინაში გააქვს.

## კარატე-დო-ში გამარჯვებული

ნოემბრის დასაწყისში ქ. ერევანში 16-17 წლიანთა შორის საერთაშორისო ტურნირი გაიმართა კარატე-დო-ში, მასში აღმოსავლური ორთაბრძოლების სხვადასხვა მიმართულების 2000-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. ტურნირი მსოფლიო ფედერაციის მიერ დადგენილი წესით ჩატარდა, როგორც ვაჟებში, ასევე გოგონებში გაიმართა ორთაბრძოლები. გამოვლინდნენ გამარჯვებულები, ხობელმა გოგა კორტავამ ამ ტურნირში პირველი ადგილი მოიპოვა და დაჯილდოვდა სიგელითა და მედალით.

## გამგეობის წარმომადგენლებმა ჯამბულ შეროზიას ინვალიდის ეტლი გადასცეს

შაბათს, 9 ნოემბერს ხობის მუნიციპალიტეტში საჯიჯაოს თემში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ჯამბულ შეროზია, რომელსაც გადაადგილება წლებია არ შეუძლია, მოინახულეს და ინვალიდის ეტლი გადასცეს ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ, გამგებლის მოადგილეებმა მახარე ჩოკორაიამ და ედიშერ ჯობავამ და **„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“** ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ვარაზ გაბედავამ. მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლები ადგილზე გაეცნენ იქ არსებულ პრობლემებს და თანადგომა აღუთქვეს ოჯახს.

## რეფორმა საქართველოს რეგიონების სამუსიკო და სახელოვნებო სკოლებში

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ დააკმაყოფილა მუსიკალური და სახელოვნებო სასწავლებლების მოთხოვნა ახალი სასწავლო პროგრამის შესახებ. სამინისტროს ინიციატივით მიმდინარეობს პროგრამის პროექტზე მუშაობა, რაც ერთგვარი რეფორმის ხასიათს ატარებს.

თვენახევრის წინ, აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია სხვადასხვა რაიონების მუნიციპალიტეტების გამგებლებს, ასევე კულტურის სამსახურის ხელმძღვანელებს შეხვდა, განხილვას მინისტრის მოადგილე ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი დაესწრო.

პროექტი გულისხმობს 2014 წლიდან, ექვსწლიანი მუსიკალური და სახელოვნებო სკოლების შვიდწლიან სწავლებაზე გადასვლას (რეფორმაში ჩართულობა ნებაყოფლობითია); შვიდწლედის, ცხრაწლედის და თერთმეტწლედისთვის სპეციალური სასწავლო პროგრამების შემუშავებას და ასევე, სკოლის დამთავრების დამადასტურებელი მოწმობების გაცემას არა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების, არამედ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ.

პროექტის განხორციელების შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან გაფორმდება მემორანდუმები სამინისტროს მიერ შემუშავებული სასწავლო პროგრამების რეგიონულ სამუსიკო სკოლებში დანერგვის მიზნით. აღნიშნული რეფორმა რეგიონების მოსწავლე ახალგაზრდების სასწავლო პროგრამის გაუმჯობესებას, ცოდნის ამაღლებას ემსახურება და მასში ჩართვა ნებაყოფლობითია.

მინისტრთან შეხვედრაზე აღნიშნულ საკითხებთან ერთად განიხილება მოწმობების ნიმუშის ვერსიები.

რეფორმის განხორციელება დღის წესრიგში გურამ ოდიშარიას რეგიონებში ვიზიტების შედეგად დადგა.

მინისტრმა გაითვალისწინა სახელოვნებო და სამუსიკო სკოლების პედაგოგების, ხელოვანების, მოსწავლეების მოსაზრებები, რის შედეგადაც, მინისტრის ბრძანებით, კონსერვატორიაში დარგის სპეციალისტებისგან სპეციალური კომისია შეიქმნა. კომისიამ, ფაქტობრივად, უკვე დაასრულა შვიდწლედის, ცხრაწლედის და თერთმეტწლედის სასწავლო პროგრამებზე მუშაობა.

# ყოფნა–არყოფნის ზღვარზე

*(გაგრძელება 1 გერდიდან)*

ნებისმიერი ენა, რომელიც ნარევია და საკუთარი, ეროვნული კომპონენტი არ შედის, მის შემადგენელ ენებზე უმცროსი ასაკისაა, მეგრული ენის არსებობისა და შესაძლებლობის იგნორირებით, ტენდენციური მიდგომითა და შედეგის გაუაზრებლობით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას თვითლიკვიდაციამდე მიჰყავს ქართველი ერი. დროა, დავარისხოთ განგაშის ზარები! მართალია, ძალზე მძიმეა, როცა საუკუნეების განმავლობაში გინერგავდნენ უპირატესობას თანამოძმეებზე, რომ მათ შორის შენ ხარ რჩეული და ჰეგემონი, უნდა ბატონობდე მათ და უცებ გებულობ, მთლად ასე არ ყოფილა საქმე. მაგრამ გევედრებით, დამშვიდდეთ და გაიაზროთ, როცა თავსმოხვეული სიცრუის გამოაშკარავებას ტრაგიკულად განიცდი და ტირილმორეული იხვეწები: **„უპასუხეთ, თორემ დავილიე კაციო“**, ვეფხისა და მოყმის ბალადის შემქმნელი ერის შვილს არ უნდა გაუჭირდეს სხვისი ჭირის შეგრძნება და გაიაზროს: ნაკლებ მძიმე ასატანია კაცობრიობის პირველი ცივილიზაციისა და მხედრულ-ასომთავრული დამწერლობის შემქმნელ ენაზე მწერლობის აკრძალვა და ამ ენის მფლობელი ხალხის, 6-7 საუკუნის განმავლობაში, სახელმწიფო დონეზე სულიერ-ზნეობრივი სიმაღლის ხელოვნურად დაკნინება, არასრულყოფილი ტომის სინდრომის შთანერგვა და მონობასთან შეგუებისკენ ორიენტირება? გადახედეთ ისტორიას, მოსე ხონელისა და შოთა რუსთაველის, იგივე, შოთა ვარდანის ძე დადიანის (იხ. ამირან ცამციშვილ-ფიცხელაური, რუსთაველის ვინაობის შესახებ) შემდეგ მე-19 საუკუნემდე მეგრელები არ ჩანან სამოღვაწეო ასპარეზზე. წარმოიდგინეთ თქვენი თავი ყველაფერი ამ ჭეშმარიტების გამცნობიერებელი მეგრელის ადგილზე. მაგრამ გავიცნობიერეთ რა, რომ უზენაესი შემოქმედის ნების გარეშე არაფერი ხდება და ისტორიის თავდაყირა დაყენება შედეგია ოდესღაც იბერთა მიერ დაშვებული შეცდომისა, დავიწყეთ გამოსავლის ძიება და გაგვახსენდა მაცხოვრის შეგონება: **„თუ შენი ძმა ცდება და ცუდ გზას ადგას, შეეცადე მოაქციო. თუ არაფერი გამოგივიდა, ჩათვალე ძმა დაკარგე“** (ინტერპრეტაცია ჩემია, კ.ფ.), და გაიღვიძა ჩვენში იმედის ნაპერწკალმა, რომ გამოჩნდებიან გონიერი მამულიშვილები, რომლებიც გააცნობიერებენ, რომ თითოეულმა ქართველმა, აუცილებელია, გაითავისოს და შეიგნოს: ადამიანი შექმნილია არა მონობისათვის, არამედ განღმრთობისათვის, არადა, ასე არსებობის გაგრძელება გამორიცხულია, უნდა დავძლიოთ ეგოიზმი, გავუწოდოთ ერთმანეთს ძმობის ხელი, გავაღვიძოთ ერთმანეთში **იბერი**ული სული, რაც **უზენაეს ნათელთან მოკავშირედ ყოფიერს** ნიშნავს და თუ ეს შევძელით, ყველა დაგვეთანხმება – უზენაესი შემოქმედის მოკავშირე უძლეველია, თანამდგომნიც გაგვიმრავლდება და შემოქმედის ჩანაფიქრიც განხორციელდება.

ქართველი ერის გადარჩენა არა გაუცხოებით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ე.წ. მეგრული ენის ფენომენის ღვთითბოძებულ საკუთრებად აღიარებითა და გათავისებითაა შესაძლებელი. მისი იგნორირება და მოსპობა უძიმესი დანაშაულია კაცობრიობის წინაშე.

სამარცხვინო რამ სჭირთ ენათმეცნიერებს. ნებისმიერი მეცნიერება მისი ჩასახვის საფუძვლების შესწავლით იწყება, ენისა და მეტყველების წარმოშობაზე მოხსენებების განხილვა კი საენათმეცნიერო საზოგადოების მიერ 1866 წლიდან ოფიციალურად აკრძალულია, რამეთუ ენისა და მეტყველების წარმოშობაზე ცნობები სამუდამოდ დაკარგულად მიაჩნიათ. ქართველი მეცნიერებიც, სამწუხაროდ, ამ დანაშაულებრივი აკრძალვის ტყვეობაშია.

განგების ნებითა და წყალობით მეტყველების წარმოშობის საიდუმლოებები, ერთადერთს დედამიწაზე, ე.წ. მეგრულ ენას აქვს შემონახული. ამ საიდუმლოებების მფლობელი სხვა ენა ჯერჯერობით უცნობია და თუ აღმოჩნდება, აი, ბედნიერება ჩვენთვის, რამეთუ რაც მეტი მეცნიერი და საზოგადოების წარმომადგენელი შეძლებს აღიქვას ბუნებაში არსებული სამეტყველო ბგერები, თითო თანხმოვნითა და თანხმოვან ბგერათა ჰარმონიული კომპლექსებით გამოსახული მრავალი სრულყოფილი სიტყვების ბუნების კარნახით მიღების მექანიზმები (იხ. მ. ძაძამიას, ც. ძაძამიას და ვ. ვახანიას შვიდტომეული **„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“** და ჩემი გამოკვლევები **„თითო თანხმოვნითა და თანხმოვან ბგერათა ჰარმონიული კომპლექსებით გამოსახულ სიტყვათა მიღებაზე“**, რომელიც გამოუქვეყნებელია), მით მეტი ადამიანი ჩაწვდება ბუნების (ღვთიურ) კანონზომიერებებს, მით მეტი ადამიანი შეძლებს ბუნების ძალების სრულყოფილ შეცნობას და მათთან ჰარმონიულ თანაცხოვრებას, გაიცნობიერებს უზენაესი შემოქმედის უდიადეს ჩანაფიქრს, ადამიანი ადამიანს სულ სხვა თვალით დაინახავს და ველური ცხოველივით მხოლოდ მიღებაზე კი არა, იზრუნებს როგორ შეიძინოს ღვთიური თვისება და ნათელი, რომ უანგაროდ და უშურველად გასცეს ღვთიური სიბრძნე გარემოცვას. მაშინ ადამიანი ჩემსავით დევნილი არ იქნება და სიდუხჭირეში კი არ იცხოვრებს, არამედ დაიბრუნებს ღვთიურ ცხოვრებას – ოდესღაც არსებულ სამოთხეს.

ნუ გგონიათ ჩემთვის რამეს ვითხოვდე ან ფანატიკოსი ვიყო, მაგრამ ღრმად მჯერა, უზენაესმა კოსმიურმა გონმა ადამიანი შექმნა არა მარადიული ტანჯვისთვის, არამედ განღმრთობისათვის, რომ თავისი სიდიადის ღირსეული და სრულყოფილი შემფასებელი ჰყოლოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში თვით შემოქმედიც ვერ იარსებებდა, რამეთუ არავის ეცოდინებოდა მის არსებობაზე. მრავალ განსაცდელს, სწორედ იმიტომ გვივლენს, რომ განსაცდელიდან გამოსავლის ძიებაში უფრო და უფრო მეტი სიბრძნე შევიძინოთ, რომლის შემდეგ ტანჯვით მიყენებული ტკივილი მოგვეხსნება, მადლობას ვეტყვით შემოქმედს და კი არ შევიძულებთ, არამედ წმინდა სიყვარულით შევიყვარებთ ჩვენში არსებულ ღვთიურ ნაპერწკალს, ჩვენს ჭეშმარიტ **„მეს“** და გარემომცველ ხილულ, თუ უხილავ უსასრულო სამყაროს, ანუ უზენაეს შემოქმედს. ხოლო ვინც აქეთკენ არ მიისწრაფვის, ბოდიშს ვიხდი პატ. მკითხველის წინაშე, მიმიფურთხებია ზოგიერთის მილიონებისა და მილიარდებისათვის, არაფრით განსხვავდება ველური ცხოველისაგან და, განღმრთობა კი არა, ადამიანის რანგამდეც ამაღლების გზა მისთვის ბნელითაა მოცული.

ღმერთმა ნუ ქნას, თუ ვერ მივაღწიეთ მეცნიერულ დონეზე შეთანხმებას, თუმცა, აღარ მჯერა ეს ქართველი კაცის ნება იყოს, რადგან ჩვენი ქვეყნის ისტორიის გაუკუღმართებაში არმენთა ლომის წილი დევს, მაგრამ ქვეყანა ისეა არეული, მტერმოყვარის გარჩევა შეუძლებელია, ჭეშმარიტების თაყვანისმცემელი და სიცრუის მგმობელი კი არავინ ჩანს – ყველა დამუნჯებულია, ასეთ შემთხვევაში, შეიძლება ქართის ტომი ან მხოლოდ შოვინიზმით სულდგმულობს, ან კიდევ, ეს ჩვენ გვგონია სახელმწიფო გვაქვს, თორემ ფარულად გაბატონებული აგრესორის მონაა, ამიტომ არც ძმას ვემონებით და არც მონის ძმობა გვინდა, სხვა რა გზა დაგვრჩენია, **დამოუკიდებლობა უნდა გამოვაცხადოთ**. არ გვეეჭვება, ამაში მსოფლიოს პროგრესული საზოგადოება მხარს დაგვიჭერს. ადამჟამინდელი ეთნოსის ენის შეურყვნელად დღემდე არსებობა უზენაესი შემოქმედის ნებაა და, თუ შეცდომებს ავირიდებთ, აღარ გაგვწირავს. თუ ოდესმე ჩვენმა გულებმა ერთმანეთს დაუძახეს და შეთანხმებას მივაღწიეთ, შეიძლება ისევ გავერთიანდეთ.

**კუკური ფიფია,**
**„ფაზისისა“ და „აიას“ საეროსამეცნიერო აკადემიების წევრი, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი**

# ზვიად გამსახურდიას ორეული ოცდაერთწლიან საიდუმლოს ფარდას ხდის!



*პატივცემულო მკითხველო, ჩვენს რესპონდენტს ამ უცნაური ისტორიის შესახებ ჟურნალისტებთან, მით უფრო, საგაზეთოდ და სატელევიზიოდ, არასოდეს უსაუბრია!.. აქედან გამომდინარე, წინამდებარე ინტერვიუ ქართულ პრესაში უპრეცედენტოა... საქმე ის გახლავთ, რომ 21 წლის წინათ სოხუმელმა ბიზნესმენმა გივი ქობალიამ ავადსახსენებელი 1992 წლის 16 იანვარს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ორეულის ფუნქცია იტვირთა, რითაც ხუნტასა და მის დამქაშებს სერიოზული თავის ტკივილი აუტეხა!..*

*სპეცოპერაცია მარშრუტით "სოხუმი-გროზნო-ერევანი-გროზნო-სოხუმი" გივი ქობალიას მონაწილეობით იმდენად გასაიდუმლოებულ ვითარებაში ჩატარდა, მთელ სოხუმსა და აფხაზეთს დაახლოებით სამი თვის განმავლობაში სჯეროდა, რომ ხუნტის მიერ თბილისიდან განდევნილმა ზვიად გამსახურდიამ სწორედ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქს შეაფარა თავი!..*

*ის კი არა, არძინბა იმ დღეებში შეშინებული კითხულობდა თურმე – კი მაგრამ, პრეზიდენტი მე რატომ არ მეძახის და არ მიღებსო?!*

*თვით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს მაშინდელ უფროსს, ლეგენდარულ ბათუ საღინაძეს დღემდე ჰგონია, რომ სოხუმში, მაშინ მართლაც ზვიად გამსახურდია ჩაფრინდა, მაგრამ...*

**– ბატონო გივი, ჩვენ მაშინ ყველას გვეგონა, რომ მართლაც ზვიად გამსახურდია ჩამოფრინდა სოხუმში... როგორ დაგეგმეთ ეს ყველაფერი, რა მოხდა, როგორ მოხდა, ყველაფერი გვაინტერესებს!..**

– მე სოხუმში **"ცეხები"** მქონდა. ბიზნესმენი კაცი ვიყავი... მოგვივიდა ინფორმაცია, რომ სომხეთში ბატონი ზვიადის მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო. მას იქიდან ცოცხალს არ გამოუშვებდნენ... დავიწყეთ ფიქრი, თუ როგორ უნდა გვეშველა პრეზიდენტისთვის. ბატონმა გოჩა ბახიამ ითავა ეს ამბავი და სომხეთისკენ მიმავალი ტვირთებიც გავაჩერეთ და ხალხიც გავაჩერეთ... სომხეთის პრეზიდენტს ლევონ ტერ-პეტროსიანს გავუგზავნეთ საპროტესტო დეპეშა. ერთი კვირის შემდეგ გადავწყვიტეთ, აგვეყვანა თვითმფრინავი და ჩავფრენილიყავით გროზნოში. ამისთვის მივმართეთ ზაურ ხაინდრავას...

**– ზაურ ხაინდრავა ვინ იყო?**

– სოხუმის აეროპორტის უფროსი. მაგარი პატრიოტი კაცი იყო ბატონი ზაური, მაგარი ჩვენიანი... სოხუმის აეროპორტიდან ოფიციალურად გამოვიწერეთ თვითმფრინავი – **"*TY-134M*"**, ვითომ ჩარტერული რეისით ტვირთი უნდა ჩამოგვეტანა გროზნოდან. ფული, ყველაფერი ოფიციალურად გადავიხადეთ...

**– რამდენი გადაიხადეთ?**

– 22 ათასი მანეთი გადაიხადა ბატონმა ვესნერ ქარდავამ, რომელიც იყო ბიზნესმენი. ამ ფულის გადახდაში ასევე მონაწილეობა მიიღო წურწუმიამ, სამწუხაროდ, სახელი არ მახსოვს. 8 იანვარს სომხეთიდან ჩამოვიდა გოჩა ბახია, რომელმაც გვითხრა, თუ რა მძიმე მდგომარეობაში იყო პრეზიდენტი და 12 იანვარს გავფრინდით გროზნოში. ჩვენთან ერთად იყვნენ: ზური ლომია, გოჩა ბახია და კიდევ სხვა ბიჭები, ასე, რვაცხრა კაცი ვიქნებოდით... დეპუტატებიდან იყო ნუგზარ მოლოდინაშვილი, რომელიც სხვადასხვა მიზეზებს იგონებდა, რადგან არ უნდოდა წამოსვლა, მაგრამ ძალით წავიყვანეთ. ასევე, თან გვახლდნენ ჩეჩნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ორკაციანი ჯგუფი, რომელიც დუდაევს გამოეშვა საქართველოში – ნახეთ, რა ხდება, რა ამბავიაო!.. ესენი ჩეჩნეთიდან მოდიოდნენ **"გაზ-24"**-ით და გზად ავარიაში მოყვნენ. მანქანა დაემტვრათ. მოვიდნენ ჩვენთან სოხუმში... ჩეჩნებმა რომ ნახეს სიტუაცია, თავად შემოგვთავაზეს, ჩავიდეთ და დუდაევს დაველაპარაკოთო!.. ჩვენ უკვე თვითმფრინავი გამზადებული გვყავდა, ეს ჩეჩნებიც ჩავსვით და გავფრინდით გროზნოში. იქ დაგვხვდნენ მერაბ ჩუხუა და კიდევ სხვა ქართველები, რომლებმაც სასტუმროში მოგვაწყვეს. იმ ჩეჩნებმა მაშინვე მიგვიყვანეს ჯოჰარ დუდაევთან, რომელსაც ყველაფერი მოვუყევით და ვუთხარით, თუ რა უმძიმეს მდგომარეობაში იყო მისი მეგობარი, საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

**– ბატონო გივი, რა გეგმა გქონდათ, რის გაკეთებას აპირებდით?**

– დაბნეულები ვიყავით... თავიდან გეგმა ასეთი იყო, რომ თითქოს პრეზიდენტი დასავლეთ საქართველოში უნდა ჩაგვეყვანა, მაგრამ მერე სიტუაცია რომ შეიცვალა და სოხუმში არძინბამაც კატეგორიული უარი გვითხრა ზვიადის მიღებაზე, იძულებული გავხდით, გვეძებნა ახალი ადგილი, სადაც პრეზიდენტი უსაფრთხოდ იქნებოდა.

**– არძინბამ მაინც რა გითხრათ?**

– არძინბამ ჩვენს დელეგაციას გამოუცხადა – ვერ მოგცემთ ვერანაირ გარანტიას, რომ როგორც კი ზვიად გამსახურდია სოხუმში ჩამოფრინდება, პუტჩისტები აფხაზეთში არ შემოიჭრებიან და აქაც უბედურებას არ მოახდენენო!..

**– დუდაევს რაზე ელაპარაკეთ და რა გიპასუხათ?**

– დუდაევს პირდაპირ მოვთხოვეთ – გინდათ თუ არა, ჩაერიეთ და ზვიადი გადაარჩინეთ-თქო!.. დუდაევმა სამი დღის ვადა ითხოვა მოსაფიქრებლად. ცნობილია, რომ ბოლო მომენტში, როცა სომხები მას უარს ეუბნებოდნენ ზვიადის გადაცემაზე, დუდაევმა ტერ-პეტროსიანს პირდაპირ უთხრა – თუ ზვიად გამსახურდიას თვითმფრინავს აფრენის საშუალებას არ მისცემთ, მე ახლავე ვჯდები ბომბდამშენში და ვბომბავ ერევანსო!... ამაზე სომხეთის ხელისუფლება შეშინდა და უკან დაიხია... ჯოჰარ დუდაევი ამის გამკეთებელი იყო, თვითმფრინავი დაქოქილი ჰყავდა. ერთი სიტყვით, სამი დღის განმავლობაში ველოდებოდით დუდაევის გადაწყვეტილებას... ვისვენებდით ზუსტად იმ სახლში, სადაც მერე ზვიად გამსახურდია ცხოვრობდა გროზნოში. 15 იანვარს, სადღაც საღამოს 7 საათზე, ზვიად გამსახურდია უკვე გროზნოში იყო...

**– ეს თქვენი თვითმფრინავით მოხდა ხომ?**

– დიახ, ჩვენ ჩავფრინდით გროზნოდან ერევანში და ჩამოვიყვანეთ პრეზიდენტი გროზნოში. ხომალდის მეთაური გახლდათ ბატონი ზაურ ბედია.

**– ბატონო გივი, ეს ცნობილი ისტორიაა, ბატონი ზაურის გმირობა მართლაც ენით აუწერელია, მაგრამ ის ამბავი საიდან მოიფიქრეთ, რომ სოხუმში ვითომდა პრეზიდენტის ჩაფრენის სცენა გაგეთამაშებინათ?**

– გროზნოდან ჩვენ გამოვფრინდით, 16 იანვარი რომ თენდებოდა, იმ ღამეს... დაახლოებით ღამის ორი საათი იქნებოდა და ბატონმა გოჩა ბახიამ წამოსვლის წინ ბატონ ზვიადს პალტო სთხოვა – ბატონო პრეზიდენტო, თქვენი პალტო გამატანეთო!.. ზვიადმა პალტო გაიძრო და მისცა... მე ჩავიცვი პრეზიდენტის პალტო და დავიხურე ჩეჩნური ქუდი...

**– პრეზიდენტმა არ იცოდა, რასაც გეგმავდით?**

– არა, არ იცოდა!.. შესაძლოა, რაღაცას ხვდებოდა, მაგრამ ჩვენ არაფერი გვითქვამს. ბატონმა ზვიადმა გოჩა ბახიას გადასცა განკარგულება, რომლის თანახმადაც, დასავლეთ საქართველოში ის თავის რწმუნებულად ნიშნავდა ბათუ საღინაძეს. დაახლოებით 96 კბილებამდე შეიარაღებული მებრძოლი ჩავისვით თვითმფრინავში, მთელი შეიარაღებით და გამოვფრინდით. მინვოდის შესასვლელთან **"დაგვიჭირა"** როსტოვმა და ზაურ ბედიას უბრძანა – მინვოდის აეროპორტი თქვენს მისაღებად არის მზად და თუ არ დაგვემორჩილებით, მაშინ ჩამოგაგდებთო!.. ამის სადემონსტრაციოდ ორი **"CY 27"** აგვედევნა და ჰაერის მასით რომ დაგვაწვნენ ზემოდან, 12 ათასი მეტრი სიმაღლიდან 6 ათას მეტრ სიმაღლემდე **"ჩამოგვაგდეს"**. ყველას გვეგონა, რომ ჩამოვვარდებოდით და დავიღუპებოდით. ბატონმა ზაურ ბედიამ როსტოვს უთხრა – მომეცით პარამეტრები და ვჯდებიო!.. ისინი ეუბნებიან და კარნახობენ – მარჯვნივ მოუხვიეთო!... ბატონმა ზაურმა უპასუხა, საჭე დაზიანებული მაქვს, მარჯვნივ ვერ ვუხვევ და მომეცით ნება, რომ მარცხნივ მოვუხვიოთო!..

**– თქვენ ეს საიდან გესმოდათ, ბატონო გივი?**

– მე ზაურის გვერდით, მეორე სავარძელში ვიჯექი, კაბინაში და ყველაფერი მესმოდა... თბილისიდან, მოსკოვიდან, ერევნიდან, სოხუმიდან სუყველა ამას კიოდა და ყვიროდა – ზვიად გამსახურდია მიჰყავთ ამ თვითმფრინავით და თვითმფრინავი მიწაზე მთელი არ უნდა დაფრინდესო!.. ეს მე ჩემი ყურებით მესმოდა **"ნაუშნიკებში"**. ბატონი ზაურ ბედია ცდილობდა, დრო გაეწელა როსტოვთან ლაპარაკში, ამასობაში იალბუზს მივუახლოვდით. ბატონმა ზაურმა თავის სომეხ შტურმანს ჰკითხა – იალბუზს რამდენი აქვს სიმაღლეო? შტურმანმა უპასუხა... ჩვენ 8 ათას მეტრ სიმაღლეზე მივფრინავდით... – გამორთე ნავიგაცია და შედი! – უბრძანა ბატონმა ზაურ ბედიამ შტურმანს. კოდორის ხეობით, ომარიშარა და ეს სოფლები რომ არის, ასე შემოვედით, გადავუფრინეთ გულრიფშს, წავედით ზღვამდე და იქ რომ მოვტრიალდით, უკვე გუდაუთიდან **"დაგვაჯდა"** ორი **"CY 27"** კუდზე. 16 იანვარი თენდებოდა, დილის 4 საათია, სოხუმის აეროპორტი არ ჩანს, თოვლით არის გადათეთრებული ყველაფერი, ხოლო ჩვენ ცაში **"ვკიდივართ"** დაახლოებით 500 მეტრში და ვურტყამთ წრეებს. **"პედეესპეთი"** დავურეკე ცხონებულ **"ჯოგოს"** – მურად გოგუას, რომელიც სადისპეტჩეროში შევიდა და ვთხოვე, რომ სასწრაფოდ გაენათებინა ჩვენთვის საფრენი ბილიკი, რომელიც ჩაბნელებული იყო. თურმე, თამაზ ნინუას დაურეკავს თბილისიდან გივი ლომინაძისათვის – აეროპორტში შუქი გამორთე, ზვიადი მოფრინავს ერევნიდან და ეგ უნდა ავაფეთქოთო!.. ცხონებული **"ჯოგო"**, ცხონებული ზვიად ნადარეიშვილი, გულრიფშის ბატალიონის ბიჭები ჩაერივნენ საქმეში, სასწრაფოდ **"ბეტეერი"** გამოიყვანეს, **"ნივა"** მოიყვანეს, კასრებიდან ბენზინი გადმოღვარეს და ასე გაგვიკეთეს ცეცხლის ნიშნულები...

**– შუქი ვერ ჩართეს, ბატონო გივი?**

– არა, ვერ ჩართეს, ლომინაძეს **"საიმედოდ"** ჰქონდა გამორთული! უმძიმეს სიტუაციაში ვართ, ზღვის თავზე წრეებს ვარტყამთ, ნავიგაცია გამორთული გვაქვს, ეს გუდაუთიდან გამოფრენილი **"*CY 27*"**-ები არ გვშორდებიან და მაღლა არ გვიშვებენ, ხოლო დაბლა ისინი ვერ ჩამოდიან, რადგან, მოგეხსენებათ, ძალიან დიდი სიჩქარე აქვთ. ერთი სიტყვით, აქეთ-იქით ბენზინით ანთებული ცეცხლის ნიშნები, წინ **"ნივა"** მიდის გზის მაჩვენებლად და თვითმფრინავი **"პასადკაზე"** წამოვიდა... გადავიწერეთ პირჯვარი... სასწაულად ვართ გადარჩენილები. რომ არა ისეთი პროფესიონალი, როგორიც ბატონი ზაურ ბედიაა, იქ უბედურება მოხდებოდა და ყველანი ამოვწყდებოდით. როგორც იქნა, დავჯექით. ტრაპიც არ გვქონდა... **"ბეტეერი"** მივაყენეთ თვითმფრინავს და ისე ჩამოვედით. გოჩა ბახიას იდეა იყო – ჩავიცვი ზვიადის პალტო, დავიხურე ჩეჩნეთიდან წამოღებული ქუდი და ავიწიე პალტოს საყელო... ერთი ამბავი იყო აეროპორტში, დაახლოებით 3 ათასი კაცი მაინც დაგვხვდა. არავის ეჭვი არ შეჰპარვია, რომ მე ზვიად გამსახურდია ვიყავი...

**– ზვიადს ისე არ ჰგავხართ, ბატონო გივი...**

– რა თქმა უნდა, ფიზიკურად არანაირად არ ვგავარ ცხონებულს... ეს გადაწყდა უცბად, მომენტალურად, რათა ამ პუტჩისტებისთვის აგვერია გზა-კვალი... ისე, გივი ლომინაძეს კი ჩაუვარდა სპეცოპერაცია და თვითმფრინავი უვნებლად დაჯდა სოხუმის აეროპორტში, გადავრჩით... მთელი სამი თვის განმავლობაში მთელმა სოხუმმა ისე იცოდა, რომ თითქოს ზვიად გამსახურდია აფხაზეთში იმყოფებოდა და ცხოვრობდა სტალინის აგარაკზე... ვლადისლავ არძინბა შეშინებული და გულდაწყვეტილი გვეუბნებოდა – რას მერჩის, რატომ არ მიღებს პრეზიდენტიო?! ის კი არა, უზენაესი საბჭოს ზოგიერთი დეპუტატი გოჩა ბახიას მტრად მოეკიდა – პრეზიდენტთან მბლოკავ, ზვიადს რატომ არ მახვედრებო!..

**– სტალინის აგარაკზე ცხოვრობდით, ბატონო გივი?**

– კი, იქ ვცხოვრობდი... (იცინის).

**– რუსეთის დაზვერვა მაინც გაიგებდა, რომ ეს ყველაფერი სინამდვილეში ბლეფი იყო...**

– ვერ გაიგეს, არავინ არაფერი იცოდა... ხომ გეუბნებით, ბათუ საღინაძე და სოსო ჯომიდავა პრეზიდენტის ახლო გარემოცვის წევრები იყვნენ და მათაც კი არ იცოდნენ არაფერი!.. ჩემი ჩამოსვლის ამსახველი კადრები უშიშროებას აქვს გადაღებული.

**– კი, მე ძალიან კარგად მახსოვს, პუტჩისტების მაშინდელმა "პირველმა არხმა" გადმოსცა მაშინ ეგ მასალა, ჟურნალისტმა და დიქტორმა – ციური ბაჯელიძემ მგლოვიარე სახით გვაუწყა – "გამთენიისას ექს-პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია სოხუმში ჩამოფრინდაო!.." ბატონო გივი, მე როგორც ვიცი, თქვენ შემდეგაც არაერთხელ შეხვდით ზვიად გამსახურდიას...**

– კი, არაერთხელ, ჩავდიოდი და ვეხმარებოდი, ძალიან უჭირდა ცხონებულს, საჭმლის ფული არ ჰქონდა...

**– პრეზიდენტს თქვენს მიერ დადგმული სპექტაკლის გამო საყვედური არ უთქვამს?**

– არა, რას ამბობთ, არაფერი მაგის მსგავსი...

**– ისე, იცოდა, რომ სოხუმში თქვენ ითამაშეთ მისი როლი?**

– კი, რა თქმა უნდა, იცოდა... მერე, მოგვიანებით მე ზვიადისგან თავი შორს დავიჭირე, რადგან გროზნოში ძალიან აურიეს სიტუაცია მედროვეებმა და მოენეებმა. ერთხელ ჩავედი და პრეზიდენტმა არ მიმიღო. ავდექი და დაცვას ვუთხარი – მე ზვიადის არც გენერალი ვარ, არც თანამდებობა მინდა, კაპიკი არ წამიღია, ფული აქეთ მომაქვს, რადგან ვიცი, რომ ერის კაცია, მართალი კაცია და თუ არ უნდა ჩემი ნახვა, ღმერთმა მშვიდობა მისცეს-მეთქი!.. მიუტანეს ამბავი და მაშინვე მიმიღო... სამი საათის განმავლობაში ვილაპარაკეთ. წამოსვლისას პირველ სართულამდე პირადად ჩამომაცილა და ახლაც ცრემლები მომდის, ისეთი სიტყვა მითხრა – ბატონო გივი, ვის ვენდო, აღარ ვიცი, ისეთ მდგომარეობაში ვარო!..

**– ბატონო გივი, თქვენ ზვიადის თვითმკვლელობის გჯერათ?**

– გამორიცხულია, ზვიადი ღმერთის კაცი იყო და ის თავს არ მოიკლავდა!..

**დიტო ჩუბინიძე,**
**გაზეთი "ასავალ-დასავალი"**

# ილია ჭავჭავაძე და დუშეთი

(დიდი ილიას ხსოვნისადმი არაჯეროვან დამოკიდებულებაზე მოგვითხრობს ჩვენი მეგობარი და აქტიური ავტორი პროფესორი თამაზ ბიბილური)

## ილიას პირადი წერილები

**„გლახის ნაამბობი ჯერ არ დაბეჭდილა და ამიტომ ვერ გიგზავნი. ბეჭვდენ კი და როცა დაიბეჭდება, შენა და კატოს თითო ეგზემპლიარს გამოგიგზავნი. თუმცა ჩემი ნაჯღაბი კატოსათვის დიდი არაფერი იქნება, მაგრამ იმოდენა მაინც შეეძლება, რომ სახსოვრად შეექმნეს კატოსა“.**

**„დუშეთის ამბავიც ეს არის: ზუბალაანი მაისში საზღვარგარეთ მიდიან, კოსტა თუმანოვი ძალიან ავად იყო ასე, რომ დედაც მოუვიდა, მაგრამ ეხლა კარგად არის. მამაშენმა პური და ღვინო გამომიგზავნა და მეტად მადლიერი დავრჩი. არა გრცხვენიან, ოლიკო, რომ ჩვენს გაზილას არა კითხულობ, ასეთი ბრძენი ძაღლია, რომ პლატონ იგნატიჩს იოსელიანს ეხლავ ჰსჯობია ფილოსოფიაში. ბევრი რაღაც შტუკები ისწავლა. ჩემი შემაქცევარი და დროს გამმატარებელი გაზილა არი. სანატრელია ის ქვეყანა, სადაც კაცის შექცევა ძაღლზედ არის დამყარებული. უხ, რა ყრუ რამ არის ეხლა ჩემთვის ეს დარბაისელი დუშეთი“.** სამუდამოდ შენი ილია ჭავჭავაძე. 16 მარტი. 1873 წ.

ივანე იაგორის ძე ზუბალაშვილი, ილიას დუშეთში მუშაობის დროს დუშეთის მაზრის უფროსად მსახურობდა და ოჯახითაც იქ ცხოვრობდა. ილიას ამ ოჯახთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა და ხშირად მათთან ატარებდა დროს.

პლატონ ეგნატეს ძე იოსელიანი (1809-1875) – ცნობილი ისტორიკოსი, ძველი თაობის წარმომადგენელი **„თაობათა“** დაპირისპირების პერიოდში. ილიამ მას მიუძღვნა **„გამოცანების“** (1871 წ.) მეოთხე გამოცანა, სადაც შემდეგნაირად გაკენწლა:

*„ცხვირდიდა და თვალდიდრონა,*
*მსუნაგი და ტრაბახია,*
*ერთი უშნოდ აწოწვილი,*
*ერთი რაღაც ახმახია;*
*სეხნია ჰყავს სახელ-დიდი,*
*თითონ კი მარტო გრძელია,*
*ძველის მცოდნეა, მაგრამა*
*ყბედი და ჭკვაზედ თხელია;*
*ენაბრტყელია, გულმრუდე,*
*ადვილად მოსასყიდია,*
*ამ ყლაპიასაც ქვეყანა,*
*ძმანო, ფეხებზედ ჰკიდია“.*

**„ჩვენი ბანკის საქმისა ვერა შევიტყე რა გარდა იმისა, რომ გლავნი უპრავლენიეს ჩვენი პროექტი დაუბრუნებიაო. რაღაცას ცუღლუტობენ დიდნი და პატარანი და მე ვერ გამიგია, როდის უნდა დაბოლოვდეს ჩვენი საქმე. Неопределенное положение, в котором я нахожусь, просто давит и гнетет меня. В добавок ты не со мною,– и это больше увеличивает нестерпимую скуку, которую я испытываю со дня разлуки с тобой. დიდი სულელობა მოგვივიდა, რომ შენ ბაქოს წახვედი. ღმერთმა ქმნას, რომ ეგ უკანასკნელი სულელობა იყოს. ხანდისხან ფიქრად მომივა ხოლმე, რომ შენ დაგიბარო, მაგრამ გარემოებანი მაბრკოლებენ და ის, რომ მეც ძალიან მინდა ბაქოს მოსვლა, დიმიტრის და კატოს ნახვა. ამ უქმეებში მე ქალაქში ჩავალ და მაშინ კი, მგონია, გადაწყვეტილად ერთს საგანზედ დავდგები, ან წამოვალ მანდ და ან დაგიბარებ, თორემ ესე შორი-შორ ჩვენი ყოფნა თავს არ მოდის და მოსაწყენია“.**

**„გლახის ნაამბობი იბეჭდება და ჯერ კი არ დაბეჭდილა. ისიც ბანკის საქმედ გახდა: აღარა თავდება. ეგრე ორ-წყალ შუა რო ვარ დარჩენილი, გული არაფერზედ მიმდის, კალამი ხელში ვერ ამიღია, რომ დავწერო რამე. თავი გამოყრუებული მაქვს ასე, რომ ერთი ხეირიანი და რიგიანი აზრი არ მომდის. ნეტავი ან შენ იყო აქ და ან მე ვიყო მანდ თქვენთანა“.** შენი საუკუნოდ ილია ჭავჭავაძე. 23 მარტი. 1873 წ.

**„ჩემო საყვარელო ოლიკო! მიხარებია შენთვის: ჩვენი ბანკის პროექტი აქ მიიღეს და 14-ს მარტს პეტერბურგში გაგზავნეს დასამტკიცებლად. ეხლა კი, მგონი, იმედია, რომ ბანკის საქმეს ბოლო რიგიანი მოუხდეს. დღეს მე „ატსტავკას“ ვაძლევ და იმედი მაქვს, რომ აპრილში განხოთ“.**

**„ხვალზევით ქალაქს მივდივარ. იქ შევიტყობ, როდის მომცემენ „ატსტავკას“, რა დღე მომეცემა სიკეთე თქვენის ნახვისა. იქიდამ, ესე იგი ქალაქიდამ, დეპეშით გაცნობებ, როდისაც ქალაქიდამ გამოვალ. არ ვიცი, ბოლოს რა იქნება, ეხლა კი მეტად მხიარულადა ვარ, რომ მომეცა სამსახურიდან გამოსვლის ღონისძიება. მდიდრად, თუ ღარიბულად, მაგრამ კი თავისუფლად ვიცხოვრებთ“. შენი ილია ჭავჭავაძე. 31 მარტი. 1873 წ.**

**„მე „ატსტავკა“ არ გამამსვლია და არ ვიცი როდის გამომივა. „უატსტავკოდ“ ჩემი აქედამ წამოსვლა შეუძლებელია. თუ ამ მაისის ოცამდინ „ატსტავკა“ არ მომივიდა, უნდა ავადმყოფობის ქაღალდი მივცე. ადრე რომ მოვახდინო ეგა, ოცს თუმანს ფულს დავკარგავ და ოცის თუმნის დაკარგვა – ეხლა ჩემთვის მილიონის დაკარგვაა. მანდ რომ მოვალ, მაინდამ უსათუოდ რუსეთს მომიხდება წასვლა ორისა ანუ სამის თვითა. თუმცა ეს ამბავი შენ შეგაწუხებს, მაგრამ შენ უნდა მოითმინო ისე, როგორც მე ვითმენ შენს მოშორებასა. განა მე კი კარგს ყოფაში ვარ უშენოდა, რომ ეგრე ჩივი? შენ შენს დასთან მაინცა ხარ და მე მაგასაც ვარ მოკლებული და ვგდივარ აქ დუშეთში უცხო ხალხში და უცხო სახლში მარტოდმარტო. ხვალ დილით ზუბალაანი საზღვარგარედ მიდიან და მე ამათ სახლში ვრჩები, ვიდრე „ატსტავკა“ გამომივა და მომეცემა იმით შეიძლება გამოვფრინდე შენკენ და ერთი ლაზათიანად ჩაგეხუტო“.**

**„გუშინწინ გათავდა თავად-აზნაურობის კენჭისყრა. ამოირჩიეს ისევ ის მარშლები, ვინც იყვნენ, სიღნაღის მარშლის გარდა; იმის მაგივრად დანიშნეს ზაქარია ანდრონიკაშვილი. ჩემზედ დაყარეს ხმა, რომ მე ვითომც გუბერნიის მარშლობა მინდა. ამის გამო მე არ ჩავედი ქალაქსა და კენჭის ყრაში არ დავესწარ. არა, რა ესეთი სულელი მე მიპოვეს, რომ გუბერნიის მარშლობა ვინდომო. როცა მე და შენ გავმდიდრდებით, მაგაზედ მაშინ ვიფიქროთ, იმ დრომდე კი შორს ჩვენგან“. შენი საუკუნოდ ილია ჭავჭავაძე. 11 მაისი. 1873 წ. დუშეთი.**

**„ჩემო კარგო ოლიკო! რაც შენ წახვედი, ასეთს გუნებაზედა ვარ, რომ მოწყენილობისა გამო ძაღლსავითა დილიდამ საღამომდე ვღრინავ. შენ კიდევ რა გიჭირს? შენ დასთანა, სიძესთან და დისწულებთანა ხარ. მე ვარ საცოდავად ამ უკაცურ კაცებ შორის. ეს არის კარგი, რომ ჩემს დამბადებელს ყოვლისფრის ატანის შეძლება მოუცია ჩემთვის“.**

ნაყოფიერი იყო ლიტერატურული შემოქმედების მხრივ ილიას ცხოვრება პროვინციაში. მაგრამ როცა დუშეთში მომრიგებელ მოსამართლედ დაინიშნა, სამსახური მისგან დიდ დროს ითხოვდა და ილია ნაკლებად იცლიდა მწერლობისათვის.

პოეტმა გიორგი ლეონიძემ აღწერა ნიკო ნიკოლაძესთან შეხვედრა, როდესაც ის იხსენებდა თუ როგორ ზრუნავდა ილიას თბილისში დაბრუნებაზე, მის სამწერლო მოღვაწეობის პერსპექტივაზე. **„კარგად მახსოვს ნიკო ნიკოლაძის ნათქვამი 1917 წელს მწერალთა ყრილობის კულუარებში: „ილიას მწერლობაზე ხელი ჰქონდა აღებული! დუშეთში ცხოვრობდა. თითქმის ექვსჯერ მომიხდა დუშეთში ასვლა „დროშკით“, რომ ჩამომეყვანა და სათავეში ჩასდგომოდა ქართულ მწერლობას“ (გ. ლეონიძე. ნაუბარები, ჩანაწერები ჩემი არქივიდან. „ცისკარი“.** №5. 1957 წ.).

ამ დროს გაუჩნდა სურვილი სამსახურისთვის თავის დანებებისა; თავისუფალი დროის მოპოვებისა და თბილისში დაბრუნებისა; სურვილი – ჟურნალის დაარსებისა, მაგრამ გაემოება, ფინანსური ხელმოკლეობა ამის ნებას არ აძლევდა.

1872 წელს, ილიამ დუშეთიდან წერილი მისწერა ცნობილ საზოგადო მოღვაწესა და ფოლკლორისტს პეტრე უმიკაშვილს, სადაც აღნიშნა: **„მწერალს დამოუკიდებლობა უნდა. მწერალს თავისი „დრო სულ მას უნდა ეკუთვნოდეს. სხვისა არ ვიცი და მე კი ასეთის აგებულებისა ვარ“. მეორე წერილშიც წერს ამის შესახებ: „დიდი მოსვენება და შეღავათი მინდა, რომ დავწერო რამე. და მინამ მე „ჩინოვნიკობას“ თავს არ დავანებებ, ეგ მოსვენება და შეღავათი ჩემთვის სიზმარია“. „...ეხლანდელი ჩემი წყეული მდგომარეობა ისეთია, რომ წერისათვის ხანგრძლივი მოსვენება არა მაქვს და ამის გამო ასე უხეიროდ და უნაყოფოდ მიდის ჩემი ორიოდე დღის ცხოვრება. დიდად ვსწუხვარ ამგვარ მდგომარეობისათვის, მაგრამ შველა არსით არის. ვფიქრობ, თავი დავანებო სამსახურს, მაგრამ რითი ვიცხოვრო? ვაითუ უფრო მოცალეობა მომაკლდეს ლუკმა-პურის დევნაშია, სამსახურს რომ თავი დავანებო!“** ეს წერილი კარგად ახასიათებს მის საინტერესო და რთულ მდგომარეობას...

## მცოცავი ანექსია

**„კარგი რამ იყო თავად თათქარიძის სახლკარი“.** – ასე იწყება ილია ჭავჭავაძის **„კაცია-ადამიანი?!“** შემდეგ იგი აღწერს სოფელს, რომლის შესახებაც მიუთითებს: **„დაცემული ადგილი და იმ ადგილის შუაგულსა ორსართულიანი სახლი ქვითკირისა“.**

**„ეზო ამ ციხე-დარბაზისა, სიგრძეზედ თუ სიგანეზედ, კარგა ფართოდ იყო გაზიდული. იმას ერტყა გარშემო ძველი ტყრუშული ღობე, რომელიც ზოგიერთგან გადაქცეული იყო და ეხლანდელს პატრონს არც კი მოსვლია ფიქრად, რომ გაეკეთებინა. ეტყობა, რომ ქართველია!..**

**ღობე ერთგან თავდებოდა უშველებელის ჭიის-კარებითა, რომლის ერთი ნახევარი, თუნდ ორი წელიწადია, ისე საცოდავად დაღრეჯით გადმოჰკიდებოდა ერთს ყუნწსა, ასე გგონია, ბოძს დაუჭერია საცემლადაო და ის კი იწევსო, რომ როგორმე ხელიდამ დაუსხლტესო“.**

**„ფრთხილად უნდა ვიყვნეთ. იატაკი აგურისა არის. ეგ არაფერია! ეს არის ძნელი, რომ აგურები შიგადაშიგ ამოცვივნულან; ამითი ალაგი ამოთხრილ ორმოებად დარჩენილა. თვალების ძალიან გაფაციცება უნდა, თორემ, თუ ფეხი შიგ ჩავარდა, ვაი შენს მტერს! ან კისერი მოსტყდება კაცსა, ან თითონვე ფეხი“.**

**„ამ ხიფათს შეიძლება კაცი გადურჩეს, თუ რომ ოთახი ნათელი იყოს. ვაი, რომ არც ეს არის! თუმცა ორი, სათოფეზედ კარგა მოდიდო, ფანჯარა აქვს, მაგრამ ოთახი მაინც ბნელია, იმიტომ რომ ფიჭვის ჩარჩოებზედ მინის მაგივრად მეტად გამჭრიახ გონებას გაქონილი ქაღალდი გაუკრავს. აი, ამაზედ არის ნათქვამი: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“.**

**„არ გეგონოთ, მკითხველნო, რომ ეს სახლი ეკუთვნოდეს ერთს ვისმეს ღარიბს და მის გამო იყოს ეგრე გულშეუტკივარად თავმინებებული. არა, ამის პატრონს ჰყავს ოცი კარგად გაკეთებული კომლი კაცი“.**

**„იმის ხელში, ვინც გამოყენება იცის, კაი ლუკმა არის. მაშ რაღად სდგას ეგრე ცუდად? მკითხავს გაკვირვებული მკითხველი. იმიტომ, რომ ქართველია,– მოგიგებთ სრულიად დარწმუნებული, რომ კაი საბუთი გითხარით.**

**დიაღ, ამ მშვენიერ სახლში ქართველი კაცი იდგა“.**

**თამაზ ბიბილური,**

**პროფესორი, საზოგადოება „ილიელი“-ს თავმჯდომარე**

*(დასასრული შემდეგ ნომერში)*

## პოეზიის კუთხე

ახალი წიგნი გამოსცა ჩვენმა ავტორმა და თანამებრძოლმა, ცნობილმა ქართველმა პოეტმა და ჟურნალისტმა ალექსანდრე შენგელიამ. სწორედ ალეკოსთანა შემოქმედებმა და არა გოგიბედაშვილის, ბურჭულაძის, ყუბანეიშვილის თუ დეისაძის მსგავსმა ნაცთა მეხოტბე არარაობებმა მოუყანყალეს ტახტი სააკაშვილის ძირგამომპალ დაშნაკურ ხელისუფლებას, რომელიც წესიერ სომხებსაც კი ჭირის დღესავით ეზიზღებათ და თურქეთის მსტოვრად მიიჩნევენ. განა ამაზე არ მეტყველებს სააკაშვილის მიერ ხელაღებით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება ათასობით თურქისათვის, რაც, არავინ იცის, როდის დაგვატყდება თავს მეხად.

გთავაზობთ ალეკო შენგელიას “სათრეველებს”.

### გაფრთხილება

*ცხენს ვერაფერი დააკლეს და უნაგირი დაამტვრიესო, – ნათქვამია.*

*ეტყობა ნაციონალებმა თავიანთი „ჯიბის ტელევიზიები“ და ინტერნეტ-სივრცე ამიტომ აავსეს იმერეთის ულამაზესი სოფლის*

*– ჭორვილას ლანძღვა-გინებით.*

– ვინ რატომ გაგაჭორვინათ,
ენა ვინ გაასარსალა?
ნუ გახდა ჩვენი ჭორვილა
თქვენს საქილიკო მასალად! –
იმიერიდან გაფრთხილებთ
ძმები – ჯურხა და ასანა!

### ბუმერანგი

დიდ ჯავახიშვილ ივანეს
სახელს ვინც უტეხს,–
იმანვე,
ჩაწერილ ოვაციებით
და ქილიკურის ძიებით,
ქება-დიდებით ვანოსი
და შაყირსიტყვულ „დანოსით“
„ქოცებზე“ შურისძიებით
გული მოიგო „ძიების“...
მაგრამ არ უნდა ცილობა,
თვით იქცა სასაცილოდა.

### წკვარამი და ვარამი

*„შოკური თერაპია“ სასწაულთმოქმედი წამალია, მაგრამ მომაკვდინებელი შხამია, თუ ხალხის დასათრგუნავად ისე გამოიყენება, როგორც ზოგიერთ ტელეპროგრამაში.*

კურიერში წკვარამია,
სიმართლე კი სხვა რამეა,
თუ სახადად გვარამიას
„ნაცი-ბაცის“ ვარამი აქვს.

### ამბავი „მიშავიზიისა“

განა მხოლოდ სხვათა შორის,
სიმართლიდან ძალზე შორი,
სერიალის სუნი შმორით
უზნეობად აშლის ვნებას
და იწყება ბიძიების
ჯიბის ტელევიზიებით,
თავს ვინც იხრჩობს,
მისი თოკით,
მკვლელობებით,
ძარცვით, შოკით
მაყურებლის დაშინება.

### შოუმენი

ის ვერც პოლიკარპეობს
და ვერც ბერნანდ შოუობს,
მაგრამ მოსწონს შოუ „ლობს“
და პურის ფულს შოულობს!

**ალექსანდრე შენგელია**

## ჯალაღონია-ჯალაღანიების გვარის დალოცვა

2014 წლის 25 მაისს საქართველოს **კათალიკოს პატრიარქი ილია II** დალოცავს **ჯალაღონია-ჯალაღანიების** გვარს. ამისთვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივად დაწერა (დახატვა), რისთვისაც **“ლიბერთი ბანკში”** გახსნილია ანგარიში. **მფო 220101480 ანგ. №GE44LB0711101664171640 (როლანდ ჯალაღანიას სახელზე).** მნიშვნელოვანია, ყველა ჯალაღონია-ჯალაღანიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოთ ნებისმიერი თანხა. დეტალების დასაზუსტებლად შეგიძლიათ დარეკოთ ნომერზე: **599-57-33-22, 597-34-43-70 – როლანდ ჯალაღანია).**

# კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე



*დასაწყისი “ილორი” №171-245*

კასიტური სიტყვა დაკა-ვარსკვლავი და და-დიგი-ცა შეიცავს ცნობილი ქართულ პრეფიქსს **და**.

კასიტური სიტყვა ჰარბე **„ღმერთი-ხარი“** შეესაბამება ქართულს ხარი **„ხარი“** (წინათ ეს სიტყვა იწერებოდა განსაკუთრებული ასოთი თავში, რომელიც წარმოშობილი იყო ხარის აღმნიშვნელი იეროგლიფისგან).

იური მოსენკისს მოტანილი აქვს მეგრულ-ჭანური, ბასკური, ქართული სიტყვების კასიტურ სიტყვებთან დამთხვევის, ზუსტი მსგავსებისა და იგივეობის ბევრი მაგალითი, და შემდეგ აგრძელებს:

„კასიტური იდარ „ომის ღმერთი“ შეესაბამება ბასკურს გუდუ **„ომი“**, გუდარი **„მეომარი“**, შუმერული გუდ **„მეომარი“** და შესაძლოა, ქართულს იდიომა **„ორთაბრძოლას“**.

კასიტურ შაჰ **„მზის ღმერთი“** შეესაბამება ქართულ ძირის სიტყვებში სიცხე **„სიცხე“, ეხელი „ცხელი“**. ცხადი **„ცხადი“**, ცხივი **„სხივი“** (შეესაბამებიან სხვა ქართველურ სიტყვებსაც).

კასეტური კუკლა **„მონა“** შეესაბამება ქართულად გლეხი **„გლეხს“**.

ი. უ. მოსენკისი **ასკვნის „შეიძლება გარკვევით ვივარაუდოთ, რომ კასიტური ენა – კიდევ ერთი უძველესი ენაა ქართველური ოჯახისა. მის მატარებელი დინასტია მართავდა ბაბილონს XVIII საუკუნის შუაწლებიდან XII საუკუნის შუაწლებამდე ძველ წელთაღრიცხვით.“**

აქედან და სხვა მრავალი მასალებიდან, წყაროებიდან გამომდინარე, კეთდება უტყუარი ლოგიკური დასკვნა. ისევე როგორც სხვა ვრცელი ტერიტორიები, მესოპოტამია, ბაბილონი, ოთხი ათასი წლის და უფრო დიდი ხნით ადრე კოლხების მიერ იმართებოდა და მმართველობა ხდებოდა კოლხურ ენაზე.

ასევე მსოფლიოს გამოჩენილმა მკვლევარებმა, არქეოლოგებმა, მოახდინეს (აგრეთვე ინტერნეტით), მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის აღმოჩენები. აქ მოგვაქვს მკვლევარი ალექსანდრე ვოლკოვის შრომიდან ამონარიდი, რომელშიც დასაბუთებულია: ჭიპლარის (ჭიპი მეგრულად **„ჩუპაა“**) მთის სამლოცველოს გამოცანები.

1995 წელს თურქეთის სამხრეთ აღმოსავლეთით, გიობეკლი-თებეს (თეფეს) მიდამოებში დაიწყო მსოფლიოში უძველესი სამლოცველოს გათხრები. იგი აგებულ იყო ნეოლითის ეპოქაში. არავინ მოელოდა, რომ **„მონადირეები და შემგროვებლები – ველურები ველურებს შორის“** – ააგებდნენ ტაძრებს. განსაკუთრებით ბევრ კითხვას ბადებენ აქ აღმოჩენილი ძველებური სიმბოლოები. ისინი ძალიან გვანან დამწერლობას. მაგრამ შესაძლებელია კი ეს? ეს ნიშნები ხომ 11 ათასი წლისაა!

გიობეკლი-თებე (თეფე, ჭიპლარის მთა) – ეს არის 15 მეტრამდე სიმაღლისა და დაახლოებით 300 მ. დიამეტრის შიშველი ბორცვი – ერთ-ერთი, უთვალავ ბორცვს შორის, რომელიც მდებარეობს ამ უკაცრიელ, უდაბურ მხარეში, თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ტიგროსისა და ევფრატის სათავეებში. გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული (ხელმძღვანელი კლაუს შმიდტი), და აი პირველი მოულოდნელობა: ნიადაგის თხელი ფენის ქვეშ, რომელიც ფარავდა ბორცვის მწვერვალს, იმალებოდა ქვის საუკუნე. გათხრების დაწყებისთანავე არქეოლოგებმა აღმოაჩინეს კედლები და კირქვის თიხებრი სვეტები – უმეტესი მათგანი აღწევდა დაახლოებით სამი მეტრის სიმაღლეს. მათი ზედაპირი შემკობილი იყო რელიეფებით, რომლებზეც გამოსახული იყვნენ ცხოველები. აქ შეიკრიბა **„ქვის საუკუნის მთელი ზოოპარკი“:** ლეოპარდი, მელა, ველური ვირი, გველი, იხვი, ტახი, ველური ხარი, წერო. უყურებ რა მათ, წარმოგიდგება რომ, იხვი ეს-ეს არის ყიყინს დაიწყებს, მელა თავს დაესხმის მსხვერპლს, ველური ხარი საშიშრად წამოვა თქვენკენ. იმ ეპოქაში მსგავსი სილამაზისა და დახვეწილობის არაფერი იყო შექმნილი (ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია ამის შესახებ). ეს ძეგლები მიეკუთვნებოდნენ ნეოლითის ადრეულ პერიოდს – ჩვ.წ.აღ-მდე დაახლოებით X ათასწლეულის შუა საუკუნეებს. მაგრამ არქეოლოგიური მონაპოვრები მხოლოდ ამით არ შემოიფარგლა.

გიობეკლი-თებეში გათხარეს ოთხი წრიული ნაგებობა, რომლებიც განივად აღწევდნენ 15-20 მეტრს. აგრეთვე შენობების ცენტრში აღმართული იყო, ითქმის 4 ათეული მონოლითური სვეტი, რომელიც იწონიდა 20 ტ-მდე. როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, გიობეკლი-თებეს ყველაზე მსხვილი – ცენტრალური მონოლითები (მათი სიმაღლე აღწევდა ხუთ მეტრს) მოგვაგონებენ – სტოუნხენჯის ქვის ფილებს, მაგრამ ისინი 6 ათასი წლით ხნიერნი არიან. ალბათ, მახლობლად მდებარე ქვის სამტეხლოდან, მათ ტრანსპორტირებაში მონაწილეობდა ათეულობით და შესაძლოა ასეულობით ადამიანიც კი.

პრინციპში, გიობეკლი-თებეს ნაგებობების არასწორი ფორმის გაურანდავი ქვის კედლები, გამოიყურებიან საკმაოდ უშნოდ, ქვის საუკუნის ხუროთმოძღვრები ხომ მხოლოდ ახლა იძენდნენ გამოცდილებას. მოგვიანებით ისინი უარყოფენ უძველესი ნაგებობებისთვის ტრადიციულ შენობების წრიულ ფორმებს და დაიწყებენ სწორი კუთხეების აგებას – მშენებლობის ეს პრინციპი იარსებებს ათასწლეულების მანძილზე.

გეომაგნიტურმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ მთელი ბორცვი გაშენებული იყო რაღაც წრიული ნაგებობებით. როგორც ჩანს, ერთნახევარი ათეული ნაგებობის გათხრა მოგვიწევს უახლოეს წლებში. მეცნიერების შეფასებით, მიწაში ჩამარხულია კიდევ ორი ათეული ქვის სვეტი, ალბათ ასევე შემკობილი რელიეფებით. მათ შორის შეიძლება აღმოჩნდეს უფრო შთამბეჭდავი ზომების ლოდები. ასე, ქვის სამტეხლოში ნაპოვნია დაუმთავრებელი მონოლითი 7 მეტრის სიმაღლისა და წონით 50 ტ.

როგორც არქეოლოგები ვარაუდობენ, იქ იყო ნეოლითის ეპოქის ტომთაშორისი მსხვილი სამლოცველო, მეცნიერებისათვის ცნობილია კაცობრიობის უძველესი საკულტო ნაგებობები. მაგრამ ეს ახალი გათხრები მეცნიერებს აიძულებს ხელახლა გადაწერონ ცივილიზაციის ადრეული ისტორიის მნიშვნელოვანი თავები. ცნობილია, რომ ნეოლითის ეპოქაში ადამიანები ემორჩილებიან რა ბელადების, ქურუმების და უხუცესების ნებას, აღმართავენ გრანდიოზულ ქვის ნაგებობებს, სადაც ეთაყვანებიან მათთვის გასაგებ ბუნების ღმერთებს. ეს სვეტები და საყრდენები იცავენ ძველი მწყემსებისა და მხვნელების მოსავალსა და საქონელს გაფუჭებისა და დაცემისაგან. თუმცა ჯერ არასოდეს მეცნიერებს არ უპოვიათ იმ ეპოქაში აღმართული სამლოცველოები, როცა ჩვენმა წინაპრებმა არ იცოდნენ არც მიწათმოქმედება და არც მესაქონლეობა. ითვლებოდა, რომ საკრალური ნაგებობების დახვეწილი არქიტექტურა წარმოიშვა გაცილებით გვიან, როცა ადამიანმა დაიწყო გადასვლა ბინადრულ ცხოვრებაზე. მხოლოდ მაშინ იწყებენ ადამიანები სამლოცველოების აგებას, შესთხოვენ რა ღმერთებს მოწყალებასა და კეთილდღეობას თავისი დასახლებისა და მინდვრებისათვის.

თუმცა გიობეკლი-თებეში გაკეთებული აღმოჩენები ადასტურებენ, რომ მონუმენტური საკულტო ნაგებობების გამოჩენა წინ უძღოდა ნეოლითურ რევოლუციას. უფრო პირიქით, ღმერთებთან მეგობრობის შეპირებით, მათი მსხვერპლით, **„გამოკვებით“,** ადამიანები თანდათან გადადიოდნენ ბინადრულ ცხოვრებაზე, ალბათ, ისეთი საცხოვრებელი ადგილების შერჩევით, სადაც ღმერთები იყვნენ მეგობრულები, წყალობდნენ მათ. ღმერთებთან **„დამეგობრებით“** სულ უფრო იშვიათად თანხმდებოდნენ მშობლიური ღმერთების მხარის მიტოვებას – და თუ საკვები მათთვის არ იყო საკმარისი, თვითონ ცდილობდნენ საჭირო მარცვლოვანი კულტურების მოყვანას, ოღონდ არ დარჩენილიყვნენ პირისპირ გაუგებრობასთან – უხილავი ძალების ქაოტურ სამყაროსთან.

როგორც ირკვევა, კოლხებს, იმ პერიოდში, მიჰყავდათ ზანდურის, მახას და იმერის ჯიშის ხორბლეული. სხვებს **„ველურთა შორის ველურებს“** ჯერ კიდევ, ასეთი არ ჰქონიათ, ტყის ნაყოფით იკვებებოდნენ.

კლაუს შმიდტის ჯერჯერობით დაუმტკიცებელი აზრით, გიობეკლი-თებეს ტაძრის მშენებლობაში მონაწილეობას იღებდნენ სრულიად განსხვავებული ტომები (?), რომლებიც ცხოვრობდნენ ამ ტერიტორიაზე. ისინი ერთმანეთს შორის დებდნენ თავისებურ კავშირს, კურთხეულს ღმერთების სახელებით, რომლებიც მართავდნენ ამ ქვეყანას. იქმნებოდა სახელმწიფოს მსგავსება, სადაც უმაღლესი ხელისუფლება ჯერჯერობით ეკუთვნოდა ღმერთებს. თუმცა, მხოლოდ ათასობით წლის შემდეგ წარმოიქმნება ნამდვილი სახელმწიფო, სადაც მმართველი იქნება მეფე, რომელიც თავს გამოაცხადებს ღმერთად.

ასეთი არქიტექტურული კომპლექსის მშენებლობა, აგრეთვე ითვალისწინებდა, რომ საზოგადოებაში მოხდა შრომის განაწილება: ერთნი კვირაობით აშენებდნენ კედლებსა და კოლონებს, მეორენი შოულობდნენ საკვებს. ყოველ შემთხვევაში ნაგებობების განსაკუთრებულობის ანალიზმა დაარწმუნა მეცნიერები, რომ აქ მუშაობდნენ გამოცდილი ქვის მთლელები და კალატოზები – ადამიანები, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე დაკავებული იყვნენ ერთი და იგივე სამუშაოთი.

**„მხოლოდ ნადირობით, – კ. შმიდტი თვლის, – ამდენი ადამიანი ვერ გამოკვებებოდა”.** ადგილობრივ მაცხოვრებლებს უხდებოდათ, ალბათ, საკვები მცენარეების დამუშავება და დაჭერილი ცხოველების შენახვა – ასე იქმნებოდა სოფლის მეურნეობა. რელიგიურმა ცნობიერებამ აიძულა ძველ ხალხი წასულიყვნენ მიყრუებულ, დაბურულ მხარეში – არც ერთი ტომის მიერ დაუსახლებელ, არავის მიწაზე. გადასარჩენად მათ ალბათ მოუხდათ თავისი ცხოვრების წესის შეცვლა და საკვების შეგროვებიდან მის მოყვანაზე გადასვლა. დროთა განმავლობაში ასეთივე **„ველურებმა“** ანატოლიაში დააარსეს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი – ჩატალ-გუიუკ.

ახ. წ.აღ-მდე 7500 წლისათვის გიობეკლი-თებე მოულოდნელად იცლება. ხდება რაღაც უცნაური: გრანდიოზულ სამლოცველოს აყრიან მიწას. აი ასე – **„დაკონსერვებული“** სახით – იგი იდგება თითქმის ათი ათასი წელი, ვიდრე აქ მოვლენ არქეოლოგები.

შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ – აგრძელებს საუბარს ალექსანდრე ვოლკოვი,– იმ მიზეზებზე, თუ რამ განაპირობა სამლოცველოს **„გაცამტვერება“,** რომელიც წარმოადგენდა რწმენასა და სიმართლეს საუკუნეების მანძილზე. თავდაპირველად ნაგებობის შიგნით აღმართული იყო დამატებითი კედლები. ისინი ჩამოეფარნენ **„ცხოველების რელიეფებს“,** ამოქოლეს ისინი. მოგვიანებით სამლოცველო მთლიანად გაქრა მიწის ქვეშ. თუმცაღა აღარავის გაუბედავს დასახლება აქ. გიობეკლი-თებე იქცა აკრძალულ ზონად. ადამიანებმა ზურგი აქციეს უძველეს ღმერთებს, თუმცა მათი რისხვის ეშინოდათ ისევე, როგორც მრავალი საუკუნის წინ.

მაგრამ ღმერთები კვლავ დაბრუნდნენ – არქეოლოგების ნიჩბების დარტყმის ქვეშ. რომ არა მათი უძველესი დამცველების წინდახედულობა, მრავალი ათასწლეულის მანძილზე ეს ქვები და ობელისკები დიდი ხნის წინ იქნებოდა დატაცებული მუყაითი შთამომავლების მიერ, როგორც შესაძლოა, დატაცებულია ქვის საუკუნის სხვა სამლოცველოები, თუ ასეთები იყო. ალბათ, იყო?

გვახსენდება ინდონეზიური კულტურის ერთ-ერთი უდიდესი ძეგლი,– წერს ავტორი, – იავას კუნძულზე მდებარე ტაძარი ბოროხუდუარას ტაძრის მშენებლობა, რომელიც ადიდებდა ბუდას, რომელიც დაიწყო ახ.წ. აღ.მდე VIII საუკუნის ბოლოს. ხოლო როცა ასი წლის შემდეგ იავაზე ხელისუფლებაში კვლავ მოვიდნენ ღმერთ შივას თაყვანისმცემლები, მათ განიზრახეს ბოდობუდურის დანგრევა, მაგრამ ბუდისტებმა დაასწრეს მათ და დააყარეს ტაძარს მიწა. მიწის ფენის ქვეშ იგი კარგად შეინახა და მხოლოდ XIX საუკუნის შუა წლებში აღმოჩენილ იქნა არქეოლოგების მიერ. შესაძლებელია, რომ გიობეკლი-თებეს სამლოცველოც მოყრილი იყო მიწით, რათა გადაერჩინათ მამისეული რწმენა კერპთაყვანისმცემლებისაგან? ნებისმიერ შემთხვევაში იგი შენახულ იქნა არქეოლოგებისთვის იდეალურ მდგომარეობაში.

გიობეკლი-თებეს მიდამოები დაცარიელდა. აქ დასამუშავებელი მიწა იყო ცოტა და ხალხი ტოვებდა ძველი, უმწეო ღმერთების მხარეს და მიდიოდნენ უცნობლობაში. იმ ეპოქაში დასახლება ერჩიათ არა მიყრუებულ ტყესა და მთებში, სადაც გაუვალ ბილიკებს მივყავართ დაუშინებელ ცხოველთან, არამედ მდინარეებისა და ტბების სანაპიროებზე, ცარიელ და ვრცელ ველებზე, – ყველგან სადაც იყო დასამუშავებელი მიწა,

მინდვრები და საძოვრები, სარწყავი წყალი, სარწმუნოება, რომელსაც მისდევენ **„ცხვრების მწყემსები“** და მიწათმოქმედები, სავსებით საგრძნობია: ეს არის მიწის მოსავლიანობის, დედა-ღვთაების რწმენა. ამ სარწმუნოების შესახებ გვახსენებენ კერამიკული ფიგურები ღვთაების გამოკვეთილი ქალური ფორმებით.

მაგრამ მანამდე იყო **„ციკლოპური მშენებლობის“** ორი ათასი წელი. და თვით შენობების აგების ტექნიკამ შეარყია ჩვენი წარმოდგენები ნეოლითის ეპოქის შესახებ.

სინამდვილეში, მსოფლიოში უძველესი სამლოცველო მორთულია რაღაც აბსტრაქტული ნიშნებით, რომლებიც თავისუფალი თანამიმდევრობით მეორდებიან. ეს გეომეტრიული და ცხოველების ფიგურები, როგორც ჩანს, უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ორნამენტი. შესაძლებელია მათი გრაფიკული კომბინაციების უკან იმალება სიტყვები და ფრაზები. განსაჯეთ თავად: უზარმაზარი სვეტები, და მათზე გაკეთებულია სხვადასხვა ნიშნები: და შემობრუნებული 90 გრადუსით, ოვალით, წრე, ჰორიზონტალური და ვერტიკალური, ნახევარმთვარე, ჰორიზონტალური თამასა. მათ გვერდით – ძალიან ძველი სტილიზებული **„ალეფები“,** ნიშნები, რომლებშიც შეიცნობა ხარის თავები, მელიებისა და ცხვრების, დაგრაგნილი გველის, ობობის ფიგურები.

აი ერთ-ერთი ფრაზის მაგალითი, რომელიც შედგენილია მსგავსი პიკტოგრამებიდან. 33-ე სვეტზე ნიშნები აგებულია ჯაჭვურად: აქ ორჯერ გვხვდება, დაგრაგნილი გველის, ობობისა და პატარა ცხვრის გარემოცვაში. **„ეს მოხატულობაზე მეტია, – მიიჩნევს კ.შმიდტი. – ეტყობა წარწერა შეიცავს მხოლოდ იმ ხალხისათვის გასაგებ რაღაც გზავნილს.“**

როგორც ჩანს, საქმე გვაქვს ინფორმაციის კოდირების უძველეს სისტემასთან. მეცნიერები ერიდებიან საუბარს დამწერლობის შესახებ, რადგანაც ეს ამსხვრევს ადამიანური კულტურის ჩამოყალიბების შესახებ დამკვიდრებულ წარმოდგენებს და მეტყველებს მხოლოდ იმაზე, რომ **„გიობეკლი-თებეს“ მშენებლები შეტყობინების შესადგენად და სხვა ადამიანებისთვის გადასაცემად სარგებლობდნენ რთული სიმბოლიკით“** (კ.შმიდტი).

**„თუმცა საეჭვოა, რომ უახლოეს მომავალში საიმედოდ იქნას განმარტებული გიობეკლი-თებეს სიმბოლიკა, – აღიარებს გერმანელი არქეოლოგი, 2006 წელს გამოცემული წიგნის „ისინი აშენებდნენ პირველ ტაძრებს“ ავტორი კ. შმიდტი. აღნიშვნა, რომ ადამიანები, რომლებიც ცხოვრობდნენ გიობეკლი-თებეში ფლობდნენ მრავალფეროვანი ლექსიკის დიდ მარაგს, რაც აძლევდა მათ ისეთი შეტყობინების შედგენის შესაძლებლობას, რომელიც, როგორც ჩანს, სცილდებოდა შემდგომში დამკვიდრებულ წარმოდგენებს“.**

გიობეკლი-თებე ჭეშმარიტად განსაკუთრებული ადგილია. აქ ნეოლითის ხანის ადამიანმა პირველად გამოამჟღავნა თავისი ნიჭის მთელი სიძლიერე. აქ 11 ათასი წლის წინ, გახდა ცხადი, რომ ადამიანი უაღრესად ნიჭიერია და მისი ტალანტები ვლინდება ცხოვრების სრულიად განსხვავებულ სფეროებში: არქიტექტურაში, ხელოვნებაში, რელიგიაში. მართალია, დღემდე ჭიპლარის მთის მიდამოებში არ არის ნაპოვნი არც ერთი მსხვილი დასახლება, სადაც შეეძლო ეცხოვრა გიობეკლი-თებეს სამლოცველოს მრევლს. თუმცა წმინდა მთიდან 150 კმ-ის რადიუსში ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში (ახ.წ.აღ-მდე 9600-8800წწ.) არსებობს დასახელებები: ნევალი-ჩორი, კაიიონიუ, ხალან-ჩემი, ჯერფ-ელ-ახამარ, ტელკვარამელ და ჩეიკ-ჰასან. და როგორც ჩანს მათ მაცხოვრებლებს აქვთ ურთიერთობა გიობეკლი-თებეს მოსახლეობასთან. ზოგიერთი დასახლების გათხრებისას ნაპოვნია გიოკბეკლი-თებეში გამოყენებული ნიშნების გამოსახულებები: მინიატურული კურდღელი (ან მელა) და გველები ქვაზე – ჯერფ-ელ-ახმარადან, ზიგზაგისებრი ხაზები და წრეები ქვის ფილაზე, იმავე დასახლებიდან, გველები და მრავალფეხები ქვაზე ტელ-კვარამელიდან.

**კლიმენტი შელია,**
**პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# დედა ენა

ქართული მოდგმის მეტყველებათა განვითარებას ჩემი გამოკვლევით წინ უსწრებდა სამი ეტაპი: პირველია გამყინვარების დროის გამოქვაბულებში თავშეფარებულთა მეტყველება, რომელიც გამოეყო მომთაბარე ჰომოსაპიენსთა საერთო მეტყველებას; მეორეა დათბობისა და მიწათმოქმედების წარმოშობის დროინდელი მეტყველება და მესამეა პირველი სახელმწიფო-სადამწერლობო-სასულიერო ელემენტების შემცველი ენა, რომელსაც პირობითად შეგვიძლია **"პალეოგეორგიანული"** ენა ვუწოდოთ, რომლის შთამომავალია კაცობრიობის პირველი ცივილიზაციების ენები და სამივე ქართველური ენა: მეგრული, სვანური, ქართული. აქედან **"პალეოგეორგიანულ"** ენასთან ყველაზე ახლოს დგას **"ზანური"** (მეგრულ-ლაზური), შემდეგ სვანური და საკუთრივ ქართული. თუმცა სვანურში ცალკე და ქართულშიც ცალკე ზოგი ისეთი ფორმა და სიტყვაა შემონახული რომელიც **"პალეოგეორგიანულთან"** უფრო ახლოს დგას: მაგალითად სიტყვა **"მარე"** (კაცი) მხოლოდ სვანურმა შემოგვინახა. ხოლო ქართულ ენაში პალეოგეორგიანული მეტყველების ნაშთები უფრო განაპირა დიალექტებშია შემორჩენილი, რადგან თავად ქართული ენა საეკლესიო-სამწიგნობრო გრამატიკული რეფორმების გამო საკმაოდ **"გაუთოებულია"**.

ქართული დედაენის სახელმძღვანელოს შემდგენელმა იაკობ გოგებაშვილმა სწორად შეამჩნია: **"მეგრელები დიდ პატივს სცემენ ქართულს, რადგან ის საეკლესიო-საღვთისმეტყველო ენად მიაჩნიათო"**.

დიახ – მეგრელებს დღემდე ახსოვთ, რომ ქართული ენა სწორედ საეკლესიო ენად შეიქმნა. ქრისტიანობას არაერთ სხვა ქვეყანაშიც მიეძღვნა ახალი ენა და დამწერლობაც, მაგალითად სლავიანური ენაც და დამწერლობაც ეკლესიის წიაღში შეიქმნა და კირილიცას მეორენაირად ბულგარულ საეკლესიო დამწერლობასაც ეძახიან, მანამდე კი არანაირი პროტოსლავური ენა არ არსებობდა.

ნეოლათინური და გერმანიკული ენებიც ეკლესიის წიაღში ჩამოყალიბდნენ: მაგალითად გოთური ალფაბეტი მათმა პირველმა პატრიარქმა შექმნა – აღსანიშნავია რომ გოთებმა თითქმის მთელი ევროპა დაიპყრეს და დღევანდელი ევროპის სახელმწიფოები გოთური სამეფოების საფუძველზეა წარმოქმნილი, გოთები კი იყვნენ ლათინიზირებული თათრები.

სომხური და ალბანური დამწერლობებიც ქრისტიანობის გამოცხადების შემდეგ შექმნეს. ქრისტიანობასთან ერთად ჩამოყალიბდა ეთიოპური დამწერლობაც. ანალოგიურად ძველქართული ენაც ჩამოყალიბდა ქრისტიანობის გამოცხადების შემდეგ ზანური ენის ბაზაზე, რომელიც ამ პერიოდისთვის იყო ეგერიელთა, იბერთა და ალბანელთა სამეტყველო ენა. ასევე შემუშავებულ იქნა ასომთავრული ანბანი უძველესი ქალდეური (გნებავთ პელაზგური) ასონიშნების მოდერაციის შედეგად.

თავის დროზე ივანე ჯავახიშვილი ასეთ ვარაუდსაც გამოთქვამდა: "ჩვენ ყველამ ვიცით, რომ თანამედროვე ქრისტიანობის ნიადაგზე აღმოცენებული ქართული მწერლობის ენა ქართლურია, ხოლო ქართველი ხალხის უძველესი ხანის კულტურის შესწავლა უეჭველ ჰყოფს, რომ ქართველებს ქრისტეს წინათაც მრავალი საუკუნის განმავლობაში მწერლობა უნდა ჰქონოდათ, მაგრამ შესაძლებელია, შემდეგ გამოირკვეს, რომ ამ ხანის მწერლობის ენა ქართლურ შტოს კი არ ეკუთვნოდეს, არამედ მეგრულ-ლაზურ, ან სვანურ შტოს".

ქართული ენის შექმნა ქრისტიანობის გამოცხადებისთანავე უნდა დაწყებულიყო, რომელშიც დიდი წვლილი უნდა შეეტანათ იოანე ლაზს და ბაკურ დიდს, თუმცა სახალხო ენად ის მოკლე დროში ვერ დამკვიდრდებოდა, რაზეც მიგვითითებს VI საუკუნის ბიზანტიელი აგათია სქოლასტიკოსის ცნობა: **"ლაზებს რომ ძველად კოლხები ეწოდებოდათ და სწორედ ისინი არიან, ამაში ეჭვი არ შეეპარება არავის თუკი ის გაეცნობა ფაზისის, კავკასიისა და მათ გარშემო მდებარე ქვეყნების მოსახლეობას"** – ესე იგი VI საუკუნეში კავკასიაშიც და მის ირგვლივაც ლაზები, ანუ ზანურენოვანი (მეგრულენოვანი) ხალხი სახლობდა.

ცნობილია, რომ საქართველოში ქრისტიანობამ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა და მოსპო წარმართული კულტურა: მისი ქანდაკებები, პანთეონები, დამწერლობის ნიმუშები და თვით ენაც კი გადააკეთა. ახალმა საეკლესიო ენამ (ქართულმა) თანდათანობით ხმარებიდან ამოაგდო კოლხურ-იბერიული (ანუ ზანური), ჯერ ქართლში და მერე დასავლეთ საქართველოში, მოსახლეობა კი დარჩა იგივე და არავინ არსად არ შეჭრილა, როგორც ამას გვიმტკიცებდნენ "სოც-მეცნიერები", თითქოსდა დასავლეთ საქართველოში შეიჭრნენ "ქართები" და დღევანდელი იმერლები, გურულები, რაჭველები და აჭარლები მათი შთამომავლები არიან.

სინამდვილეში კი არ არსებობდა არანაირი ქართველური სამი შტო: სვანების, მეგრელების და ქართების, როგორც ამას დღემდე გვიმტკიცებენ ნაბოლშევიკარი **"დიდი"** მეცნიერები. სინამდვილეში არსებობდა მხოლოდ ერთი კოლხური შტო, ანუ მეგრული, იგივე ზანური შტო, უფრო სწორედ ერი და არა რაღაც ტომის შტო თუ ტრიბუ.

ტერმინი **"ტომები"** მიესადაგება მომთაბარე-მაწანწალა ნახევრად ველურებს. სხვადასხვა ტერიტორიებზე მოსახლე ქართველთა წინაპრების მიმართ ტერმინი **"ტომები"** იმდენად შეგვიძლია გამოვიყენოთ, რამდენადაც დღევანდელ საქართველოს კუთხეების მკვიდრთა მიმართ, მაგალითად: გურულთა ტომი, კახელთა ტომი, ქართლელთა ტომი და ა.შ. ჩვენს მეფეებს და საზოგადო მოღვაცეებს კი ვუწოდოთ ტომის ბელადები, მაშინ როცა ქართველი ერი ერად ჩამოყალიბდა შუამდინარეთის ჩრდილოეთით დაახლოებით 11-8 ათასი წლის წინ მიწათმოქმედების წარმოქმნასთან ერთად, რა დროსაც წარმოიქმნა დამკვიდრებული ცხოვრების წესი.

ამდენად არქიტექტურა, დამწერლობა და მეტალურგიაც ქართველმა ერმა შექმნა, რომელიც მაშინ საუბრობდა იმ ენით, როლის პირდაპირი შთამომავალია მეგრული ენა.

მე პირადად როცა ვქმნიდი ჩემს პოეზიას ქართულ ენაზე, პოეზიამ მიბიძგა შემესწავლა ძირეულად ქართული ენა, მათ შორის ძველქართული სიტყვებიც, და აი, ამ დროს აღმოვაჩინე, რომ ქართული სიტყვების უდიდესი ნაწილი მეგრული ძირისაა, რადგან ამ ძირების შინაარსიც და მრავალფეროვნება სწორედ მეგრულშია შემონახული. თავის დროზე ქართული სიტყვების ძირების ძიება დავიწყე თავად სიტყვიდან **"სიტყვა"**; ძველქართულად **"სიტყუაი"-"სიტყუა"**; **"სი"** თავსართია, ძირად გვრჩება **"ტყუა"**. მეგრულად და ძველქართულად სიტყვა **"თქვა"** არის **"თქუა"-"თქუ"**, **"თქმა"-„თქუმა"**. ცნობილია რომ ძველქართულ **"უ"** ასოს ბევრგან ჩაენაცვლა **"ვ"** ასო, მაგალითად **"ქვა"** ძველქართულად იყო **"ქუა"** – მეგრულში დღემდე ასეა. სიტყვების წარმოთქმას ქვია **"მე'ტყვ'ელება"**; აქაც ძირია **"ტყვ-ტყუ"**. ძველქართულ ენაში არსებობდა ყრუ-ხორხისმიერი **"ყ"**(ყ), ანუ ნახევარი **"ყ"**, რომელიც ემსგავსება **"ქ"** თანხმოვანს; მეგრულში ეს ნახევარი **"ყ"** დღემდე არსებობს. ამგვარი **"ყ"** ასოთი იწყება სიტყვა **"ყინტი"-"კრინტი"**(ხმა-კრინტი), **"ყია"-"ყორყელი(ხორხი)"-"ყელი"-"ყორყოტი"-"ყანყრატო"** - ანუ სახმო აპარატი; აქედანვეა **სიტყვები: "ყვირილი"**, **"ყიჟინა"**, **"ყიონი"-"ყივილი"**, **"ყურაფი-ყმუილი"**. მეგრულის კუთვნილებაა აგრეთვე ძველქართული სიტყვა **"მარქუი"**(მითხარი): **"მარ"** თავსართი მეგრული ენისთვისაა დამახასიათებელი, მაგალითად: მარგინაფა, მარდება, მარმალუა და ა.შ. ეს თავსართი ქართულ ენაში დაკარგულია როგორც თავსართი, თუმცა შემორჩენილია ცანკეული სიტყვების სახით, მაგალითად: მარწუხი, მარჯვენა, მარხვა და ა.შ. ამ თავსართს ქართულში ზოგან თავსართი **"და"** დაემატა, მაგალითად: მარცხება-დამარცხება, მარდება-დამადლება

–სიტყვა **"ყუდე"** მეგრულად ნიშნავს სახლს და აქედანაა ნაწარმოები სიტყვები: **"საყდარი"-"საყუდარი"** (შეადარეთ სახლი-სასახლე). აქედან სიტყვა **"დაყუდება"**. **"ყუდედან"** უნდა იყოს სიტყვა **"ბუდეც"**, რადგან მეგრულად **"ყუჩუა-ყურჩუა"** ნიშნავს დაბუდებას, აქედან კი სიტყვა **"მოყუჩება"-"გაყუჩება"** და **"მყუდრო"** (ძველქართულად **"ყუდრო"**).

–ზანურად და ძველქართულად **"ზღვა"** არის **"ზღუა"**, აქედან სიტყვები: **"საზღუარი"-"საზღვარი"**, **"ზღუდე"**, **"ზღურბლი"**

–ქართული სიტყვა **"წყალი"** არის მეგრული **"წყარი"**-ს, იგივე **"წყუ"**-ს სახეცვლილი ფორმა; ქართულში თავიდანვე რომ "წყალი" ყოფილიყო სიტყვა "წყურვილი" იქნებოდა "წყულვილი", "წყარო" კი იქნებოდა "წყალო". დასავლეთ იმერულ დიალექტში ცხელი და ცივი წყლის გაზავებას ქვია "აწყორვა". აქვე უნდა გავიხსენოთ ტოპონიმები "აწყური" და "ტაბაწყური" - ეს უკანასკნელი მდებარეობს ტბასთან - "ტაბა" იგივეა რაც მეგრული "ტობა" (ტბა) - ეს "ტაბა" არც მთლად "ტობაა" და არც მთლად "ტბა"- ესაა გარდამავალი ფორმა, იმ გარდამავალი მეტყველების, როცა ხდებოდა მეგრულიდან ქართულზე გადასვლა.

–მეგრულში სიტყვა "სული" აღინიშნება სიტყვით "შური" - აქ ძირია "შუ" – ძველქართული სიტყვა "იშუა" (იშვა-ბაიბადა) ნიშნვს სული ჩაედგას. იესოს ძველქართული სახელი "იესუ" და არამეული "იეშუა" ნიშნავს განსხეულებულ (სხეულში სულდგმულ) ღმერთს.

–სიტყვა "გოლიათი" ზოგს ებრაული სიტყვა გონია, სინამდვილეში ის არის ებრაულში პალესტინურ-პელაზგურიდან, იგივე ქალდეურიდან შესული ზანიზმი - "გოლიათი" ხომ პალესტინელების ლიდერს ერქვა. "გოლა" მთას ნიშნავს მეგრულად, "გოლიათი" კი მთაკაცს. ამავე დროს "გოლა" პალესტინურადაც მთას უნდა რქმეოდა - არამეული სიტყვა "გოლგოთა" - "გოლგოთა" განიმარტება როგორც "თავისქალის მთა".

–მეგრული სიტყვა "ქვარა" ნიშნავს მუცელს და ამავე დროს მუცლიანი ჭურჭლის სიღრუესაც, მაგალითად დოქის "ქვარა", თავად დოქს და ქვაბსაც მეგრულად ამასთანავე ეწოდება "ქვარქვათანა"; აქედან კი სიტყვები "ქვაბი", "ქვიჯა", "გამოქვაბული" (აქედან გამოქვაბულების სახელები: ქვილიშარი, ქვაჯი, ქვაბჩარი ) და ალბად "ქვირითიც", რადგან ქვირითს სწორედ თევზის მუცელში (ქვარაში) პოულობდნენ.

**ბაკურ მორგოშია**

# "ვინც მოყვარესა არ ეძებს..."

*"ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია"*

**შ. რუსთაველი**

ქართულ მიწაზე – ქართლ-კახეთში, იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, აჭარაში, სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში – მოვიდა ახალი ხელისუფლება, დაისადგურა ახალმა იმედმა, მრავალი გამარჯვებისა, კაცური შთაგონებისა და ამაღლებისა, მაგრამ გულს მოუშუშებლად, შეუხორცებელ იარად ატყვია ის, რომ ყოფილი ხელისუფლების უგუნური თუ მოღალატეობრივი პოლიტიკის შედეგად დაკარგულია აფხაზეთი და სამაჩაბლო. იმ ავადმოსაგონარი ცხრა წლის განმავლობაში თითოეული ჩვენთაგანი ნელ-ნელა რწმუნდებოდა და საბოლოოდ დარწმუნდა კიდეც, რომ სააკაშვილი იყო უფლებამოყვარე, დიდი მასშტაბის კარიერისტი, რომელიც სულის გაყიდვის ფასად იღვწოდა ძალაუფლების მოსაპოვებლად.

პოლიტიკური უფლებამოსილების ჟინმა მისი სულიერი გაკოტრება გამოიწვია!

**"ნაცმოძრაობის"** მმართველობის პერიოდში ქვეყანაში ისეთი ატმოსფერო შეიქმნა, რომ ღირსეულნი დაითრგუნენ, ხოლო უღირსნი და მედროვენი, ყოველგვარი ამაღლებულობისაგან დაცლილნი – ამოტივტივდნენ. მოხდა ისე, რომ, ავყიათა ნებით, დრომ და ჟამმა საჩინო თვალისჩინს მიაფარა, ადამიანად წოდებულმა ზოგმა არსებამ სულსა და გულზე წყვდიადის საბურველი ჩამოიფარა, გონება დაებინდა და საკუთარ ხალხს დაერია. ამჟამადაც ზოგიერთი გონებადაბინდული, **"ნაცმოძრაობის"** გესლით დაბოღმილი, საკუთარი ხალხის სიძულვილით აღვსებული, ავყია, გარეული და შიგადაშიგ შინაურიც, რომლებიც ახალ პარლამენტში შეცდომით მოხვდნენ, შავი სათვალიდან იჭყიტებიან და დანისლული გონების ჩლუნგი სიტყვით **"ენაწყლიანობენ"**, ავსიტყვაობენ, ენამრუშობენ, მაგალითისათვის ზოგიერთის დასახელებაც კმარა: გივია თარგამაძე, ჩიორა თაქთაქიშვილი, ნუგზარ წიკლაური, ხათუნა გოგორიშვილი, ჯერ კიდევ ასაკობრივად ჩამოუყალიბებელი მარიამ საჯაია (პოლიტიკურად, თორემ, სხვა რამეში – გაგიხარიათ! – **"ილორი"**), თინათინ ბოკუჩავა და ძმანნი და დანნი მათნი. მათი და მათი **"ბელადის"** მიმართ ქართველ ხალხს გამოთქმული აქვს წყევლის შემზარავი გმობის ერთი თქმა – შენს კიბეზე ამოვიდეს ბალახიო. ეს ის წყევლაა, რომელსაც ყველაზე საზიზღარი პიროვნება (პიროვნებები) იმსახურებს. ნუთუ ვერ მოინახა ფსიქიატრთა ისეთი ჯგუფი, რომელიც შესძლებს ამ ხალხს აშლილობა დაუცხროს, დააშოშმინოს და გალურსოს საადამიანოდ, **"მოუხსნას"** აკვიატებული ხუშტურები. ამ ასპექტში ახალი ხელისუფლება არ უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ ერის დამოძღვრით, ზოგადი მსჯელობით, სიტუაციის ანალიზით, არამედ უფრო მეტი შემოქმედებითი ღვწით უნდა დაგვიხატოს თვით სიტუაცია, უნდა წარმოგვისახოს ისტორიული ვითარება, რომ კიდევ უფრო დამარწმუნებელი გახადოს ის საგანგაშო მდგომარეობა, რომელიც **"ნაცმოძრაობის"** მიერ ხელისუფლების უზურპირების შედეგად შეიქმნა. შეეშვას სიტყვას **"კოჰაბიტაცია"**, ყველას მიაგოს საკადრისი – ჩადენილი დანაშაულის შესაბამისად, ყველა სფეროში აღადგინოს სამართლიანობა.

ჩვენი საქმე ჩვენვე უნდა გადავწყვიტოთ სხვა სახელმწიფოს ყოველგვარი ჩარევის გარეშე, რამეთუ საერთაშორისო სამართლის შესაბამისად **"ყოველ სახელმწიფოს აქვს განუყოფელი უფლება აირჩიოს თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული სისტემა, ყოველი სხვა სახელმწიფოს მხრივ ამა თუ იმ ფორმით ჩარევის გარეშე"**.

მაშ რატომ გავხდით ამერიკის შეერთებული შტატების თითქმის ვასალი?

მთელი მსოფლიოსათვის ცნობილია, რომ **აშშ** ნიადაგ შობს აგრესიულ, ავანტიურისტულ პოლიტიკას, რაც არაერთი მაგალითითაა დადასტურებული და ამაში ყველა დარწმუნდა ჩვენს გარდა და მათ დაკრულზე ცეკვას გვაიძულებენ, რაც ჩვენი დაკნინების აშკარა ნიშანია.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, მართალია, რუსეთთან ურთიერთობა ფრიად დაიძაბა, მაგრამ ამაში მხოლოდ მათი დადანაშაულება არარეალურია. გეოგრაფიულად რუსეთი ჩვენი მეზობელია, ამერიკა კი ჩვენი მეზობელი ვერასოდეს გახდება.

1943 წლის 29 ივლისს რუზველტი წერდა: **"ქვეყნიერებას არასოდეს არ უხილავს საქმისადმი იმაზე მეტი ერთგულება, მეტი სიმტკიცე, რაც გამოამჟღავნეს რუსმა ხალხმა და წითელმა არმიამ მარშალ იოსებ სტალინის მხედართმთავრობით. საკუთარი თავის ხსნით რუსეთი მიზნად ისახავს ნაციზმისაგან გადაარჩინოს მთელი მსოფლიო – ჩვენ მადლობელი უნდა ვიყოთ ამ ქვეყნის, რომელიც შეძლებს აგრეთვე იყოს მომავალ სამყაროში კარგი მეზობელი და გულწრფელი მეგობარი"**.

როგორც ვხედავთ, რუზველტი, რომელსაც სააკაშვილზე მეტი ჭკუა ნამდვილად ჰქონდა, ესწრაფვოდა რუსეთთან კეთილმეზობლობას და მეგობრობას ოკეანისგაღმიდან, ჩვენ კი ერთი ტუტუცის ახირებისა და გაუთვლელი პოლიტიკის გამო ზურგი უნდა ვაქციოთ მართლაც დიდ და ერთმორწმუნე ერს. ფართო საზოგადოებამ, ინტელიგენციამ, რომელიც მყარ რელსებზე მოძრაობს, ახალგაზრდობისაგან გამორჩევით კარგად იცის, რომ რუსეთის კულტურულ ცენტრებში აღიზარდნენ ქართული მეცნიერების კორიფეები: ივანე ჯავახიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, ანდრია რაზმაძე, დიმიტრი უზნაძე და სხვა სასიქადულო მამულიშვილები. დიდ რუსულ და საკაცობრიო კულტურის უამრავ სიბრძნეს ეზიარნენ დიდი ილია, აკაკი, ვაჟა, ყაზბეგი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე და სხვები.

მოწინავე რუსი ინტელიგენიის დახმარებით, სულიერი და მორალური გავლენით ქართველ ერს აღეზარდა ინტელიგენცია, დასები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს პროგრესული აზროვნებისა და სწავლა-განათლების მაცოცხლებელ სიბრძნეს, შევქმენით დედა-ენის სახელმძღვანელო, მომზადდა ეროვნული განათლების უდიდესი კერის – ქართული უნივერსიტეტის შექმნისათვის მყარი ნიადაგი. ეს ჩამონათვალი ქართველი და რუსი ხალხის კეთილმეზობლური, კეთილმეგობრული ურთიერთობების დამადასტურებლად ერთობ მწირია, მაგრამ ურთიერთობის უამრავი მაგალითებია, რომელთა აღწერა მხოლოდ მატიანეს ხელეწიფება. ამ ურთიერთობათა ხაზგასმა ვიღაცის ხუშტურის გამო დაუშვებელია. თანაც, უნდა გვახსოვდეს, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნებისა და საქართველოს გამთლიანების გზა მხოლოდ რუსეთზე გადის. ამერიკის მიერ კი ამ პრობლემის გადაჭრის იმედი ზეროს ტოლფასია.

ასე, რომ **"ნუ დავკარგავთ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა"**!

**როზმირ გოგენია,**
**ქ. ზუგდიდი**

# პასუხად სიმართლესა და ჭეშმარიტებას ზურგშექცეულ კოლეგებს

დასაწყისი – "ილორი" №№238-245

*სიმართლე მწარე წამალია – არ გესიამოვნება, მაგრამ მოგარჩენს.*
ბალზაკი

*ჭეშმარიტება არ იჩაგრება იმით, რომ ვიღაცა მას არ იზიარებს.*
შილერი

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ერთი უპრეცედენტო ფაქტიც: როდესაც საქართველოს სახელმწიფო მინისტრის, გურამ აბსანძის დაჟინებული თხოვნით უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე კენჭს ვიყრიდი, საპროგრამო სიტყვით გამოსვლისას, ბატონ თემურ მჟავიას დავალებით, ქალბატონმა ასტემოროვამ ხელში ტელეფონი შემომაჩეჩა. ხაზზე გახლდათ იუსტიციის მინისტრი ზურაბ ადეიშვილი, რომელმაც ძალზე დელიკატურად შემომთავაზა: მომეხსნა საკუთარი კანდიდატურა და გზა დამეთმო თემურ მჟავიასთვის. მე, რა თქმა უნდა, გავითვალისწინე ადეიშვილის ეს **„თხოვნა"** და თემურ მჟავია უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ მოგვევლინა!

ყოველივე ამის შემდეგ თავად თემურ მჟავია და ჯემალ გამახარია მაინც ურცხვად მიწოდებენ დაბოღმილსა და გაბოროტებულს... მით უფრო, რომ კარგად იციან – თამაზ ნადარეიშვილი ან გივი ლომინაძე რომ დაგვენიშნა მაშინ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ, აფხაზეთი ომს გადაურჩებოდა! (იხ. შეს. 120 და 125 გვ.). ომი არ გახდებოდა მაშინ საჭირო და ისინი აფხაზეთში ტანკების შემოსვლას არ შეუწყობდნენ ხელს!

მართლაც აღმაშფოთებელია, როდესაც ადამიანი უტიფრად ცრუობს და თავს უფლებას აძლევს, რეალობად გაასაღოს არმომხდარი, არარსებული! ყოველივე ეს ხომ სცილდება იმ ზღვარს, რომლის იქით ადამიანი წყვეტს ადამიანობას!

მაგრამ, რა დროს რიტორიკაა, როცა ეს ბედოვლათები **„მეგრული სეპარატიზმის"** გაღვივებასაც მაბრალებენ?

ალბათ, სეპარატიზმის ხელშემწყობად იმიტომ მიმიჩნევენ, რომ ჩემში განუზომელ სინანულსა და ტკივილს იწვევს ყოველივე ის, რაც აქ, კოლხეთში მოხდა და რასაც **„წალენჯიხის ზარები"** მუდამდღე გვახსენებენ. თუკი კოლხეთის სატკივარი ჯემალ გამახარიაზე, თემურ მჟავიასა და ნუგზარ მგალობლიშვილზე მეტად მტკივა, ეს რატომ უნდა ნიშნავდეს სეპარატიზმს?

ბატონო ჯემალ, თქვენი საყვარელი მეზღაპრე ლეონტი მროველისა და ნიკო მარის სიტყვებით რომ ვთქვათ, მეგრელებმა თავიანთი ყველაზე მთავარი მონაპოვარი – სახელმწიფოებრიობა მსხვერპლად გაიღეს ერთიანი ქართული სახელმწიფოს ასაშენებლად და თქვენ რატომ გეშინიათ და რატომ არიდებთ თავს ამაზე საუბარს? თქვენი მეგობრების, **„დიდი"** მეცნიერების – თეიმურაზ გვანცელაძის, ტარიელ ფუტკარაძის და მათი ძმების ხომ არ გერიდებათ, რომლებიც გვამცნობენ, რომ მეგრულ-ლაზური და სვანური ენები ქართული ენის ისეთივე დიალექტებია, როგორიც კახური, ჯავახური, იმერული, გურული, აჭარული და სხვანი. აბა, გაუგია ვინმეს **„კახური ენა"**, **„გურული ენა"** **„ჯავახური ენა"** და ა.შ. ისინი აცხადებენ, რომ მეგრულ-ლაზურის და სვანურის ცალკე ენებად აღიარება ზიანს მოუტანს ქართველთა ერთიანობას და ასეთი რამ არ უნდა დავუშვათო.

ბატონი ფუტკარაძე უფრო შორსაც მიდის: **„მეგრელებმა უნდა აღიარონ, რომ მეგრული ენა არ არის, ანდა აღიარონ, რომ მეგრელები ქართველები არ არიან!"** ეს მან ჯერ კიდევ 2002 წელს, ქუთაისში ჩატარებულ **„ქართველოლოგთა IX სიმპოზიუმზე"** განაცხადა და შეიტანა მათ მიერ მიღებული მემორანდუმში. ამის შემდეგ, სულ ახლახან, მან კიდევ ერთხელ განაცხადა: **„ყველამ კარგად უწყის, რომ მეგრული და სვანური ენები არიან და ჩვენი თეორიის საპირწონედ, ისინი ამას თუ დაამტკიცებენ, დავიღუპებით. არც ერთი ნაბიჯი უკან, ჩვენ უნდა მივაღწიოთ მსოფლიო დონეზე იმას, რომ მეგრული იქნას აღიარებული როგორც დიალექტი. სვანური ისე საშიში არ არის, როგორც მეგრული!"**.

ეს წიგნში არ მიხსენიებია, თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ყოველივე ამან დადებითი ემოციები გამოიწვია ჩემში.

ნეტავ, როდის ეცილებოდა მეგრული ან სვანური ენა ზოგად ქართულს, როდის ჰქონდათ მათ ამის პრეტენზია?

ბატონო ჯემალ, ის კი არ არის საგანგაშო, რაზეც მე ვწერდი და ვტკბებოდი მეგრული ენის ფანტასტიკური ჟღერადობითა და შესაძლებლობებით, რასაც მე სრულიად შემთხვევით მივაქციე ყურადღება, როდესაც დავფიქრდი იმაზე, თუ რატომ მოიხსენიებდნენ აუგად ასე ხშირად მეგრულ ენას. საგანგაშო ის უფროა, თქვენ რომ გეთაკილებათ მეგრელობა და მეგრულად მეტყველება. მეგრული თავისი ლექსიკითა და ზმნათა ამოუწურავი შესაძლებლობებით, სხვა ენებთან შედარებით, მართლაც გამორჩეულია – ამას ლინგვისტები, მსოფლიო დონის მეცნიერებიც აღიარებენ! ნუთუ მსჯელობა იმ ენის შესახებ, რომლის ლექსიკური რესურსი უსაზღვროა, სინონიმური სიმდიდრე კი აურაცხელი, უმეცრება ან სეპარატიზმია?! რატომ არ შემიძლია ამით დავტკბე? ან თქვენ თავად რატომ არ დაფიქრებულხართ ამაზე, ვისი გეშინიათ, ვინ შეგიშალათ ხელი?! ხომ არ შიშობთ, რომ მეგრულ სეპარატიზმში დაგდებენ ბრალს?! სხვაგვარად, რატომ ხართ ასე გულგრილი ასეთი მოვლენების მიმართ? უხერხულად რატომ მიგაჩნიათ იმ ენაზე საუბარი, რომლითაც აიდგით ფეხი და შეერწყეთ სამყაროს? უცნაურია, რატომ მიგაჩნიათ თქვენი **„ნანაშ ნინა"** სხვა ენის კილოკავად ან დიალექტად?

თქვენი და თქვენი მეგობრების ხელაღებული დამოკიდებულება საკუთარ **„ნანაშ ნინასთან"** საზღვრებს გასცდა (პირდაპირი გაგებითაც) და **„თვისტომის დამწუნებელს"** უკვე **„სარდაკიას"** გადარებენ სახელობით მოძღვნილ ლექსებში (იხ.გაზეთი **„ილორი"** ( 223 (282), 11-18 ივნისი, 2013 წ.: **„ეს ლექსი „ეძღვნება" ბატონ ჯემალ გამახარიას და ყველა იმ კოლხს, რომელსაც საკუთარი „ნანაშ ნინა" დიალექტად მიაჩნია"**. ინტერნეტშიც შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე: **http://wikisource.org/wiki/**. ლექსის სათაურია **„ვოურჩქილათ გამახარიას"**). დარწმუნებული ვარ, უკვე წაიკითხავდით, მაგრამ მცირე ამონარიდი მაინც მინდა შეგახსენოთ, თუ რას გწერთ გია ოკუჯავა გერმანიიდან:

**„კოლხურ ნინაქ ვემედინას, გურით ეშეკანკალანს, ლაშას ოკო ურჩქილათ დო არძაქ ჯგირო დეფიფქრათ: „უმინჯ ვანა – ჩხონაფილქ თქუ, სარდაკიაქ დაჟღირუა, ქემინჯით დო გაქშაბურცხეთ უმოღე დო ნაჟირუა". „სარდაკიეფ" ქართის ძირნა, „ოჭყორდუნა" მარგალური, მენცარობას იჩემენა, სერით ვაუღუნა რული. „დიალექტი" ცოფე თურმე, მედეაში კოლხურ ნინა, ჯვეშეფს მუჭო შეხვადუნა, სოულ ამნაირო რინა!"** – აბა, უკეთესად რა გითხრა?...

მკითხველისთვის გასაგები რომ იყოს, დავსძენ, რომ **„სარდაკია"** სარეველას ნიშნავს და ავტორი ასე უწოდებს მათ, ვინც თბილისს იხილავენ თუ არა, ივიწყებენ მეგრულს, მეცნიერად მოაქვთ თავი...

როდესაც კოლხურ ენასა და კულტურაზე ვსაუბრობთ, მახსენდება ჩვენს თანასოფლელ, საქვეყნოდ ცნობილ მწერალსა და მეცნიერთან – ლადო (ვიტალი) ალფენიძესთან საუბრები. ახლახან ხელმეორედ გადავიკითხე მისი **„სფინქსის ღიმილი"**, **„საქართველო – ღვთისმშობლის ქვეყანა"** და ძალზე ვისიამოვნე. ამ გამოჩენილმა ქართველმა, თავის სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულმა კაცმა, რამდენი დრო და ძალისხმევა მოანდომა კოლხური (პროტო-ქართველური) ენის ძირების მოძიებას, მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში მისი როლისა და ადგილის პოვნას. ამ ენის განვრცობის არეალის დასადგენად მას არ დაუტოვებია მსოფლიოს არც ერთი კულტურული კერა, რამდენი აღმოჩენით დამტკბარა და რამდენჯერ წამოუძახია **„ევრიკა!"**. თქვენ კი, რა დაგემართათ, ბატონო ჯემალ? რა ღმერთი გაგიწყრათ! თქვენც ხომ იმ სოფელში დაიბადეთ და იგივე სკოლა დაამთავრეთ, რომელშიც ჩვენი სასიქადულო ლადო ალფენიძე სწავლობდა? რამ შეგაშინათ, რამ შეგაძულათ ასე ჩვენი ენა, მეგრული?!

მეგრული ენა, ისევე, როგორც სვანური, ზოგადსაკაცობრიო სიმდიდრეა, ქართული კულტურის ფასდაუდებელი საგანძურია – ასგზის გავიმეორებ ამას და არა თუ შემრცხვება, ვიამაყებ კიდეც ამით!

ჩვენში იმის აღიარება კი არ არის საგანგაშო და საფრთხის შემცველი, მეგრელი კაცი მეგრულად რომ საუბრობს, არამედ ის, კახელს შეუძლია თქვას, რომ კახელია, ქართლელს – რომ ქართლელია, გურულს – რომ გურულია, მეგრელს კი ეშინია თქვას, რომ ის მეგრელია, – ვაიდა, ვინმემ სეპარატისტობა არ დამწამოსო. ასეა, ბატონო ჯემალ, სწორედ ეს არის ის, რასაც თქვენ აკეთებთ: თავს ესხმით ჩემისთანა უცოდველ კაცს და ათასგვარ ცოდვაში ადანაშაულებთ, მათ შორის **„მეგრული სეპარატიზმის"** გაღვივების მცდელობაშიც მდებთ ბრალს! თქვენც კარგად გესმით, როგორ სცოდავთ, მაგრამ, ალბათ, **„ასე იყო საჭირო"** და რა უნდა გექნათ?! ამიტომ ეს არც გამკვირვებია. მე სულ სხვა რამ მაოცებს: რატომ არ გამოგიხატავთ პროტესტი, როცა სამეგრელოს ველურებივით შეესივნენ (**„მხედრიონელები"**, გვარდიელები) და გაძარცვეს, გადაწვეს, ააოხრეს იგი – სულში ჩააფურთხეს მეგრელ კაცს, კერია შეურაცხყვეს, ქმარს თვალწინ ცოლი გაუუპატიურეს, მამას და ძმას კი – შვილები და დები! სხვა რომ არ ვთქვათ, მარტო ის ფაქტი შეგზარავს კაცს, რაც ხვიჩიების ოჯახში დატრიალდა: ჯაბას გამოზრდილმა კაციჭამიებმა საწოლქვეშ შეაგდეს ოჯახის მამა, ზედ იმავე საწოლზე გააუპატიურეს მისი მეუღლე – ოჯახის დედა, მერე უბედურ მამას აყურებინეს, როგორ აუპატიურებდნენ მის 15 წლის ქალიშვილს და წავიდნენ... გულშემოყრილმა მამამ საფლავი გათხარა, ცოლ-შვილი დახოცა, თვითონაც მოისწრაფა სიცოცხლე და ზედ გადაემხო სამარეში (დიტო ჩუბინიძე, გაზეთი **"ასავალ-დასავალი"**, 2005, 14-20 ნოემბერი, 46 გვ.3).

**ნაპო მესხია,**
**პროფესორი**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# ვახტანგ კომახიძე ხურჩის ტერაქტის მთავარ დეტალზე საუბრობს

შვეიცარიაში მყოფმა ქართველმა ჟურნალისტმა ვახტანგ კომახიძემ თავის დროზე 5 წლის წინ ხურჩაში მომხდარი ტერაქტის ირგვლივ ჟურნალისტური გამოძიება აწარმოა და ფილმიც გადაიღო. ეს თემა დღესაც აქტუალურია. კომახიძეს ამ და სხვა საკითხებზე სასაუბროდ შვეიცარიაში შევეხმიანეთ, სადაც მან რამდენიმე წლის წინ პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო.

**– საზოგადოებაში კვლავ აზრთა სხვადასხვაობაა, თუ რა მოხდა 2008 წლის არჩევნებისას ხურჩაში – ეს იყო აფხაზური მხარის ნამოქმედარი, თუ მართლა შსს-ს იმჟამინდელმა მაღალჩინოსნებმა დაგეგმეს ტერაქტი?**

– ჯერ ერთი, ეს ავტობუსები ყოველდღე მიდი-მოდიოდა და აფხაზები თავს არასოდეს დასხმიან. ისინი იმ პერიოდში გალის მოსახლეობის გადასვლა-გადმოსვლას არ ზღუდავდნენ. თუ მაინცდამაინც ტერაქტის მოწყობა გადაწყვიტეს, უფრო მოხერხებული ადგილიდანაც შეიძლებოდა ამის გაკეთება, მსხვერპლი რომ ყოფილიყო. მათ არ გაუჭირდებოდათ უფრო მაღალკვალიფიციური ტერაქტის მოწყობა. ის ავტობუსები თუ აფხაზების ტერიტორიიდან მოდიოდა და თუ მაინც მათ ბრალდებოდათ, იქ ისე არ დაგეგმავდნენ ტერაქტს. აქ მთავარია ადგილი – მიტოვებული სპორტული მოედანი, სადაც არავინ აღარ დადის, იმ ადგილზე ადამიანის კვალი არ იყო და არც ავტობუსები მოძრაობდნენ. ის ავტობუსები, რომლებსაც თავიანთი მარშრუტი ჰქონდათ და აფხაზეთიდან ზუგდიდის რაიონში ხალხი გადაჰყავდა, სპეციალურად მიიყვანეს ასაფეთქებლად ისეთ უსაფრთხო ადგილზე (ქართულ ტერიტორიაზე), სადაც არავინ მოძრაობს. აფეთქებას მსხვერპლი არ მოჰყოლია, კამერა დააყენეს, გაასწორეს (ეს არის ასახული ჩემს ფილმში) და გადაიღეს. ომის უამრავი კადრი ვრცელდება და გინახავთ სადმე, ოპერატორი შტატივს ასწორებდეს და ამის შემდეგ იწყებოდეს საბრძოლო მოქმედებები?

**– ერთხანს ვანო მერაბიშვილთან მუშაობდით...**

– მე ვანოსთან კი არა, უშიშროების სამინისტროში ვმუშაობდი. მიკვირს, მის წინააღმდეგ უფრო მეტი და დამაჯერებელი ბრალდება რომ არა აქვთ. ვერ ვიტყვი, პროკურატურის ბრალდებები რამდენად დასაბუთებულია. როცა სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, მაშინ არის დევნა პოლიტიკური. არის კიდევ ასეთი ცნება – პოლიტიკური ინტერესებით სამართლებრივი დევნა. როცა დანაშაული პოლიტიკური მოტივით არის ჩადენილი, ასეთი ადამიანიც მიიჩნევა პოლიტიკურ ბრალდებულად, ოღონდ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სასჯელის დაკისრების ნაწილი უსამართლოა. ვანო სწორედაც რომ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებდა და ამ თვალსაზრისით იგი შეიძლება იყოს პოლიტიკური ხასიათის პატიმარი. მას ჩვეულებრივი კრიმინალი, ჯიბის ქურდობა ხომ არ ჩაუდენია?

**– ხელისუფლება, რომლის მიზეზითაც შვეიცარიაში აღმოჩნდით, წავიდა. როდის აპირებთ სამშობლოში დაბრუნებას?**

– უმიზეზოდ არაფერი ხდება, ყველაფერს თავისი ახსნა აქვს... დავბრუნდები.

**ესაუბრა ნ. ფიცხელაური**

# ბეთჰოვენმა IX სიმფონია ერეკლე მეორეს მიუძღვნა?

ქართველ ბაგრატოვანთა დინასტიის **"უკანასკნელი მოჰიკანის"** – ერეკლე მეფის დიდება შორს გასცდა საქართველოს ფარგლებს. პრუსიის უძლეველ მეფეს, მთელ ევროპაში სახელგანთქმულ მოღვაწესა და მხედართმთავარს, ფრიდრიხ დიდს უთქვამს: **"დღეს ქვეყანაზე ახლა ორი დიდი სარდალია. დასავლეთში მე, აღმოსავლეთში კი ერეკლე მეფეო"**.

ცნობილია ისიც, რომ თანამედროვეები პატარა კახს ალექსანდრე მაკედონელსაც კი ადარებდნენ...

საქართველოში მოღვაწე ფრანცისკელმა ბერმა, ბონიფაციუს ებერჰარდტმა წერილებით დაწვრილებით გააცნო თავის მეგობარს, დიდ გერმანელ კომპოზიტორს, ლუდვიგ ვან ბეთჰოვენს საქართველო და მისი გმირი მეფე: **"ძმაო ლუდვიგ, რომ იცოდე, რა უდრეკი ხალხია ქართველები და როგორ ვაჟკაცურად იტანენ ტანჯვას, რომელიც უფალმა მუსულმანური სამეზობლოს ბატონობის სახით მუდმივ ხიფათად მოუვლინა მათ. ქართველების ქვეყანა ოდესღაც ყვაოდა. მეფენი მისნი იყვნენ ბრძენნი და ძლევამოსილნი. უკანასკნელი მათგანი იყო დიდი კახი – ერეკლე II.**

**...ძალზე გამახარა იმ ამბავმა, რომ ირაკლიზე, რომელსაც ჩვენმა მეგობარმა მათიამ "აღმოსავლეთის ნაპოლეონი" უწოდა, სიმფონიის შექმნა გქონია განზრახული და კიდევაც შედგომიხარ ნაწარმოებზე მუშაობას."**

ლუდვიგ ვან ბეთჰოვენს თავისი მეცხრე სიმფონიისთვის მართლაც მიუწერია შემდეგი სიტყვები: **"ეძღვნება აღმოსავლეთის ნაპოლეონს."**

ეს ფრაზა იმდროინდელ ევროპაში ბევრისთვის გაუგებარი გამხდარა და ამიტომ სიტყვა **"აღმოსავლეთი"** გადაუხაზავთ, დაუტოვებიათ მხოლოდ **"ეძღვნება ნაპოლეონს"**.

ამას დიდი კომპოზიტორი იმდენად აღუშფოთებია, რომ ეს მიძღვნა საერთოდ გაუუქმებია და სიმპონიისთვის **"გოლიათური"** (ახლა რომ **"დიდების ოდა"**-ს უწოდებენ) დაურქმევია.

რატომაც არა – **"დიდი კახად"** წოდებული მეფე დიდი კომპოზიტორის ცნობიერებაში სწორედ რომ **"გოლიათურს"** უნდა გატოლებოდა.

დაუმარცხებელ მხედართმთავარს, ერეკლეს, კავკასიაში **"ქართველ ლომს"** უწოდებდნენ – მისადმი პატივისცემით იყვნენ გამსჭვალული როგორც კავკასიელი, ისე ახლო აღმოსავლეთის ხალხები. ამიტომაც ჟღერს დამაჯერებლად ის ვერსია, რომ ბეთჰოვენმა თავისი უკვდავი ნაწარმოები სწორედ საქართველოს სწორუპოვარ მეფეს მიუძღვნა!



# სამეზობლოს ღირსეული შვილები

## ცხოვრება გვანჯი ჩიქოვანისა

მართლაც უზარმაზარმა, ტრაგედიებითა და მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენებით, სისხლის ტბებითა და უდიდესი ძვრებით აღსავსე ეპოქამ გაიარა **„მას შემდეგ“.** ჭეშმარიტად **„უმძაფრესი წლების“** მოწმენი გავხდით; რამდენი რამე მოხდა განვლილ დროში, რა აღნუსხავს, ვისი თვალი და გული გასწვდება ყოველივეს...

ამჟამად სულ სხვა რამეზე ვწუხვარ – ხანდახან მამაჩემი ყვებოდა ციხის ამბებს, სხვათა თუ საკუთარ თავს გადამხდარს. იმ მონათხრობიდან ზოგი მახსოვს, უფრო მეტი დამავიწყდა. ვნანობ, რომ მაშინვე არ ჩავინიშნე, რასაც ამბობდა. ერთხელაც რომ მეხსენებინა გვანჯი ჩიქოვანი, უმალ გაახსენდებოდა კოლონიაში მასთან მეგობრული ურთიერთობა და ეჭვი არ მეპარება, მამაჩემი ბევრ ისეთ რამეს მეტყოდა ამ დიდებულ პიროვნებაზე, რაც, მიზეზთა გამო, რვეულებს მიღმა დარჩა.

მოგონებების ჩაწერისას გვანჯი ჩიქოვანი, როგორც თავად ამბობს, მეშვიდე ათეულშია გადამდგარი. ეს ასაკი ხელს არ უშლის, რისი მომსწრე და მხილველიც იყო, ზუსტად გაიხსენოს, წელი, ზოგჯერ თვე და რიცხვიც კი დაასახელოს მომხდარისა, მაგრამ, ბუნებრივია, ამ შეკუმშულად მოთხრობილში ყველაფერს ვერ მოყვებოდა; ზოგი რამ განზრახ არ გაამხილა, შეგნებული დუმილი ამჯობინა, ზოგი შემთხვევა კი, დროთა განმავლობაში, ალბათ დავიწყების ბურუსმა დაფარა.

წარსულის გაცოცხლებას როდესაც ლამობ, კაცმა არ იცის, ამ დროს რა გაკრთება გონებაში. შესაძლოა, ამის გამოც წერს ანა ახმატოვა ერთ თავის დღიურში: **„ადამიანის მეხსიერება ისეა მოწყობილი, რომ იგი, პროჟექტორის მსგავსად, ანათებს ცალკეულ მომენტებს, ირგვლივ კი გაუჭრელ წყვდიადს ტოვებს“.**

ამდენად, არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ გვანჯი ჩიქოვანმა ბევრი რამ ვერ ან არ გაიხსენა. ჩვენ შევეცდებით, ალაგ-ალაგ, დამატებითი მასალები და ცნობები მოვიხმოთ და ნაკლული ადგილები შეძლებისდაგვარად შევავსოთ, ზოგიერთ შემთხვევაში ძირითად ტექსტს კომენტარები აქვე დავურთოთ, რათა მკრთალი მონახაზი უფრო გამოიკვეთოს და ეპოქის სურათი რამდენადმე სრული გახდეს.

* * *

მეტად სასიამოვნო და ერთგვარ სიმბოლურ ფაქტადაც უნდა მივიჩნიოთ, რომ შარშანვე, ქუთაისში (გამომცემლობა **„ავტოგრაფი“**) გამოვიდა ვლადიმერ ჭანტურიას (იგი გვანჯი ჩიქოვანის შვილიშვილის, ფლორა კეშელავას მეუღლეა) მცირე მოცულობის, მაგრამ არაერთი მნიშვნელოვანი, უცნობი მასალის შემცველი წიგნი **„გვანჯი ჩიქოვანი“.** იგი მოგვაწოდა მწერალმა და ლიტერატურათმცოდნემ სოსო სიგუამ, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებ.

ვლადიმერ ჭანტურიას წიგნში ზოგიერთი უნებლიე უზუსტობაა გაპარული, მაგრამ ეს ნაშრომი, უმეტეს შემთხვევაში, მეტად საყურადღებო ეპიზოდებით ავსებს თვით გვანჯი ჩიქოვანის მოგონებებს, რაზედაც გზადაგზა ვიტყვით. ამ მცირე მონოგრაფიის ღირსება ისიცაა, რომ მასში საკმაოდ არის წარმოდგენილი იშვიათი ფოტოები და გვანჯი ჩიქოვანის მეგრულად დაწერილი ლექსები. აქვეა გვანჯისადმი მიძღვნილი პოემა (იგი სიმონა დოლიძესა და სისონა დარჩიაზე შექმნილ სიმღერა-ბალადებს გვაგონებს), ცნობილ სახალხო მთქმელს დავით ჭითანავას რომ ეკუთვნის. ყოველივე მარჯვედ, ოსტატურად გადმოუქართულებია გოგი შონიას, დავით ჭითანავას პოემაზეც მას დაურთავს შაირითვე გამართული მშვენიერი, მძაფრი ეპილოგი.

მართლაც **„ლეგენდად მოარული“,** ჭეშმარიტად დიდი კაცის მნახველნი და მომსწრენი დღესაც ამბობენ, რომ გვანჯის სიტყვას თავის კუთხეში, სამეგრელოსა და აფხაზეთში, ოქროს ფასი ჰქონდა, მრავლად შეურიგებია მოსისხლენი, მრავალი ადამიანისთვის უშველია და სასიკვდილო საფრთხისგან უხსნია. შუამავლობა, ერთმანეთზე გადაკიდებულ მოშუღართა შერიგება სულაც არ გახლავთ უბრალო რამ. **„ენეადების“** ავტორი, ანტიკური სამყაროს გენიალური მოაზროვნე, ფილოსოფოსი პლოტინე, თანამედროვეთა შორის ამითაც იყო სახელგანთქმული. გვანჯი ჩიქოვანი თვით მტრების მიმართაც ისე იქცეოდა, რომ ერთბაშად ანიარაღებდა ყველას, ვის გულშიც ბოროტება ან შურისძიების გრძნობა იყო დაბუდებული. ამ მხრივ იგი ჭაბუა ამირეჯიბის უბრწყინვალესი რომანის მთავარ გმირს დათა თუთაშხიას მოგვაგონებს. გვანჯი ჩიქოვანის ამ უნიკალურ, შესაშურ თვისებას სახალხო მთქმელი ქებით იხსენიებს:

**უკადრებელს არ იკადრებს, იცის თავის დაფასება,**
**ყველგან მორიგ-მოთავეა, ჭირია თუ დაბადება,**
**საქმე მეტად დახლართული, თუკი ძნელად გადაწყდება,**
**ერთს იტყვის და მოათავებს, არ სჩვევია გადადება.**

პოემის პირველსავე სტროფში მთქმელს მარჯვედ მოუხაზავს გვანჯი ჩიქოვანის შთამბეჭდავი გარეგნული პორტრეტი და მისი რაინდული, კეთილშობილური სულის სიდიადე:

**ძველი თავადიშვილია დიდი გვანჯი ჩიქოვანი,**
**მასზე ლექსი რომ დავწერო, თავი ვალდებულად ვცანი,**
**დაბადებით დაენათლა არამხუტუს სიგრძე-განი,**
**ჭკუა, გონება და სიბრძნე შესაფერი, შესაგვანი.**

გვანჯი ჩიქოვანის მოგონებებში ერთ-ერთი ცენტრალური და განმსაზღვრელია ის ეპიზოდი, როცა ნათესავის, კონსტანტინე დადიანის ოჯახში დამალული ბიძამისი (დედის ძმა), სამართლიანობით, ვაჟკაცობითა და თვალტანადობით განთქმული პიროვნება გიდ ემხვარი თავდამსხმელს, პოლიციელთა რაზმის მეთაურ გოგოლიშვილს (ვლადიმერ ჭანტურიას წიგნიდან ირკვევა, რომ მას ტიტიკო რქმევია, თუმცა ზოგიერთ ცნობაში ურიადნიკი გოგოლიშვილი კოწიადაც არის მოხსენიებული) მოკლავს და თვითონაც მისი ნასროლი ტყვიით კვდება. ამ დროს გიდ ემხვარს ბაღში, წაბლის ხის ძირას ეძინა, იქ დაადგნენ თავზე და ესროლეს. სასიკვდილოდ დაჭრილი გიდ ემხვარი ურიადნიკ ბერიძესაც გაიყოლებს და ასე ახდება მისი გრძნეული სიზმარი, დაღუპვამდე დისწულს რომ მოუყვა. გვანჯი უშუალო მხილველი და მთხრობელია ამ ამბისა და მისი ნათქვამი (როგორც ეტყობა, არსებობს სხვა ვერსიაც) უფრო სარწმუნო და დამაჯერებელია. გვანჯი ჩიქოვანი ხშირად ზეპირად წარმოსთქვამდა თურმე ამ თავდაუზოგავი შეტაკების ამსახველ ხალხურ ყაიდაზე ამოთქმულ ლექსს (**„ლომმა ვეფხვსა შეუტია...“**).

ვლადიმერ ჭანტურიას თავის წიგნში მოაქვს ერთი მეტად ძვირფასი ცნობა, რაც თვალნათლივ წარმოგვიდგენს გვანჯი ჩიქოვანის დიდებული ხასიათის ზემოთ ნახსენებ გამორჩეულ თვისებას, მის გასაოცარ უნარს — ერთმანეთთან შეერიგებინა და დაემოყვრებინა თვით მოსისხლე მტრებიც კი:

**„1923 თუ 1924 წელს გვანჯის ბათუმში სტუმრად ხლებია მისი ბიძაშვილი ჯანსულ ემხვარი (ბიძის სახელი ერქვა) რამდენიმე პირით. ბათუმელებს მათთვის კარგი პურ-მარილი გაუმართავთ. სუფრაზე შემთხვევით შემოუხედავს ერთ ლამაზ ახალგაზრდას. მოქეიფე ბათუმელებმა იცნეს იგი და სუფრასთან მიიპატიჟეს, შემოსულს სტუმრები გააცნეს. როცა მან ხელი ჩამოართვა ჯანსულს, ამ უკანასკნელმა წარმოთქვა საკუთარი გვარი — ემუხვარი, ამ გვარის გაგონებაზე შემოსულს უთქვამს: — დიდი ხნის წინათ შენმა სახლიკაცმა მოკლა მამაჩემი სოფელ ჭკადუაშშიო.**

**გვანჯი მაშინვე მიხვდა, რომ შემოსული ახალგაზრდა სწორედ გიდი ემუხვარის მოკლული გოგოლიშვილის შვილი იყო. თავისი არისტოკრატიული მანერებით, დინჯი, დარბაისლური საუბრით მეტად მოხიბლა ეს ახალგაზრდა კაცი, შემდეგ კი დაწვრილებით მოუთხრო იმის შესახებ, თუ რა მოხდა გიდი ემუხვარსა და გოგოლიშვილს შორის. ერთი პოლიციელი იყო, მეორე — აბრაგი. ისინი პირისპირ შეეყარნენ ერთმანეთს, სახელი არ შეურცხვენიათ და ვაჟკაცურად შეაკვდნენ ერთმანეთსო.**

**— თქვენ მათი შვილები ხართ, როგორ მოიქცევით თქვენ? — შეეკითხა გვანჯი გოგოლიშვილს.**

**გვანჯისა და სუფრის წევრთა საქციელით მოხიბლულმა სტუმარმა დაუფიქრებლად უპასუხა: — ჩვენ ძმები ვიყოთო.**

**მათ გადაკოცნეს ერთმანეთი, ხოლო სუფრის წევრებმა ფეხზე ადგომით დალიეს მათი დაძმობილების სადღეგრძელო“.**

გვანჯი ჩიქოვანის მემუარების პირველივე ეპიზოდების კითხვისას ჩემს წარმოსახვაში უნებურად ცოცხლდებოდა ჭაბუა ამირეჯიბის ხსენებული რომანის **„დათა თუთაშხიას“** სამყარო (აბრაგისა და ჟანდარმების დაპირისპირება, სისხლიანი შეტაკებები, დაპატიმრება, ციხე, პატიმრების გაქცევა, სუფრებზე ქართული დროსტარებანი, რევოლვერის მიზანში სროლა და მისთანანი), თითქმის იგივეა მოქმედების ძირითადი ადგილი და ეპოქაც ემთხვევა, ბევრ შემთხვევაში ტიპაჟიც მსგავსია და ეს იმაზე მეტყველებს, რაოდენ ღრმად შეუსწავლია რომანის ავტორს ჩვენი ქვეყნის შედარებით ახლო ისტორიული წარსული, სამეგრელოს ყოფა.

ვლადიმერ ჭანტურიას წიგნიდანვე ვიგებთ, რომ რევოლუციის მოხდენისა და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოძახებული გვანჯი ჩიქოვანი, როგორც გამოცდილი ოფიცერი, ჯერ ცხინვალში გაუგზავნიათ, ხოლო მერე აჭარაში მიუვლენიათ მილიციის კომისრად. ამ თანამდებობაზე ყოფნისას დიდი სიმამაცე გამოუჩენია, თავზეხელაღებულ ავაზაკებს ებრძოდა. ბოლშევიკების შემოსვლას აჭარაში დახვედრია და ერთხანს (1924 წლამდე) იქვე გაუგრძელებია მუშაობა.

გარკვეული მოსაზრების გამო, თავისი ცხოვრების ამ პერიოდზე მრავალჯერ რეპრესირებული გვანჯი ჩიქოვანი არაფერს ამბობს. ცხადია, გვანჯისთანა გამორჩეული და ავტორიტეტული პიროვნება უსასტიკესი კომუნისტური რეჟიმის დროს მიზანში ეყოლებოდათ ამოღებული და ჟამიდან ჟამამდე არ მოასვენებდნენ.

1924 წლის გამოსვლების დროს, როცა მთელმა საქართველომ საშინელი რბევა, განადგურება და დახვრეტები განიცადა, სხვა ღირსეულ პიროვნებებთან ერთად გვანჯი ჩიქოვანიც დაუპატიმრებიათ, ექვსი თვე სოფელ ლიის ციხეში ჰყოლიათ გამომწყვდეული, ვერავითარი დანაშაული ვერ უპოვეს და იძულებული შეიქნენ გაეთავისუფლებინათ. არაერთი უსიამოვნება დაატეხეს თავს მის ოჯახს, შვილებს. რა გასაკვირია, 1937 წელსაც რომ დაიჭირეს, მაგრამ დაღუპვას მაშინაც გადარჩა. ვინც იცნობდა, თურმე ყველა ერთხმად ამბობდა — გვანჯის ბრალი არაფერში არ მიუძღვის, მას გარეგნობა, ფიზიკური აღნაგობა ღუპავსო. აღნაგობა კი მართლაც გოლიათური ჰქონდა.

ომის დაწყების დროს გვანჯი ჩიქოვანს ახალი პროვოკაცია მოუწყვეს. სინდისგარეცხილმა ადამიანებმა (სამმა ცრუმოწმემ) ალალ-მართალი კაცი დაასმინეს, ფაშისტური გერმანიის გამარჯვებაზე ოცნებობსო, და მალე სასამართლოც მოუწყვეს. ზუგდიდის მაშინდელი უშიშროების უფროსი, ვიღაც არაკაცი, თურმე ტრაბახობდა და ზეიმობდა ასეთი გამოჩინებული პიროვნების **„გაუვნებელყოფას“.**

ვლადიმერ ჭანტურიას ძალზე მკაფიოდ, სურათოვნად აქვს გადმოცემული ეს ეპიზოდი, რომელსაც სიცხადე შეაქვს გვანჯი ჩიქოვანის მოგონებებში, ნათელს ფენს მისი დაპატიმრების გარემოებას, რაზედაც თვითონ მხოლოდ ზოგადად მიგვანიშნებს. შეუძლებელია, ეს გულისშემძვრელი ამბავი წაიკითხო და ტანში ჟრუანტელმა არ დაგიაროს. აი, რა ხდება ამ სამარცხვინო, უნიჭოდ დადგმულ **„სასამართლო“** ფარსზე:

**„ვინ იყო სიმართლის გამგონე, გამზიარებელი. გვანჯის არც მოუსმინეს, სასამართლომ მას რვა წელი მიუსაჯა. მოსამართლემ განაჩენის წაკითხვის შემდეგ გვანჯის მიმართა:**

**– უკანასკნელი თხოვნა ხომ არა გაქვთ რამე?**

**– მე ვიცი, განწირული ვარ, სათხოვარიც მაქვს, მაგრამ რად მინდა ვთქვა, სულ ერთია, თქვენ მას არ ამისრულებთო, — უპასუხა გვანჯიმ.**

**— თქვენს თხოვნას მოვისმენთ და შევეცდებით, შეგისრულოთო, – უპასუხეს „სიმართლის დამცველებმა“.**

**– მე ისეთი რამე უნდა გთხოვოთ, რომელსაც თქვენ ვერ ამისრულებთ, რადგან ასეთი რამ კანონში არ გიწერიათო.**

**– თქვით მაინც! – უთხრეს მას.**

**როცა სასამართლო დარბაზი დაწყნარდა, გვანჯიმ დაიწყო დინჯად:**

**– მე მინდა გთხოვოთ, რომ ნახევარი საათით გამიშვათ სახლში, გეფიცებით სინდისსა და პატიოსნებას, ნახევარი საათის შემდეგ დავბრუნდები და ჩაგბარდებითო.**

**– კი, მაგრამ რა მიზნით, რა უნდა ჰქნათ ამ ნახევარ საათში? – ჰკითხეს მას.**

**– აგერ, ეს კაცი, თითი მიუშვირა მან ერთ-ერთ ცრუ მოწმეს, მასწავლებელია იგი ჩემი შვილებისა და ბევრი სხვისი შვილის აღმზრდელია, მაგრამ ასეთი სულმდაბალი კაცი ვერ შესძლებს ღირსეული ადამიანების აღზრდას, მათ ჩაუნერგავს უწმინდურ სულს, ისეთს, როგორიც თვითონ აქვს. იგი დაამახინჯებს მათ, აღზრდის არაკაცებს, სხვის შვილებს ჯვარი სწერია, მე კი სახლში იმიტომ მინდა წასვლა, რომ ბოლო მოვუღო ჩემს შვილებს, ამის აღსაზრდელებს, რომ მომავალ საქართველოს ჭირი მოვაკლო და საზრუნავი შევუმციროო.**

**ხალხი ფეხზე ადგა, ყვიროდნენ: „გაანთავისუფლეთ მართალი კაცი“, მაგრამ ვინ იყო შემსმენი. მას ბორკილები გაუყარეს და საპყრობილეში გაგზავნეს“.**

დაპატიმრებულ გვანჯი ჩიქოვანს წერილი გაუგზავნია სტალინისთვის, ფოტოც დაურთავს, შეუხსენებია, რომ ქუთაისის ციხეში ისინი ერთად ისხდნენ ახალგაზრდობისას. სარწმუნო ცნობად აცხადებენ, თითქოს სტალინს მომართვა გამოეგზავნოს საქართველოს მაშინდელი პროკურორის ვ. შონიას სახელზე, მაგრამ ამას პატიმრის ბედზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია.

გვანჯი ჩიქოვანის სულის სიღრმეზე, ჭეშმარიტად ქრისტიანულ ბუნებაზე მეტყველებს ის კეთილშობილური საქციელიც, რომ საპატიმროდან გამოსვლისა და რეაბილიტაციის შემდეგ მან ყველაფერი მიუტევა სამივე „მოწმეს“, სამივენი მასზე ადრე დაიხოცნენ და ყველა მათგანის სატირალში მისულა, სამძიმარი უთქვამს. ამ საქციელითაც ენათესავება იგი ღვთაებრივი ძალმოსილების რაინდს დათა თუთაშხიას, ვინც სიგლახესა და ბოროტებას სიკეთით ჯაბნიდა.

გვანჯი ალექსის ძე ჩიქოვანი გადაიცვალა 1969 წლის 9 სექტემბერს და დასაფლავებულია მშობლიურ სოფელ ჭკადუაშში. თვითონ გვანჯი ჩიქოვანი თავისი დაბადების თარიღად 1881 წელს ასახელებს. ვლადიმერ ჭანტურიას წიგნის მიხედვით, დაბადებულა 1879 წლის 11 სექტემბერს (ოთხმოცდაათი წლის შესრულებას ორი დღე დაჰკლებია), იმავე სოფელში. განსხვავება ორ წელიწადშია, მაგრამ 1879 წელი უფრო სარწმუნო ჩანს. უნდა ვიფიქროთ, რომ მონოგრაფიის ავტორს საარქივო დოკუმენტები ექნება მოპოვებული და შესწავლილი.

**ემზარ კვიტაიშვილი**

*გარძელება შემდეგ ნომერში)*

# “ანისტორესია” – ისტორიის არცოდნა

ჩვენ შემოვსაზღვრეთ ტერიტორიები, რომლებიც შედიოდნენ სამეგრელოს (აბხაზეთის) სამეფოს შემადგენლობაში მისი არსებობის სხვადასხვა პერიოდებში. თავად სამეგრელო (I საუკუნიდან) მოიცავს ტერიტორიას დასავლეთით შემოსაზღვრულს სოხუმიდან გონიომდე და აღმოსავლეთით ლიხის ქედი.

ცნობილ ნაშრომში **“ეგრისის სამეფოს ისტორია”** ნიკო ლომოური ამბობს: **“შავი ზღვის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომების შესახებ ცნობები მოგვეპოვება ძვ. წ.აღ. VI საუკუნიდან. ძვ. წ.აღ. VI-I საუკუნეების მონაცემთა ანალიზი ცხადჰყოფს, რომ სანაპიროს გასწვრივ მდებარეობს კოლხეთის სახელმწიფო, რომლის ტერიტორია დაახლოებით სოხუმ-ბიჭვინთის სექტორიდან ჭოროხის შესართავის რაიონამდე ვრცელდებოდა. ამ მონაკვეთზე ძველი წყაროები (ჰეროდოტე, ფსევდო-სკილაქო კარიანდელი, სტრაბონი) მხოლოდ ერთ ტომს კოლხებს და მათ ადგილსამყოფელს კოლხიდას ასახელებენ”.**

მე-XVII საუკუნეშიც გონიო ტრადიციულად სამეგრელოს სამხრეთ საზღვრად ითვლებოდა. ევლია ჩელებიც სამეგრელოს სამხრეთ საზღვრად გონიოს ასახელებს: **“ლაზები მდინარე ჭოროხით სამეგრელომდე აღწევენ, რადგანაც გონიო სამეგრელოს მისადგომზეა”**. მოგზაურს გონიოდან 100 მილის დაშორებით მდებარე სამეგრელოს ხუთი ნავსადგური გემით ერთ დღე-ღამეში გაუვლია და ისე მიუღწევია მდინარე რიონამდე. ამდენად, ევლიას გურიის მიწაზე ფეხი არ დაუდგამს... სამეგრელოს ფარგლებში გურიის მოთავსება წყაროთმცოდნეობაში ახსნილია, ერთის მხრივ, იმ ტრადიციით, რომლითაც მთელი დასავლეთ საქართველო იწოდებოდა ეგრისად. მეორე მხრივ, იმ ფაქტით, რომ **“სამეგრელოს ფართო მნიშვნელობა XVII საუკუნეში რეალობად რჩებოდა”.**

ჩვენს მიერ მოძიებული მასალების შეჯერებით შეგვიძლია განვაცხადოთ: აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაა შემოსაზღვრული ჩრდილოეთით დიოსკურია-სებასტოპოლის (სოხუმი), სამხრეთით აფსაროსი (გონიო) და აღმოსავლეთით ლიხის ქედი, იყო და არის ისტორიული სამეგრელო ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნიდან დღემდე. გეოგრაფიულად ისტორიული სამეგრელო მოიცავს მდინარე ჭოროხის შუა და ქვემო წელს – კოდორის ქვემო წელს. სამეგრელო იყოფა შემდეგ ისტორიულ მხარეებად: ოდიში (მოიცავს ასევე ისტორიულ აფშილეთს), საჭყონდიდო (სენაკი, მარტვილი, აბაშა), ლეჩხუმი, რაჭა, მოხირისი (ქვემო იმერეთი), მარგველივი (ზემო იმერეთი), გურია, აჭარა, კლარჯეთი, ტაო.

სამეგრელოს ტერიტორიის ჩვენს მიერ შემოსაზღვრულ სივრცეს დროის სხვადასხვა მონაკვეთებში ეწოდებოდა: კოლხეთი, ზინარეთი, ლაზიკა, სამეგრელო, აბხაზეთი, იმერეთი...

გამომდინარე აგათია სქოლასტიკოსის ლაზთა ცნობილი დახასიათებიდან და სხვა ისტორიულ წყაროთა მონაცემებით, სამეგრელოს მეზობლებს შორის ყველაზე ვრცელი ტერიტორია ეპყრა და შესაბამისად ყველაზე მრავალრიცხოვანი ტომიც გახლდათ. დღესაც საქართველოს მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას მეგრული ან მეგრულთან დაკავშირებული გვარების მატარებელნი შეადგენენ. განსხვავება ამათ შორის ის არის, რომ უმცირესმა ნაწილმა არ იცის თავისი გვაროვნების წარმომავლობა, ხოლო უმრავლესობას ამაზე წარმოდგენაც არა აქვს და ჩვენ შევეცადოთ, ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში, ნათელი მოვფინოთ ანისტორესიის ასეთი ფორმით გამოვლინებას.

## კოლხური გვარები

დღევანდელ საქართველოში, ბოლო აღწერის მონაცემებით, ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარია – კაპანაძე. კაპანაძეთა უმრავლესობამ არ იცის, რომ მათი გვარი მეგრული წიაღიდან წარმოსდგება. **“კაპანუა”** მეგრულად ნიშნავს დატვირთვას და, ასევე, სენაკის რაიონში არის სოფელი კაპანა.

არ იციან ანდღულაძეთა უმრავლესობამ, რომ **“ანდღულაფა”** მეგრულად ნიშნავს მოდუღებას, ადუღებას; ჭიჭინაძე (**“ჭიჭინაფა”** – გულზე მოსვლა); დვალი, დვალიშვილი (დვალა – დევს); ფაჩუაშვილი (ფაჩუა – გაშლა); ლაფაჩი (ლაფაჩე – მეგრ. უიარაღოდ, ცუდად ჩაცმული; თურქულად – ნელი, ზანტი, დოყლაპია); დოჭვირი (დოჭვირი – დამწვარი); უჯმაჯურიძე (უჯმაჯური – უკმაკური – უწმაწური – ი. ყიფშიძე, 322 გვ); ჯანუაშვილი (ჯანუ – წევს, რომ არ წარმოიდგინოთ აქ შემთხვევით თანხვედრასთან გვაქვს საქმე, მოგაწვდით, ჯირა – **წოლა**-სთან დაკავშირებით ნ. კვაშილავას სიტყვა **“მოაჯირის”** განმარტებას: მოაჯირი, მაანჯირი (მოაწექი) ე.ი. მოაჯირი არის ის, რასაც შეიძლება მიაწვე, ანუ **“მოაჯირშის”** ფუძეა მეგრული **“ჯირა”**).

ზმნით გვარის გამოსახვა ჩვეულია მეგრულისათვის. მაგ. ჭკადუა – ჭედვა; ლოლუა – გარეკვა (აქედანაა შემდგომ ქართული **გა-ლალა**); ჩოჩუა – ცოცვა, ჩოჩვა, ჩიჩუა – დაცეხვა და სხვა. ზმნებით გვარის გამოსახვა არ ახასიათებთ საქართველოს დანარჩენ მხარეებს და ამდენად ზმნიდან წარმომდგარი ქართული გვარები მეგრულ ტრადიციად უნდა მივიჩნიოთ. მაგალითად: გვარი **“გაჩეჩილაძე”**. იგი მსგავსია გვარისა **“გოცირი-ძე – გაცერი-ძე”** და თავად ქართული სიტყვა **“გაჩეჩილი”** წარმომდგარია მეგრული **“გოჩეჩირი”**-დან, ისევე, როგორც მეგრული **“გოცირი”**-დან. ჩვენი მსჯელობის სიმართლე უკეთ გაცხადდება ქართული და მეგრული ენების ურთიერთობათა ბუნების შეცნობის შემდგომ.

მეგრული გვარები მხოლოდ ზმნებით არ იქმნებოდა: ლაშხი (ლაშ – მზე), ღვალაძე (ღვალა – სამფლობელო), ჯინჭარაძე, ჯაში, ჯაშიაშვილი (ჯა – ხე), ბურჭულაძე (ბურჭული – წალდი), ჯინჯიხაძე, ჯინჯიხაშვილი (ჯინჯი – ძირი, ე.ი. გვარის ფუძე მეგრ.), ჭუმბურიძე (ჭუბური – წაბლი), მაქაცარია (ქაცარი – ციკანი), ოჩიაური (ოჩი – თხა), ვაჩნაძე (ვაჩი – ვაცი), **“ვაჩ”** ასევე სპარსულ ღვთაებათა პანთეონის შემადგენელია, მაგრამ **“ვაჩნა”** – ეს კოლხური ფორმაა), ქვარიანი (ქვარა – მუცელი, ე.ი. მუცლიანი), ჩხარტიშვილი (ჩხარტი – ჩხართვი, ჩიქვინიძე (ჩიქვი – ჩხიკვი, ჩიქვი, ასევე ს.ს. ორბელიანის მიხედვით ნიშნავს თევზს, მაგრამ გვარის ფორმა ჩიქვინი უდავოდ მეგრულია), ჯაჯანიძე (ჯაჯა – ძერა), მარაქველიძე (მარქვალი – კვერცხი), ხოჯაძე (ხოჯი – ხარი), თოფურიძე (თოფური – თაფლი)...

ი. ყიფშიძის მოღვაწეობის პერიოდში მეგრულ გვარებად ითვლებოდნენ შემდეგი გვარები: თოთიბაძე, დგებუაძე, თუთბერიძე, მაჯგანიძე, მიქაძე, მიქელაძე, სტურუა, რატია (რატიანი), ჯანაშია...

საკუთარი სახელებით გვარების წარმოქმნა ჩვეული მოვლენაა საქართველოში. უამრავი გვარია ჩვენში ბერძნული სახელებიდან ნაწარმოები. მოგაწვდით ნაწყვეტს ცმობილი მეცნიერის იაკობ ახუაშვილის მიერ მოძიებული მასალიდან:

**“ალექსი”** (მცველი) – ალექსაშვილი, ალექსიშვილი, ალექსიძე;

**“ამბროსი”** (ღვთაებრივი) – ამბროსიშვილი, ამბროსიძე, ამბრუაშვილი (ასევე – ამბროლაური – ?);

**“ალფეს”** (ცვლილება) – ალფენიძე;

**“ანანია”** (მადლი უფლისა) – ანანაშვილი, ანანეიშვილი, ანანიაშვილი, ანანიძე;

**“ბასილ”** (სამეფო, მეთაური) – ბასიაშვილი, ბასიკაშვილი, ბასილაია, ბასილაური, ბასილაშვილი, ბასილაძე, ბასილიშვილი, ბასოშვილი;

**“გიორგ”** (მიწათმოქმედი) – გიორგიძე, გიორგელა, გიორგატი, გიორგიტა, გიორგიშა, გიორგაია, გიორგანაშვილი, გიორგაშვილი...

მსგავსად, მრავალი ქართული გვარია წარმოქმნილი სამეგრელოში გავრცელებული საკუთარი სახელებიდან. მე-XVII საუკუნის მეორე ნახევრის ბიჭვინთის საეპისკოპოსოს საბეგრო გლეხების ნუსხიდან მოგაწვდით გვარ-სახელებს, რომლებიც წარმოადგენენ ფუძეებს ქართულ; გვარებში:

კიტია გავაშელ (გავაშელი), უჩაია ვარსიმეა (ვარსიმაშვილი), ჯუმბერია ნიკოლია (ნიკოლაიშვილი), ჯომნია თოთიხა (თოთიხაძე, თოლიოთქო გოგოლაა (გოგოლაძე), ამილღამბა-რ გავაშელ (ღამბაშიძე), ბულია მორდილი (აბულაძე), ჯაკობია გუგუტია (გუგუტიშვილი), ხახუტია გამკერვლია (ხახუტაშვილი, კერვალიშვილი), შანტია უჩა კოჩი (შატაიძე). გაიხსენეთ, ასევე, გვარები შარტავა, შატ-ბერი-შვილი.

საინტერესოა ამავე სიაში სიტყვა **“მამა”**-სთან დაკავშირებული მეგრული სახელები: მამისშური ცისტარია, მამისმამა გიგოლავა, დედისმამა გიგოლავა, მამიჸორდი მისერია. მეგრულენოვან გარემოში სიტყვა **“მამი”**-ს ასეთმა ინტენსიურმა გამოყენებამ უნდა მიგვახვედროს, რომ გვარები მი-ნა-შვილი, მამა-გეიშვილი, მამა-რდა-შვილი იგივე სამყაროს შემადგენელი ნაწილია. ვინაიდან გვარების დამთავრება **“შვილი”**-თ გვიან ჩნდება, უნდა ვივარაუდოთ, რომ სამივე ამ გვარის ფუძეები ადრე სახელებად გამოიყენებოდა და რომელთა არქიტექტურა უზადო კოლხურია – მამინა, მამაგეი, მამარდი.

**ჯუნი (ჯუმბერ) კაკულია**

*(გაგრძელება იქნება)*

# ირაკლი ყიფიანი: „სოჭის ოლიმპიადა – საქართველოს შანსი ფსიქოლოგიური ჩიხიდან გამოსვლისთვის“

ყველასათვის ნათელია, რომ ოლიმპიური თამაშები ითვლება თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებად, რომელიც ხელს უწყობს მეგობრობის გამტკიცებას, თანამშრომლობას, პროგრესს და მშვიდობას მთელს მსოფლიოში.

სამწუხაროდ, 2008 წლის აგვისტოდან, ე. ი. იმ მომენტიდან, როცა პეკინში გაიხსნა ზაფხულის ოლიმპიური თამაშები, ხოლო საქართველოში, ცხინვალის რეგიონში, დაიწყო საომარი მოქმედებები, ოლიმპიური თამაშები, როგორც ასეთი, აღძრავენ არა მარტო კარგ, არამედ ტრაგიკულ მოგონებებსაც. უზურპატორმა, ავანტიურისტმა და პროვოკატორმა მ. სააკაშვილმა პრეზიდენტად ყოფნისას განახორციელა აგრესიის აქტი ცხინვალის მოსახლეობის წინააღმდეგ, რისთვისაც მან სპეციალურად შეარჩია ოლიმპიადის გახსნის დღე. დაზარალდა როგორც ცხინვალის მშვიდობიანი მოსახლეობა და რუსეთის მშვიდობისმყოფელები, ისე საქართველოს მშვიდობიანი მოსახლეობა და საქართველოს სახელმწიფოებრიობა. საქართველოს მიადგა კოლოსალური ზიანი, რაც გამოიხატება შემდეგში:

– **„გრადებით“** ვერაგული იერიშის შედეგად მრავალრიცხოვანი მსხვერპლი ამ შვიდობიან მოსახლეობასა და სამშვიდობოებში (რაც სირცხვილია რაინდული სულის მქონე ქართველი ხალხისთვის);

– დაიკარგა შანსი ცხინვალის რეგიონში დროის განმავლობაში თითქმის მოშუშებული კონფლიქტის მოგვარებისა;

– დაიღუპნენ ქართველი სამხედრო მოსამსახურეები და მშვიდობიანი მოსახლეობა, რომლებიც გამოიყენეს საზარბაზნე ხორცად;

– უმძიმესი დარტყმა მიიღო ეკონომიკამ, გაძლიერდა საქართველოს დამოკიდებულება უცხოურ დახმარებაზე და კრედიტებზე;

– დაირღვა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა, გაუკეთეს რა პროვოცირება რუსეთს, ეღიარებინა სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დამოუკიდებლობა. ყოველივე ამის შედეგად ლიახვის ხეობის ქართულმა სოფლებმა შეწყვიტეს არსებობა.

აგვისტოს ომს ომის ნაცვლად შეგვიძლია ვუწოდოთ რამდენიმესაათიანი სისხლიანი სასაკლაო ან დღეები, გარეძალების მიერ მართული პრეზიდენტ-უზურპატორის მახინჯი ამბიციების დასაკმაყოფილებლად.

2008 წლის შემდგომ გაიარა ხუთმა წელიწადმა, რომელთაგან ბოლო ორ წელიწადს თავისუფლად შეიძლება, დაერქვას მკვეთრი ცვლილებების წელიწადი, რაც გამოიხატება იმაში, რომ შეიცვალა პოლიტიკური რეალობა, ხალხი საბოლაოდ დარწმუნდა 2008 წლის აგვისტოს მოვლენებში რეჟიმის დანაშაულში. შემდეგ პოლიტიკურ არენაზე გამოჩნდა ბ. ივანიშვილი, ჩატარდა არჩევნები, რომლის შედეგადაც მმართველი პარტია, პრემიერი, მინისტრთა კაბინეტი და ბოლოს პრეზიდენტიც გადარჩეულ იქნენ. მიუხედავად ამ წარმატებებისა, ქართული საზოგადოება გამოხატავს მტკიცე სურვილს, სამართლიანობის სახელით მოხდეს სააკაშვილის და მისი გუნდის გასამართლება, მოხდება ეს ჰააგის ტრიბუნალით თუ საკუთრივ საქართველოში. ერთ-ერთი მთავარი მოტივი ხალხის ასეთი სურვილისა არის სწორედ 2008 წლის აგვისტოში სისხლიანი სასაკლაოს მოწყობა. რაც შეეხება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ხელოვნურად ჩიხში შეყვანას, ერთ-ერთი ძირითადი დაპირება მმართველი კოალიცია **„ქართული ოცნებისა“** იყო ამ ურთიერთობების დარეგულირება – ასევე საზოგადოების სურვილიდან გამომდინარე. ხალხმა გაიგო, რომ 2008 წლის ავანტიურის მიზანი იყო საბოლოოდ გაწყვეტილიყო ისედაც გაფუჭებული ურთიერთობები საქართველოს და რუსეთს შორის.

პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის სიტყვებით, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების მოგვარება უნდა დაიწყოს რიტორიკის სწორი შერჩევით, ხოლო მიდგომა კი პრაგმატული უნდა იყოს, რაც, ვფიქრობ, ნაწილობრივ გამოუვიდა კიდეც ახალ მთავრობას, რისი ნათელი მაგალითიც არის რეინტეგრაციის საკითხებში მინისტრის პაატა ზაქარეიშვილის განცხადება, როდესაც მან სოჭის ოლიმპიადაში ქართული მხარის მონაწილეობას პრაგმატული ნაბიჯი უწოდა. პრემიერმა ივანიშვილმა კი დასვა კითხვა, თუ რას მოიგებს ქართული მხარე ბოიკოტის შემთხვევაში და ხომ არ აღმოვჩნდებით იზოლაციაში. როგორც ჩვენთან ხშირად ხდება, საღ აზრს გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეები არა სამთავრობო ორგანიზაციების სახით, რომლებიც ფინანსდებიან დასავლური გრანტებით და ასევე, რასაკვირველია, ყოფილი მმართველი პარტია **„ნაციონალური მოძრაობის“** სახით. აი ამ სპექტრიდან წამოვიდა ზეწოლა ხელისუფლებაზე, მათ თითიდან გამოწოვილი არგუმენტებით დაჟინებით მოითხოვეს სოჭის ოლიმპიადისთვის ბოიკოტის გამოცხადება.

ასევე აღსანიშნავია ის ვნებათა ღელვა, რომელიც პრესაში და საზოგადოების გარკვეულ ნაწილში გამოიწვია სოჭის ოლიმპიადის მეჩირაღდნეთა რიგებში 2008 წლის აგვისტოს ომის გმირის, მფრინავი ივან ნეჩაევის დაფიქსირებამ. ამ შემთხვევაშიც საჭირო იყო პრაგმატული სახელმწიფოებრივი მიდგომა და არა ემოციურ-რადიკალური და წამგებიანი გადაწყვეტილების მიღება. ვფიქრობ, ამ გამოწვევასაც სწორად უპასუხა ქართულმა მხარემ, როდესაც ივან ნეჩაევის მეჩირაღდნეობა არ იქნა გაპროტესტებული. ორიოდე სიტყვით მინდა განვმარტო ნახსენები ფაქტი: ყველა ომს და ყველა მხარეს ჰყავს თავისი გმირი, და მფრინავი ნეჩაევი სრულებითაც არ არის საქართველოს მოსისხლე მტერი, ისევე როგორც ქართველი გმირები არ არიან რუსეთის მტრები. ისინი აღმოჩნდნენ ბარიკადების სხვადასხვა მხარეს (მადლობა ღმერთს, რომ მაინც მცირე ხნით) პროვოკატორი სააკაშვილის და მისი დასავლელი მფარველების მონდომებით. ამიტომ რუსეთს აქვს სრული უფლება, მისცეს ნეჩაევს ოლიმპიური ჩირაღდანი, ეს სრულებითაც არ არის ანტიქართული ქმედება, როგორც ამას ზოგიერთები მიიჩნევენ.

როდესაც საუბარია ოლიმპიურ თამაშებში ქართველი სპორტსმენების მონაწილეობა-არმონაწილეობაზე, არ შეიძლება, არ აღვნიშნოთ მონაწილეების სულის ძახილი და სურვილი, მოიპოვონ გამარჯვება. ქართველი სპორტსმენები, მიუხედავად შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული განცხადებების მათი მისამართით, მზად არიან, დაიცვან თავიანთი ქვეყნის ღირსება და მაქსიმალურად ღირსეულად გამოვიდნენ ოლიმპიადაზე. მონაწილეობა ოლიმპიადაში – ეს ხომ უზარმაზარი სიხარული და სტიმულია ნებისმიერი სპორტსმენისთვის. პოლიტიკური თვალსაზრისით კი საქართველოს ეძლევა შესაძლებლობა, გამოვიდეს ფსიქოლოგიური ჩიხიდან, რომელშიც ის მოაქცია სააკაშვილის რეჟიმმა. რეჟიმი ნერგავდა რუსეთის სახით მტრის ხატს. ძალაუნებურად, აგრესიულმა სახელმწიფო პროპაგანდამ ნაწილობრივ იმოქმედა საქართველოს მოქალაქეებზე და აი ახლა ჩვენ ყველანი ვრწმუნდებით იმაში, რომ რუსები სრულებითაც არ არიან აგრესიული ხალხი და იქ აფასებენ ხალხთა შორის მეგობრობას, განსაკუთრებით კი, ისტორიულად მასთან დაახლოებულ ქართველერთან. სოჭის ოლიმპიადა ყველაზე ხელსაყრელი მოვლენაა იმისთვის, რომ ჩვენ სამუდამოდ გავფანტოთ უსაფუძვლო შიში რუსეთის მიმართ და დავიწყოთ თამამად თანამშრომლობა მასთან, ჩვენი პრინციპებისა და ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით.

**ირაკლი ყიფიანი**
**ევრაზიის ინსტიტუტის**
**გამგეობის წევრი**

# გაზეთ "ილორის" რედაქციას!

მოგესალმებით ყველას და გისურვებთ ჯანრთელობასა და წარმატებებს საქმიანობაში. მე ერთი რიგითი სენაკელი კაცი გახლავართ – ვემსახურები ხელოვნებას, მუსიკას. ვარ სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"**, წევრი და მოძრაობის ოფისი, იმედია, მალე სენაკშიც დაიწყებს ფუნქციონირებას.

გაზეთ **"ილორის"** მუდმივი მკითხველი გახლავართ, ყოველი ახალი ნომრის გამოსვლას მოუთმენლად ველი, რადგან მასში განთავსებული ყველა მასალა დიდი ინტერესით იკითხება.

ცნობისათვის – საკუთარ თავზე გადავიტანე 26 მაისის რეპრესია და ამიტომაც დამიგროვდა უარყოფითი მუხტი **"ნაცმოძრაობის"** მიმართ. გადავწყვიტე გული მოვიფხანო და გიგზავნით იუმორესკას და კარიკატურას. შეიძლება მაღალპროფესიულ დონეზე არ იყოს შესრულებული, მაგრამ გულითაა შექმნილი და, იმედი მაქვს, თქვენი ხელდასხმით, გამომიქვეყნებთ.

ამასაც გეტყვით: კარგად გვახსოვს ნოქალაქევში სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** მიერ ჩატარებული ყრილობა, სადაც სიტყვით გამოვიდა ბატონი **ალექსანდრე ჭაჭია.** სასურველია, რომ სამეგრელო (და სრულიად საქართველოც) ხშირად ხვდებოდეს ამ უნიჭიერესი პოლიტიკოსის თვალსაწიერში.

წინასწარ ვუხდი მადლობას გაზეთის მთავარ რედაქტორს ბატონ **როლანდ ჯალაღანიას** და მთავარი საბჭოს წევრს ბატონ **ზაურ გახარიას,** ჩემი დიდი მეგობრის მურმან გახარიას ძმას.

პატივისცემით,

**ბიჭიკო თუნთია, სენაკი, სოფელი ხორში.**

# "ნაციონალური მოძრაობის" დაკრძალვა მეგრულად

მაღალო ღმერთო, ამ ქვეყნიდან უდროოდ აბარგება არავისთვის მისურვებია, არც რომელიმე **"ნაციონალს"** ვუსურვებ უდროოდ გარდაცვალებას, მაგრამ ვინც დამნაშავეა, ყველას საკადრისად უნდა მოეკითხოს!

საქართველოში მიცვალებულის გაპატიოსნება-დატირება-დაკრძალვის სხვადასხვა წესი არსებობს, თუმცა, სამეგრელოში მიცვალებულის განსაკუთრებულად გამორჩეული, შთამბეჭდავი და ღირსეული დატირება იციან. მართალია, აღმოსავლეთ საქართველოში ქელეხებში **"ხაშლამას"** მიირთმევენ, მაგრამ სამეგრელოში ეს ყოვლად მიუღებელია, მით უმეტეს მაშინ, როცა საქმე **"ნაც-ურჯულოების"** დაკრძალვას ეხება – წარმოუდგენელია, რომ ხორცს ვინმემ კბილი დააკაროს. ორმოც დღეს ვინ ჩივის – **"ნაცების"** ერთგულებმა შეიძლება წლობით ამოიღონ ხორცი საკუთარი რაციონიდან.

ჩვენდა სამწუხაროდ, **"მიხუინებს"** სამეგრელოში ჰყავდათ და დღესაც ჰყავთ მომხრეთა მთელი არმია. მაინც ვინ არიან ეს ფანები?

ესენი არიან ნაწილი დევნილებისა და იმ აბორიგენებისა, რომელთაც ნაცების წყალობით კარგად აიწყვეს ცხოვრება, ესენი არიან მიშას მიმართ სიმპატიით განწყობილი დედაკაცები, პრონაცური **"ენჯეოები"** და სხვა გადაგვარებულები... საინტერესოა, რითი დაიმსახურა მიხომ მეგრელთა ამ ნაწილის სიყვარული? იმიტომ ხომ არა, სანდრა რომ ჟღურტულებდა და მღეროდა მეგრულ ენაზე, რაშიც, თავისთავად, ცუდი არაფერია?! დავიმარტოხელე ერთი ასეთი მეგრელი კაცი და ვკითხე: ასეთი რა გაგიკეთა მიშამ, თავს რომ აკლავ-მეთქი?

იცით რა მიპასუხა: **"მიშა გვერშაპიე (გველეშაპიაო), ორმეტრიანი საჯიშე მამრია (არ გაგეცინოთ), და რაც მთავარია, ლამაზი ქალები უყვარსო".**

იმაზეც აწუწუნდა – როგორ შეიძლებოდა ვანოს დაპატიმრება, რადგან ყველა მის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდება გამოგონილიაო! 150-ლარიან პენსიას მიშაც დაგვინიშნავდაო და ა.შ.

მოკლედ, რას არ გაიგონებ კაცი სამეგრელოში! ამიტომ, ხომ წარმოგიდგენიათ მიშას და ნაცების როგორი მსუყე ქელეხი გაიმართება ჩვენთან?! ახლა კი ქელეხის სურათიც წინასწარ წარმოვიდგინოთ, რომელსაც ნაცების მთელი პოლიტიკური გუნდი და სხვა დიდ-პატარა **"მიხუინები"** ემსახურებიან!

შედიხარ ვრცელ მეგრულ ეზო-კარში, სადაც უამრავი **"ნაც-ურჯულო"** ირევა, ადიხარ სახლის მეორე სართულზე – აბა, ასეთ პატივცემულ გვამს პირველ სართულზე ვინ აკადრებს დასვენებას! სიმძიმისაგან იატაკი რომ არ ჩაიქცეს, სამძიმარზე მოსულებს რიგ-რიგობით უშვებენ შიგნით. მიცვალებული გამჭვირვალე კუბოში ასვენია, კუბოს გვირგვინების ნაცვლად ცოცხები ამშვენებენ...

ჰო, ცოცხმა გამახსენა. ქუჩაში მივდივარ, ვიღაც დიასახლისი ქალი, ცოცხით ხელში, ჭიშკარს გვის. მივესალმე. ვხედავ, ცოცხზე ქალის შავი **"კოლგოტია"** შემოკრული და მიხსნის, რომ შავი ფერი **"ნაცებზე"** გლოვის სიმბოლოა.

კვლავ სამგლოვიარო პროცესს მივუბრუნდეთ. ჭირისუფლების რიგი თანდათან იზრდება. მგალობლებს ქანცი აქვთ გაწყვეტილი, ყოველ გალობას გალაქტიონის მოტივით ამთავრებენ: **"ცოცხები, ცოცხები, ცოცხები ჩქარა".** ამასობაში სატირალს დამტირებელთა მოზრდილი გუნდი მოადგა. წინ ორი მარწყვივით გოგონა მოაბიჯებს, რომლებიც ძლივს მოათრევენ ცოცხებით შეკრულ უზარმაზარ გვირგვინს. სავარაუდოდ – ზუგდიდელები უნდა იყვნენ. მომკივან, სახედახოკილ მეგრელ ქალს ძლივს აკავებენ, სახე რომ მთლად არ დაისისხლიანოს. მგონი, ანაკლიაში ტრუსისამარა მიშას ფეხებში რომ ჩაუვარდა, ის ქალი უნდა იყოს.

– გედირთი, წიე (ადექი, ბიჭო)! – დაჰკივლა ქალმა, – ასე გიკეთი პიარი, სი გიჩქუდუ თეში (ახლა გაიკეთე, შენ რომ იცოდი, ისეთი პიარი)! შეხედე, რამდენი ხალხია მოსული შენს ტირილშიიიიი!!! გაზით დაშალე ხალხი, გაზიქ გეგეთუო (გაზი გაგითავდა), წიე!!!

ხალხის ნაწილი ვანო მერაბიშვილს დასტირის: **"ვავა, სქანიშენი, ჩხურუ ხომ ვარე კამერას, ნორჩალს ქუმოიღანთ დო ოსურემს ქუმოიონანთუ, ჯიმაააააა!"** (ვაი, შე საწყალო, კამერაში ხომ არ გცივა, საბანს მოგიტანთ და ქალებსაც მოგიყვანთ, ძმაო).

ქანცგაცლილ მოტირალს მეორე ქალი წაეხმარა:

– ნანა-სქუა, ჩქიმი ხვეზერია დო ბეხვერია მიშა (ვაი, ჩემო ბოხვერა ბიჭო), ჯეირანივით ბიჭო, ცალ-ცალი კალოშით მოხვედი ხელისუფლებაში და მალე ხელმწიფეთ გადაგვექეცი, მარა არ დაგაცალა უდუცალებელმა ივანიშვილმაააა! სქანნერი მაშიობელი კოჩი დღას ვამიძირუნა (შენნაირი მშოვნელი კაცი ჯერ არ გვინახია), მოკლე დროში მილიარდები იშოვე, მაგრამ ოხრად დაგრჩა ყველაფერიიიი! – ქალის კივილმა სივრცე გააპო და ლამის **"ნაცების"** თბილისის ოფისამდე ჩამოაღწია.

ახლა დარბაზში სენაკელები შემოვიდნენ და ერთხმად აზუზუნდნენ:

– სანაგვეს დაამსგავსე სენაკი, ნგრევის მეტი არაფერი გიკეთებია, მაგრამ, შენი წყალობით, ერთეულები მაინც ვცხოვრობდით ბედნიერად და რატომ გაგვაუბედურეეეე! – წაიშინეს თავში ხელი სენაკელებმა.

ფოთელებმა ისეთი ცხარე ცრემლით დაიტირეს მიცვალებული, რომ რამდენიმე ადამიანს ზედმეტი ემოციისაგან გული წაუვიდა და მხოლოდ იმასღა ბუტბუტებდნენ: **"ფოთი კი დაამსგავსე ჭალადიდს, მაგრა არ დაგცალდა, თორემ მალე ქალაქში კოღოსა და ბაყაყის მეტი არაფერი დარჩებოდაო".**

ერთმანეთს ცვლიან წალენჯიხელები, მარტვილელები, აბაშელები, ჩხოროწყუელები და სიტყვას ართმევენ ერთმანეთს: **"კი გარეკე მთელი სამეგრელო თურქეთში, ლუკმა-პურის საშოვრად, მაგრამ იმდენი მაინც დავრჩით, რომ კივილით შეგიცხადიოთ და გაგაპატიოსნოთო"!**

ამათი საცოდაობა, როგორც იტყვიან, დუღს და გადმოდის.

უკვე ტირილმოსტუმრებულ ჭირისუფალს თვალი ქელეხის მსუყე სუფრისაკენ უჭირავს და მიპატიჟების მოლოდინში ერთმანეთს ემუსაიფებიან:

– მუქ აღოლუ, საწყარს (რა დაემართა, საწყალს)? სექტემბერში რომ ვნახე, კარგად იყო, ცოტა უძილობა სჭირდა და შფოთავდა. ოქტომბერში აგრესიული გახდა და უცხოელმა ექიმებმა წამალი **"კოჰაბიტაცია"** გამოუწერეს. სისტემატურად სვამდა, მაგრამ, ეტყობა მაინც არ უშველა. არა და, მძიმე ცხოვრება ჰქონდა, განსაკუთრებით სხვებისთვის – ბიზნესს ატერორებდა, ადამიანებს აწიოკებდა, ციხეები უდანაშაულო ხალხით გაავსო, არავის რჩევა-დარიგებას არ ისმენდა, რუსებს ომი გამოუცხადა, მამათმავლებს და ლესბოსელებს ჩინმენდლებით აჯილდოებდა და კახპების აღზევებას რომ აპირებდა, მაშინ უწია სიკვდილმა...

– აჰავაი, რა ეშველება ახლა ყველა ამ გადაგვარებულს?

– რა ვიცი, ჩვენი კი დაგვტოვა უპატრონოდ და უფულოდ...

– აბა, კაცო. წამო, ჯავრიან გულზე ერთი მაგრად გავძღეთ და დავთვრეთ. უყვარდა, იმ უბედურს!

დაკრძალვის თავკაცმა, თავად ცალი ფეხით სამარეში მდგომმა გუბერნატორმა (აწ უკვე – ყოფილმა) დამკვრელებს გადაულაპარაკა: **"რამე კარგი დაუკარით, ნაცების ცენტრალური ოფისის ხალხი მოვიდა".** დამკვრელებმა ომახიანად, მაგრამ მაინც ნაღვლიან ინტონაციაში ააჟღერეს **"მიშა მაგარია"!**

ქელეხში დასხდომის მსურველთა რიგში ერთმანეთს შეხვდნენ **"ევროპელი დემოკრატები"** და **"ქრისტიან-დემოკრატები",** შადრევანზე ხელები გადაიბანეს და ვიდრე ქელეხის სუფრას მიუსხდებოდნენ, ერთმანეთს გადაულაპარაკეს:

– სად დაიკარგეთ, მაინცადამაინც ასეთ ადგილზე უნდა შევხვდეთ ერთმანეთს?

– ეჰ, ვერ დაგვემართა კარგი ამბავი. თვითონ ხომ დაიღუპა, ჩვენც დაგვღუპა. ადრე, სამათხოვროდ, არჩევნებზე რამდენიმე პროცენტ ხმას მაინც გადმოგვიგდებდა, ახლა კი, ხმები მაგას არ ეყო და ჩვენ რაღას მოგვცემდა, – დაიწუწუნეს **"ქრისტიან-დემოკრატებმა".**

– სულ გადაგვარდა ხალხი, – აჰყვნენ **"ევროპელი დემოკრატები"**, – ქართული ოცნების მესვეურებს ქეიფი გაუმართავთ და სიმღერებს აგუგუნებენ, ცოტა მოგუდულად მაინც იმღერონ, განა მაგათი ბრალი არ არის ამის სიკვდილი? ფულსაც რომ არავინ შეეწია, არა და, პატარა ბავშვები დარჩა, საწყალს!

– როგორ, ბავშვები პარლამენტში არ შეყარა? – გაიოცეს **"ევროპელებმა".**

– კი მაგრამ, ზოგიერთი ხომ ბუჩქებისკენ გააგზავნა და ისე გაერთნენ, რომ დროულად გამოსვლა ვერ მოასწრეს!

– ახავაი, ჩვენს მოსწრებას, რა დროსტარებისათვის მოუცდენიათ საწყალი ბავშვები...

მიცვალებული ცოცხიანი გვირვინების თანხლებით გამოასვენეს და ქალის განგმირული კივილი გაისმა: **ლაზიკას მაინც მოსწრებოდი, ბიჭოოოოო!**

მერე, როგორც სამეგრელოშია მიღებული – სკამები წააქციეს, სამჯერ უკუღმა დაატრიალეს კუბო და პოლიტიკურ სასაფლაოზე მიასვენეს, რაც საჭირო იყო, ჩაატანეს და ღრმად ჩაფლეს...

უკანდაბრუნებულზე ვიღაც მთვრალმა თავი ვერ შეიკავა და სიმღერა შემოსცხო. **"არაფერი არ ყოფილა ჩვენი ცხოვრება"** – შესჩივლა ვიღაცამ ვიღაცას და ხალხი ნელ-ნელა დაიშალა.

**ბიჭიკო თუნთია,**
**ქ. სენაკი**



სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# გიორგი ჩირგაძე: ტიერი ანრიმ ბევრი რამ მასწავლა

*ამ ცოტა ხნის წინათ, რუსთავის "მეტალურგში" იმედისმომცემი სპორტსმენი გიორგი ჩირგაძე გამოჩნდა. 22 წლის ფეხბურთელი ამპლუით მარცხენა გარემარბია, მაგრამ რუსთაველთა დამრიგებელი გელა სანაია მას ძირითადად თავდასხმაში ათამაშებს.*

*გიორგი ჩირგაძეს მეტად საინტერესო ისტორია აქვს: რამდენიმე ხნის წინ იგი ამერიკული "ნიუ იორკ რედ ბულის" ძირითად გუნდში აიყვანეს, მსოფლიო დონის ფეხბურთელების ფრანგი ტიერი ანრისა და მექსიკელი რაფაელ მარკესის გვერდით ვარჯიშობდა და ამხანაგურ მატჩებშიც გამოსცადეს.*

*მერე კლუბ "რედ ბულის" რეზერვისტებში თამაშობდა. მაშინ ის ამ კლუბში დამკვიდრებასა და ამერიკის შეერთებული შტატების საფეხბურთო ნაკრებში თამაშზე ოცნებობდა, მაგრამ... 2012 წლის შემდეგ მისი კვალი დაიკარგა...*

– თბილისში დავიბადე და 13 წლამდე **"პლეხანოვზე"** ვცხოვრობდი. ფეხბურთზე 6 წლის ასაკიდან **"დინამოს"** სკოლაში, პაატა მეტრეველთან დავდიოდი, მერე კი ოჯახთან ერთად ამერიკაში წავედი.

**– იქნებ უფრო დაწვრილებით მოგვითხროთ, თუ რა მოხდა ამერიკაში?**

– რუსულ საფეხბურთო აკადემიაში ცნობილ უკრაინელ მწვრთნელებთან ორი წელი ვვარჯიშობდი. პარალელურად, ნიუ-ჯერსიში **"რედ ბულის"** აკადემიაში დავდიოდი. ძირითად გუნდში გასინჯვაზე 15 წლისა მიმიწვიეს და აკადემიის პირველი აღზრდილი ვიყავი, პირველ გუნდში რომ გადამიყვანეს.

16 წლისამ **"რედ ბულთან"** ერთად პირველად ვივარჯიშე, რაც პერიოდულად გრძელდებოდა. 2009 წლის სექტემბერში კონტრაქტი კი გავაფორმე, მაგრამ გუნდის ძირითად შემადგენლობაში ოფიციალური მატჩი მაინც არ მითამაშია. ამხანაგურებიდან კი შარშან, ესპანურ შეკრებაზე, **"რუბინთან"** შეხვედრა დამამახსოვრდა. მოედანზე მეორე ტაიმში შემიყვანეს. 0:1-ს ვაგებდით, ჩემ მიერ მოპოვებული ჯარიმით საპასუხო გოლი გავიტანეთ. თამაში 1:1 დამთავრდა.

**– რამდენადაც ვიცით, ერთხელ, საფეხბურთო კლუბ "ინტერის" ჭაბუკთა გუნდისთვისაც გაგიტანიათ მეტად მნიშვნელოვანი გოლი...**

– ეს აკადემიაში ყოფნის დროს მოხდა. **"ინტერის"** 18-წლამდელებს ამხანაგურ მატჩში შევხვდით. 0:1-ს ვაგებდით, ორი გოლი გავიტანე და 3:1 მოვიგეთ. ჩემს კარიერაში ყველაზე კმაყოფილი ამ თამაშით დავრჩი და პირველი გუნდის ხელმძღვანელობამაც სწორედ ამის მერე შემამჩნია.

**– ტიერი ანრისა და რაფაელ მარკესთან ერთად თამაშს ნებისმიერი ახალგაზრდა ფეხბურთელი ინატრებდა. რას იტყვით ამ ვარსკვლავებზე?**

– ტიერი ანრიმ ბევრი რამ მასწავლა და ცხოვრებისეულ საკითხებშიც დამეხმარა. მე იგი უფროს მეგობრად მიმაჩნია და თვითონაც მეგობრად მაღიარებს. ძალიან გულღია ადამიანია და მშვენიერი იუმორიც აქვს. სტადიონზე თუ მის გარეთ ღირსეულად იქცევა, მეგობრულია მოთამაშეებთან და ხალხთან. ხშირად მეუბნებოდა – ბევრი შრომა უნდა გასწიო დიდი ფეხბურთელი რომ გახდე, შემდეგ კი ყველაფერი აუცილებლად დაგიფასდებაო.

ყურადღებიანია მარკესიც, ჩემთვის სასარგებლო რჩევების მოცემა არასოდეს არ ეზარებოდა, მაგრამ იგი უფრო ჩუმი და ჩაკეტილია. **"რედ ბულში"** უეინ რუნის ძმაც იყო და მას ფიზიკურად საკმაოდ ჰგავდა, მაგრამ თამაშით... რა გითხრათ...

**– "რედ ბულის" მწვრთნელი ძალიან გაქებდათ, მაგრამ გუნდში დამკვიდრება მაინც ვერ მოახერხეთ. რამ შეგიშალათ ხელი?**

– ტრავმებმა. 2008 წელს მარჯვენა მუხლზე მენისკის ოპერაცია გავიკეთე, კონტრაქტის გაფორმებამდე კი მარცხენა თეძოც ამტკივდა, დროთა განმავლობაში ტკივილი გამიძლიერდა და ოპერაციას კვლავ ვერ გადავურჩი. ექიმებთან რეაბილიტაციას რომ გავდიოდი, პარალელურად, ჩემს ძველ ნაცნობ უკრაინელ მწვრთნელს ბავშვების ვარჯიშში ვეხმარებოდი. მაგრამ... პროფესიონალი სპორტსმენები კარგად გამიგებენ, რადგან კარგად იციან სერიოზული ტრავმის ფასი!

**"რედ ბულთან"** კონტრაქტი 2012 წელს დამიმთავრდა. მწვრთნელთან კონფლიქტი მომივიდა და უგუნდოდ დავრჩი. მას შემდეგ ამერიკაში გუნდი ვერ მოვძებნე და ასე ვიყავი ზუსტად ერთი წლის განმავლობაში. ამიტომაც ჩამოვედი საქართველოში.

**– არადა, ამერიკის ნაკრებში თამაშზე ოცნებობდით...**

– ეს ამბავი ძალიან გააბუქეს. არ დამავიწყდება, ერთხელ ამერიკელმა ჟურნალისტმა მკითხა – ჩვენს ნაკრებში თუ ითამაშებდიო? ეს ის პერიოდი იყო, როცა საქართველოში ჩემით არ ინტერესდებოდნენ და... ხომ არ ვეტყოდი, არამეთქი? ამ დროს, ნიუ-იორკშიც ქართულად მზრდიდნენ და სულ ვფიქრობდი – იქნებ, საქართველოში ვინმე დაინტერესდეს-მეთქი...



**– ამერიკულ ფეხბურთზე, ზოგადად, რას იტყვით?**

– იქ ჩვენზე ბევრად უკეთესი პირობებია. განსხვავება დონეშიც საგრძნობია – ამერიკელები ძალისმიერ ფეხბურთს თამაშობენ. **"რედ ბულს"** მარტო ფიზიკურ მომზადებაში სამი მწვრთნელი ჰყავდა. პირველი გამძლეობაზე გვავარჯიშებდა, მეორე – სირბილში, მესამე – ტრენაჟორების დარბაზში. ყველა ვარჯიშის შემდეგ გულის მდგომარეობას გვიმოწმებდნენ და ასე შემდეგ. ასეთი **"კომფორტის"** შემდეგ, რა თქმა უნდა, სპორტსმენი მუდამ სასურველ **"ფორმას"** ინარჩუნებს ხოლმე. ფეხბურთ ის სპეციალისტებს და სპორტსმენებს არაერთგზის აღუნიშნავთ, რომ, სამწუხაროდ, ჩვენთან **"ფიზიკაში"** პრობლემა აშკარაა და ამიტომაცაა ოფიციალურ თუ ამხანაგურ მატჩებში მეტად დაბალი ტემპი. მაგრამ საქართველოში ისეთი ნიჭიერი ბიჭები ვნახე, ბევრის მიღწევა რომ შეუძლიათ.

**– აქ დარჩენას როდემდე აპირებთ?**

– მომავალი წლის ბოლომდე და მერე ვნახოთ...

## ლადო ქირია – 55

**ძმაო ლადო! აი, შენი საიუბილეო თარიღიც ნელნელა მოგვეპარა... 30 ნოემბერს 55 წელი შეგისრულდება და ბარაქალა შენ, უკან მიხედვის რომ არ შეგრცხვება. წინ ალბათ კაცური და ლამაზი ცხოვრების მრავალი წელი გელოდება. გვწამს კვლავაც ღირსეულად გააგრძელებ მოღვაწეობას მამულის საკეთილდღეოდ!**

**გისურვებთ სიკეთეს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ხანგრძლივ სიცოცხლეს, რათა კიდევ უფრო მეტი სიკეთე შესძინო ქართველ ერსა და ქვეყანას!**

**გაიხარე შენს ლამაზ ოჯახთან ერთად და გილოცავთ! იმედი გვაქვს მეგობრებთან ერთად სოხუმის ზღვის სანაპიროზე კიდევ გიხილავთ...**



**ზურაბ კვარაცხელია,**
სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ზუგდიდის ოფისის ხელმძღვანელი,

**ზაურ გახარია,**
სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მთავარი საბჭოს წევრი,

**როლანდ ჯალაღანია,**
გაზეთ "ილორის" მთავარი რედაქტორი

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაცია დიდი გულისტკივილით იუწყება, რომ 63 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა ამავე ორგანიზაციის წევრი

**ბადრი ქარაია**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## ფრთხილად, "ახალაიებო", სამეგრელოს სამალავებში ნაპოვნმა საზარელმა კადრებმა არ გამოჟონოს

ოფიციალური სტატისტიკით, შვიდი სპეცრაზმელის წამების საქმის განხილვას, რომელზეც ბაჩო ახალაია გაამართლეს, სასამართლომ 23 სხდომა მიუძღვნა და 63 მოწმე დაჰკითხა. აი, ასეთი ჯაფა დაადგა მოსამართლე დავით მგელიაშვილს, სანამ დარწმუნდებოდა, რომ ბაჩანა **"მართალია"** და ხალხმა უნდა იცოდეს თავისი **"გმირების"** სახელები!

დავით მგელიაშვილს ჰქონდა სპეცრაზმელების ჩვენებები. ერთ-ერთ დაზარალებულ სპეცრაზმელთან ამას წინათ გამოქვეყნდა. გთავაზობთ ამონარიდს: **"როდესაც დაგვაკავეს** (ეს ხდება 2012 წლის აგვისტოში, ახალაია შს მინისტრია, საპარლამენტო არჩევნებამდე კი დარჩენილია თვე-ნახევარი), **ბაჩანა ახალაია უშუალოდ მონაწილეობდა ჩვენ მიმართ განხორციელებულ სადიზმში. გვაგინებდა, გვამცირებდა, გვიყვიროდა, გარეწარი, მოღალატე პინგვინები ხართო. შემდეგ საწამებლად სხვებს გადაგვაბარა. გაგვაშიშვლეს, შვიდი კაციდან სამი მიწაზე პირქვე დააწვინეს, ზოგი მუხლებზე დააჩოქეს... ერთმა უშუალო მწამებელმა თქვა, დიდი ხანია, კაცთან არ მქონია ურთიერთობაო და შარვლის ღილებზე ხელი წაივლო... შემდეგ იქვე ნუშის ხეს ტოტები მოატეხა და ორს უკან გაუკეთა... სერჟანტებს მობილური ტელეფონით სურათები გადააღებინა, მინისტრ ბაჩანა ახალაიას უნდა გავუგზავნოთო. შემდეგ ყველა მიწაზე დაგვაწვინეს, ქამრებით გვცემეს. იქვე ჩამოიარა ჯარისკაცების ოცეულმა, რომლებსაც ჩვენზე მიუთითეს, "სამშობლოს მოღალატეები და ნაბოზარი ძაღლები არიანო. უბრძანეს, ზედ გადაევლოთ ჩვენთვის, რაც შეშინებულებმა შეასრულეს კიდეც. შემდეგ მოიყვანეს სასწავლო ცენტრში მყოფი შს სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის პირველი სამმართველოს 28 თანამშრომელი და აიძულეს, ფიზიკური შეურაცხყოფა მოეყენებინათ ჩვენთვის, როგორც ქვეყნის მოღალატეებისთვის, რადგან ჩვენ თურმე "ქართულ ოცნებას" თანავუგრძნობდით..."**

დაპირისპირების მეორე მხარეს დგას ბაჩო ახალაიას დაცვა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ეს წამება კი არა რეინჯერთა კურსები იყო (???). ჰოდა, მოსამართლე მგელიაშვილმა **"დაიჯერა"**, რომ ელიტური ჯარის წვრთნა წარმოუდგენელია ხის ტოტების გამოყენების გარეშე.

და როდესაც ეს **"გჯერა"**, სხვა შეუსაბამობასაც ვერ დაინახავ, მაგალითად, იმას, რომ რეინჯერებად წვრთნიან 35 წლამდე პირებს, დაზარალებულმა სპეცრაზმელებმა კი 35 წელს გადააბიჯეს. არც იმით დაინტერესდები, რომ როდესაც ადამიანი რეინჯერთა კურსებზე მიდის, მას ამის სურვილი უნდა ჰქონდეს და საქმის კურსშიც იყოს. პირის რეინჯერად გაწვრთნა ისე, რომ მან ამის შესახებ არაფერი იცის და წამება ჰგონია (ხის ტოტებით), ალბათ, ახალაიას ნოვაციაა.

თუმცა, ეტყობა, მოსამართლე მგელიაშვილს ცხვრის ქურქი თვალებზე ეფარებოდა და ეს შეუსაბამობები ვერ დაინახა, ისევე, როგორც მანამდე დაემართა მოსამართლე გიორგი დარახველიძეს, რომელმაც სამხედროების წამების საქმეზე ახალაია უდანაშაულოდ ცნო.

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ბაქრაძის ქუჩა №6
მე-4 სართული
სარეგ. №01018002930
234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე
WWW.saqinform.ge